პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, ძამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—20.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ, განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ოთხშაბათი, 19 სექტემბერი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 218 (2261)

დღიური

— საკავშირო ცაკის დადგენილება ომის ამკრძალავ პაქტის მიღების შესახებ.
— პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუზეფსკის სიტყვის შესახებ.
— რუმინეთის მუშათა მოძრაობის მოღვაწეთა გასამართლება.
— დაწვრილებითი ცნობები შეთქმულების შესახებ ესპანეთში.
— არჩევნების შედეგები დანიაში.
— გრიგალის გამანადგურებელი შედეგები ამერიკაში.

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად

ამიერ-კავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და წითელფლოტელთა დეპუტატების საბჭოთა

ცაკის მე-IV სესია მოწვეული იქნება

თბილისში,

სასახლის წითელ დარბაზში, 1928 წლის

28 სექტემბერს დილის 10 საათზე

ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანი ა. შავერდოვი.

მეტი ყურადღება პურის დამზადებას

პურით მომარაგების მხრივ ამიერ-კავკასია დღემდე ცნობილია, როგორც მეტნაწილად მომხმარებელი რაიონი. ამიტომ პურის დამზადების საქმეს აქ თავიდანვე არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება. ის უკეთეს შემთხვევაში მიჩნეული იყო მეორეხარისხოვან ამოცანად. უკანასკნელი ხნის განმავლობაში კი პურის დამზადება მთელ საბჭოთა კავშირში გადაიქცა ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანად. საჭიროა ყველა ჩვენი ძალების მობილიზაცია პურის ბაზრის ორგანიზაციის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად. ამ შემთხვევაში ამიერ-კავკასიას და კერძოდ საქართველოს, როგორც უმთავრესად სოფლის მეურნეობის რაიონებს, შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ. ეს საკითხი ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის შედარებით ახალია და სწორედ ამიტომ მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ჩვენ შევძლოთ იმის მაქსიმუმის გაკეთება, რაც კი მისაღწევია ამ დარგში.

როგორ მიმდინარეობს პურის დამზადება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში და მათ შორის საქართველოში? ჯერ-ჯერობით სურათი ასეთია: უკანასკნელი ორნახევარი თვის განმავლობაში მთელ ამიერ-კავკასიაში დამზადებულია 800.000 ფუთამდე მარცვლეული. მთელი წლის განმავლობაში კი, გეგმის მიხედვით, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა უნდა დაამზადონ 1.700.000 ფუთამდე მარცვლეული. ამრიგად კამპანიის პირველ ორნახევარ თვეში ჩვენ უკვე დაგვიმზადებია გეგმით ნავარაუდევ რაოდენობის თითქმის ერთი ნახევარი. ეს იმის იმედს გვაძლევს, რომ პურის დამზადების საქმე ამიერ-კავკასიაში თავის დროზე და სრულად იქნება შესრულებული.

მაგრამ რამდენადაც დამაკმაყოფილებელია სურათი ამიერ-კავკასიაში საზოგადოთ, იმდენად ცუდი მდგომარეობაა საქართველოში. ამას ყველაზე მჭერმეტყველურად მოწმობენ შემდეგი ციფრები:

ივლისში საქართველოში პურის დამზადება შესრულებულ იქნა 30 პროცენტით, აგვისტოში 40 პროცენტით. რატომ ჩამორჩა ასე შორს საქართველო პურის დამზადების საერთო გეგმას მთელ ფედერაციაში? აქ იყო, რასაკვირველია, ობიექტიური მიზეზები. ასეთებათ შეიძლება ჩაითვალოს წარსული წლის მოუსავლიანობა მთელ რიგ მნიშვნელოვან რაიონებში, პურის შედარებით გვიან დამწიფება მიმდინარე წელს, დიდი განსხვავება ბაზრის ფასებსა და პურის მაგარ ფასებს შორის და სხვა. მაგრამ დამზადების კამპანიის მოდუნებული მიმდინარეობა მარტო ამ მიზეზებს, რაც უნდა დიდი არ იყვეს მათი გავლენა, არ მიეწერება. მით უფრო, რომ დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იყო აზერბეიჯანის ზოგიერთ რაიონებშიაც და იქ, მიუხედავად ამისა, ნავარაუდევი ნორმა წარმატებით შეასრულეს და უკანაც მოიტოვეს.

აქ, უთუოდ, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ეგრედ წოდებულ სუბიექტიურ ხასიათის მიზეზებმაც. სათანადო ორგანოები ვერ შეხვდენ პურის დამზადების საქმეს შესაფერი მომზადებით.

ადგილობრივ და ბევრ ცენტრალურ სამეურნეო ორგანოებში, რომელთა პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა პურის დამზადებაზე ზრუნვა, იშვიათად თუ იდგა საკითხი ამ უაღრესი მნიშვნელობის საქმის ხელის შემწყობ ორგანიზაციის შესახებ. პურის დამზადების გარშემო თავიდანვე არ იყო შექმნილი ჩვენში სათანადო საზოგადო აზრი. პარტიულ ორგანიზაციებს ეს საკითხი ბევრგან სრულიადაც არ განუხილავთ. ასეთ პირობებში, გასაკვირი არაა, რომ დიდათ ჩამოვრჩით მეზობელ რესპუბლიკას.

დასკვნა აქედან თავისთავად გამომდინარეობს. დრო პურის დამზადების ენერგიულად წარმოებისათვის ჯერ კიდევ არის. საჭიროა ზომების მიღება დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად. ეს მით უფრო, რომ შემდგომის მოახლოებასთან და ბაზარზე ახალი სიმინდის გამოსვლასთან ერთად, ხელსაყრელი პირობები იქმნება პურის დამზადების წარმატებით განვითარებისათვის.

თავისთავად ცხადია, რომ არავითარ იძულებას ამ შემთხვევაში ადგილი არ უნდა დაურჩეს. ჩვენ გვაქვს დიდი გამოცდილება პურის დამზადების საქმეში რუსეთის მიხედვით. არ უნდა გაგვიტაცოს იმ გარეგნულმა ეფექტმა, რომელიც შეუძლია მოგვცეს ადმინისტრატიულ ღონისძიებებს პირველ ხანებში. პურის დამზადება საუკეთესო მორიგ გამოცდილებას წარმოადგენს ჩვენი სამეურნეო ორგანოებისათვის. ეკონომიური დაინტერესებით და შთაგონებითი წესით უნდა ეეცადოთ ამ მუშაობის ჩატარებას.

ამისათვის კი საჭიროა გადაჭრით ბოლო მოეღოს იმ ინერტიულობას, რომელსაც იჩენს პურის დამზადებისადმი პარტიის, სამეურნეო და საზოგადოებრივი ბევრი ორგანიზაცია. ამის გარეშე შეუძლებელია საქმის წარმატებით დასრულება. მეტი ყურადღება პურის დამზადებას!

მიულერი ჟენევის მოლაპარაკების შესახებ

გერმანია უარჰყოფს დამატებითი ვალდებულებების მიღებას ყოფ. მოკავშირეთა მიმართ

საბჭ. კავშირის მშრომელთა პასუხი პან იუზეფსკის პროვოკაციულ განცხადებაზე

რეინის ოლქის დაცლის გარშემო

მიულერი რეინლანდის საკითხის შესახებ

ჟენევა, 17 სექტემბერი. ჟურნალისტებთან საუბრის დროს მიულერმა განაცხადა:

„ლაპარაკიც კი არ შეიძლება დამატებით ვალდებულებებზე, რომლებიც გერმანიამ კონტროლის სახით უნდა იკისროს 1935 წლის შემდეგ, თუნდაც ეს კონტროლი გამოიხატოს გამომკვლევი და მომწესრიგებელი თანასწორუფლებიანი სამოქალაქო კომისიის დაარსებით.

ინგლისის დელეგაციის ავტორიტეტიანმა წევრმა განაცხადა, რომ, წინააღმდეგ სხვა სახელმწიფოებისა, ინგლისელები მოლაპარაკების პროცესში თანაგრძნობით მოეპყრენ რეინის ოლქის ევაკუაციას ვადის გასვლამდე. ეს საკითხი, ინგლისის მთავრობის აზრით, დაკავშირებული არ არის სარეპარაციო პრობლემის მოწესრიგებასთან.

პოლიტიკური წრეების აზრით, სარეპარაციო საკითხის შესახებ გამართული მოლაპარაკების დროს ვერავითარი შეთანხმება ვერ მოხერხდა.

გერმანიის დელეგაციის წრეებში წარმატებათ მიაჩნიათ ის, რომ პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია ჩაბმულნი არ არიან ამჟამად დამთავრებულ და მომავალ მოლაპარაკებაში.

გერმანიამ კონკრეტიული გეგმა უნდა წარადგინოს

ბერლინი, 17 სექტემბერი. „მონტაგ ამ მორგენი" ბეჭდავს კეშენდენის ნალაპარაკევს რამდენიმე ფრიად თვალსაჩინო ინგლისელ ჟურნალისტებთან. ეს ნალაპარაკევი სცილდება ჟენევის შეთანხმების შესახებ ოფიციალური ცნობის ფარგლებს და შეიცავს განსაზღვრულ მითითებას მოლაპარაკების ფაქტიურ შედეგებზე.

კეშენდენის განცხადებიდან ჩანს, რომ მოლაპარაკების მიმდინარეობა შემდეგნაირად არის ნაგულისხმევი: შემდგომი მოლაპარაკების თათბირობა რეინის ოლქის ევაკუაციის დროს რჩება გერმანიის მთავრობას, რომელსაც ეკისრება წარუდგინოს მოკავშირე სახელმწიფოებს სარეპარაციო პრობლემის მოწესრიგების კონკრეტული გეგმა; სარეპარაციო ვალდებულებათა მობილიზაციის დროს ინგლისის მთავრობას სურს მიიღოს ისეთი თანხა, რომელიც უდრის ინგლისის ვალდებულებას ამერიკის წინაშე; შემთანხმებელ კომისიას უნდა ჰქონდეს უაღრესად ცივილური ხასიათი, ამას თანავე ჯერ გადაწყვეტილი არ არის—იქნება თუ არა ამ კომისიაშიაც გერმანიის წარმომადგენელი; კონტროლი უნდა დაწესდეს მხოლოდ რეინის ოლქის დემილიტარიზაციურ გერმანიის ზონაში და არ უნდა შეეხოს რეინის პროვინციის სხვა რაიონებს, აგრეთვე საფრანგეთის ტერიტორიას; სარეპარაციო კომისიისა და შეთანხმების კომისიის მოლაპარაკება ერთსა და იმავე დროს უნდა სწარმოებდეს, მაგრამ მხოლოდ მაშინ დაიწყება, როდესაც გერმანია მოკავშირეებს აცნობებს თავის წინადადებებს. (ადს).

საფრანგეთის პრესა ჟენევის მოლაპარაკების შესახებ

პარიზი, 17 სექტემბერი. „ჰუმანიტე" ჟენევის მოლაპარაკებას და სწერს:

„რეინის პრობლემის გადაწყვეტის საქმე ერთი ნაბიჯითაც არ წაწეულა წინ. საფრანგეთის იმპერიალიზმს მტკიცე განზრახვა აქვს დარჩეს რეინის ოლქში და დააწესოს საერთაშორისო კონტროლი, რომელიც უკვდავჰყოფს მოკავშირეთა გამარჯვების ხსოვნას და კიდევ უფრო დაამძიმებს ვერსალის ხელ. შეკრულების უღელს. საფრანგეთს, რომელიც თავის ჯარისკაცებს სტოვებს რეინის ოლქში, მხედველობაში ჰყავს საბჭოთა კავშირი. საფრანგეთმა იცის, რომ რეინის ოლქის ტერიტორიის ნაწილის სამხედრო ოკუპაციის დროს გერმანიას ხელფეხი ექნება შებორკილი და ყოველთვის იძულებული გახდება მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ომში" (ადს).

საბჭოთა კავშირი და კელოგის პაქტი

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი უერთდება ომის უარმყოფელ ხელშეკრულებას

მოსკოვი, 18 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეუერთდეს ომის უარმყოფელ ხელშეკრულებას, რომელსაც 1928 წლის 27 აგვისტოს ხელი მოაწერეს პარიზში გერმანიის, ბელგიის, შეერთებული შტატების, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და მისი დომინიონების, იტალიის, იაპონიის, პოლონეთის და ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენლებმა.

2. დაეკისროს საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრს, გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობის დროებით აღმასრულებელს ამხ. ლიტვინოვს ხელი მოაწეროს საბჭოთა კავშირის სახელით აღნიშნულ ხელშეკრულებისადმი შეერთების აქტს.

საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარე — **ჩერვიაკოვი.**

საბჭოთა კავშირის ცაკის მდივანი— **ენუქიძე.**

არჩევნები დანიაში

კოპენჰაგენი, 17 სექტემბერი. დანიაში დარჩენილი მოძველებული საარჩევნო სისტემის წყალობით, ქვედა პალატის არჩევნების შემდეგ სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს სულ ერთი ახალი მანდატი, თუმცა სოციალ-დემოკრატების—მიერ მიღებული ხმების რაოდენობა 56 პროცენტით გადიდდა. კონსერვატიულ და რადიკალურ პარტიებს მოემატა მანდატების რიცხვი, მთავრობის პარტიამ კი დაჰკარგა. მთავრობას ამოუვიდა სულ 444082 ხმა, წარსული არჩევნების დროს კი 458.186 ხმა.

სოციალ-დემოკრატების ლიდერს სტაუნინგს ხმების ასეთი განაწილება საკმაოდ მიაჩნია, რომ მოითხოვოს ახალი არჩევნები და მთავრობის გადადგომა. პრემიერს მადსენ მიუგდელს მიუღებლად მიაჩნია ეს მოთხოვნა და ფიქრობს, რომ იგი ეწინააღმდეგება პარლამენტარიზმის პრინციპებს (ადს).

შეთქმულება ესპანეთში

ახალი ცნობები შეთქმულების შესახებ

პარიზი, 17 სექტემბერი. გაზეთები იუწყებიან დაწვრილებით ცნობებს იმ ფართო შეთქმულების შესახებ, რომელიც აღმოაჩინეს ესპანეთში პრიმო დე რივერას მთავრობის წინააღმდეგ. შეთქმულებათა ქსელი მოდებული ჰქონდა მთელ ესპანეთს. დაპატიმრებულია რამდენიმე ათასი კაცი. სარაგოსში რამდენიმე ას დაპატიმრებულთა შორის ნახევარზე მეტი სამხედრო პირია. მადრიდში დაპატიმრებულია 820 კაცი, მათ შორის ფრიად თვალსაჩინო რესპუბლიკანელები. ბარსელონაშიც დაპატიმრებულია რამდენიმე ასი კაცი, მათ შორის სხვადასხვა გაზეთის თანამშრომლები და მოსამსახურეები. პრიმო დე რივერა მოვიდა მადრიდში და ხანგრძლივი თათბირი გამართა შინაგან საქმეთა მინისტრთან, იუსტიციის მინისტრთან და დამცველი პოლიციის დირექტორთან (ადს).

შიშს დიდი თვალები აქვს

ლონდონი, 17 სექტემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ჰავრიდან გიბრალტარის რეიდზე მივიდა საბჭოთა სასწავლო გემი „ვეგა". გიბრალტარის ხელისუფლებამ გემის ეკიპაჟს ნაპირზე ჩამოსვლის ნება არ მისცა; გამონაკლისის სახით ნება დართეს მხოლოდ გემის უფროსს (ადს).

პოლონეთის დეპეშათა სააგენტო გოდიშს ხდის იუზეფსკის

ვარშავა, 17 სექტემბერი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„იმ წერილების გამო, რომლებიც პოლონეთის პრესის ერთმა ნაწილმა ვოლინის ვოევოდის სიტყვის შესახებ გამოაქვეყნა (ეს სიტყვა დაბეჭდილი იყო გაზ. „პშეგლონდ ვოლინსკ"-ში და „ზემია ლიუბელსკა"-ში), სააგენტოს კომპეტენტური წყაროებიდან აცნობეს, რომ ზემოხსენებულ გაზეთებში გამოქვეყნებული ტექსტი არ წარმოადგენს ვოევოდას მიერ წარმოთქმული სიტყვის სისწორით გადმოცემას. სიტყვის ზედმიწევნით შესწავლის შემდეგ გამოირკვა: ამ სიტყვის ტექსტი ისეთს არაფერს შეიცავს, რომ რამე გაუგებრობის გამოწვევა შეეძლოს". (ადს).

პროტესტი ვოლინის ვოევოდას სიტყვის გამო

მოსკოვი, 18 სექტემბერი. 17 სექტემბერს საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულმა პოლონეთში კოციბინსკიმ პროტესტი განუცხადა გარეშე საქმეთა მინისტრის მოადგილეს ვისოცკის ვოლინის ვოევოდა იუზეფსკის იმ სიტყვის გამო, რომელიც უკანასკნელმა წარმოსთქვა 2 სექტემბერს სეიმის დეპუტატების, სენატორების და ვოლინის სავოევოდოს „მთავრობასთან თანამშრომლობის ბლოკის" ყრილობაზე.

როგორც ცნობილია, ვოევოდა იუზეფსკის სიტყვა შეიცავდა მოწოდებას საბჭოთა კავშირიდან უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიის ჩამოცილების შესახებ.

კოციბინსკიმ მიუთითა ვისოცკის, რომ საბჭოთა მთავრობა ვოლინის ვოევოდის ამ გამოსვლაში ხედავს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის 1921 წელს დადებული საზავო ხელშეკრულების მე-5 მუხლის უხეშ დარღვევას.

ვისოცკიმ კოციბინსკის საპასუხოდ განაცხადა, რომ ამ საქმეზე გარეშე საქმეთა სამინისტრო გამოსცემს ოფიციალურ კომიუნიკეს პრესისათვის; კომიუნიკეში აღნიშნული იქნება, რომ ვოევოდა იუზეფსკის სიტყვის ტექსტი რომელიც პოლონეთის გაზეთებში დაიბეჭდა, სწორად არ არის გადმოცემული (ადს).

საბჭოთა კავშირის მშრომელთა პასუხი პოლონეთის პანებს

საბჭოთა კავშირის მშრომელნი პროტესტს აცხადებენ იუზეფსკის გამოსვლის წინააღმდეგ

ხარკოვი, 18 სექტემბერი. ხარკოვის მუშათა აღმფოთებამ ვოლინის ვოევოდის იუზეფსკის გამოსვლის გამო თავისი ნათელი გამოხატულება ჰპოვა მრავალრიცხოვან მიტინგებში, რომლებიც ქალაქში გაიმართა. მუშა მოსამსახურეებმა ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში აცხადებენ:

„უკრაინის მშრომელთ შეგნებული აქვთ ის, რომ იუზეფსკის გამოსვლა აშკარა მოწოდებაა უკრაინაზე მორიგი თავდასხმისათვის ჩვენ ვაცხადებთ, რომ პოლონელი პანებისა და პეტლიურელ მოხრეთა ოცნება დამსხვრეული იქნება ჩვენი მოლიანობით და დარაზმულობით".

ქალაქ ხარკოვის პოლონელ მუშათა რეზოლუციაში ნათქვამია:

„უკრაინის თავისუფალი მშრომელი მასები არასოდეს არ დაუშვებენ, რომ მისი ბედი ვინმემ თვითნებურად გადასწყვიტოს. იმპერიალისტებისა და მათი მსახურების ცდა—გამოიწვიონ ახალი სისხლისღვრა, ხარკოვის პოლონელი მუშები უპასუხებენ ჩვენი კავშირის სამხედრო ძლიერების განმტკიცებით. პოლონეთის ფაშისტური მთავრობის წარმომადგენელის აშკარა პროვოკაციას ომის სასარგებლოდ ჩვენ ვუპასუხებთ უფრო აქტიური მონაწილეობით ჩვენი პროლეტარიატის სამშობლოს სოციალისტურ მშენებლობაში". (ადს).

არტემოვსკი 18 სექტემბერი. არტემოვსკის ლიურსანის ქარხნის „პობედა ტრუდა"-ს მუშების მრავალრიცხოვანმა კრებამ, იუზეფსკის გამოსვლის გამო, ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ უკრაინის მშრომელები სახელოვან წითელ არმიასთან ერთად მუდამ მზად არიან იარაღით ხელში დაიცვან სოციალისტური სახელმწიფო.

კომკავშირის არტემოვსკის რაიკომის გაფართოებულმა პლენუმმა მიიჩნია ინფორმაცია იუზეფსკის გამოსვლის შესახებ და ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც არტემოვსკის რაიონის მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის სახელით ვოლინის ვოევოდის გამოსვლა შეფასებულია, როგორც პოლონეთის ფაშიზმის ახალი ავანტიურა და როგორც იდეური მომზადება გალიციის, საბჭოთა უკრაინის და მთელი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა,—ნათქვამია რეზოლუციაში,—როგორც მთლად მშრომელები და წითელი არმია ყოველ წუთს მზად არიან ებრძოლონ საბჭოთა უკრაინის, საბჭოთა კავშირის და რევოლუციისათვის მთელ მსოფლიოში". (ადს).

პოლონეთის გენერალური შტაბის დელეგაცია ბელგრადში

ბელგრადი, 17 სექტემბერი. ჩამოვიდა პოლონეთის გენერალური შტაბის დელეგაცია.

„ფრეიე პრესე"-ს ბელგრადელი კორესპონდენტის სიტყვით, ჩამოსული დელეგაცია თითქოს აპირებს მოამზადოს პოლონეთ - სამხრეთ - სლავიის სამხედრო კონვენციის დადების საქმე მსგავსად პოლონეთ - რუმინეთის კონვენციისა, რომელიც მიმართული იქნება პოლონეთისა და პატარა ანტანტას შორის სამხედრო თანამშრომლობის დამყარებისაკენ. (ადს).

ამხ. ცუკერის დაპატიმრება

ვენა, 17 სექტემბერი. ავსტრიის კომპარტიის ორგანოში „როტე ფანე"-ში გამოქვეყნებულია ავსტრიის კომპარტიის ცეკას სამდივნოს ცნობა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ დაპატიმრებულმა რედაქტორმა ცუკერმა გამომძიებელს განუცხადა, რომ მას არ წაუკითხავს კონფისკაციაქმნილი მოწოდება, რომლისთვისაც პასუხს მხოლოდ ცენტრალური კომიტეტი აგებს. (ადს).

ახალგაზრდათა კომინტერნის კონგრესი

მოსკოვი, 18 სექტემბერი. 17 სექტემბერს დილით ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესის პლენარულ სხდომაზე **დარსიმ** გააკეთა მოხსენება პროლეტარულ ბავშთა მდგომარეობისა და საბავშო კომუნისტური მოძრაობის შესახებ აღმოსავლეთში.

დარსის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მრავალი დელეგაციის წარმომადგენლებმა.

17 სექტემბერს მუშაობდა საპროგრამო კომისია. თითქმის ყველა დანარჩენმა სექციამ და კომისიამ დაამთავრა მუშაობა და კონგრესის პლენარულ სხდომაზე დაიწყო მოხსენებები სექციებისა და კომისიების მუშაობის შესახებ.

18 სექტემბერს დილით პლენუმზე მოხდება ამ მოხსენებათა გაგრძელება.

რუმინეთის მუშათა მოძრაობის მოღვაწეთა პროცესი

ვენა, 17 სექტემბერი. ბუქარესტიდან იუწყებიან, რომ რუმინიის მუშათა მოძრაობის მოღვაწეთა პროცესი კლაუზენბურგის სამხედრო სასამართლოში მესამე სხდომის შემდეგ შესწყდა და განახლდება მხოლოდ 15 ოქტომბერს. პროცესის შეწყვეტის მიზეზი ის არის, რომ დამცველებმა კატეგორიული პროტესტი განაცხადეს საქმის გარჩევის წინააღმდეგ ისეთ პირობებში, როცა გამოწვეულ მოწმეთა უმრავლესობა სასამართლოში არ გამოცხადდა.

დამცველთა წინადადებებით, სასამართლომ გამოიწვია ახალი მოწმეები, უმთავრესად ცნობილი მოღვაწეები, მათ შორის ფრიტიოფ ნანსენი, პროფესორი ეინშტეინი და სხვ. უცხოელ ყველა მოწმეებს მიეცა უფლება აქ გამოცხადდენ სასამართლოში პირადად, არამედ მისცენ ჩვენება საზღვარგარეთ რუმინიის საელჩოში.

პროკურორმა წინადადება მისცა სასამართლოს მიიღოს ხელშეკრულებში მიცემული ჩვენება მხოლოდ პირობით და მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ბრალდებულთა ოქმის ცალკე მუხლებს. (ადს).

საბინაო კრიზისი ავსტრიაში

მენშევიკებიც კი ალაპარაკდნენ

ვენა, 17 სექტემბერი. ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე ოტო ბაუერმა გააკეთა მოხსენება ბინის დამქირავებელთა ინტერესების დაცვის შესახებ. მან აღნიშნა, რომ, თუ მთავრობა მოიწადინებს იმ კანონის გაუქმებას, რომელიც ბინის დამქირავებლებს იცავს, მაშინ საჭირო იქნება პარლამენტის დათხოვნა და ხელახალი არჩევნების ჩატარება ხალხის აზრის გამოსარკვევად ამ საკითხის გამო.

ბაუერის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს უმთავრესად პარტიის ვენის და პროვინციალური ორგანიზაციათა თანამდებობის პირებმა, რომელნიც მხარს უჭერენ ცენტრალურ კომიტეტს.

ბაუერის მოხსენების გამო ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელიც ადასტურებს მის თეზისებს (ადს).

„კრასინ"-ის მეორე რეისი

სამოილოვიჩის დეპეშა „კრასინ"-ის შესახებ

მოსკოვი, 18 სექტემბერი. სამოილოვიჩის უკანასკნელი ცნობების მიხედვით, „კრასინ"-ის მოქმედების რაიონში კვლავ დაიწყო ძლიერი შტორმი. კომიტეტის დირექტივების შესასრულებლად, „კრასინ"-ი მიდის ჩრდილოეთისაკენ, იმ ადგილისაკენ, სადაც ალექსანდრის ჯგუფი ეგულება.

სამოილოვიჩის უკანასკნელი რადიო-ტელეგრამა იუწყება, რომ „კრასინ"-ს გზაზე ხვდება ყინულის მცირე ნამსხვრევები. დაიწყო პოლარული ღამე, რაც აძნელებს თვითმფრინავის დევნებას ყინულოვან მინდვრებზე.

საჰაერო ხაზი ბერლინი—ირკუტსკი—ნანკინი

შანხაი, 17 სექტემბერი. იუწყებიან, რომ საავიაციო კამპანია „ლიუფტ-განზა"-სა და ნანკინის მთავრობის შორის მოლაპარაკებას მოჰყვა შეთანხმება საჰაერო ხაზის ბერლინი-ირკუტსკი-ნანკინის გახსნის შესახებ.

შენიშვნა: საჰაერო ხაზი ბერლინი-ნანკინი, რომელმაც, ცხადია, საბჭოთა კავშირზე უნდა გაიაროს, ვერ მოეწყობა საბჭოთა კავშირის თანხმობის გარეშე. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობით, საბჭოთა კავშირსა და „ლიუფტ-განზა"-ს მოლაპარაკება გერმანიასა და შორეულ აღმოსავლეთ შორის საჰაერო კავშირის დამყარების შესახებ ჯერ დასრულებული არაა. (ადს).

გაფიცვები საფრანგეთში

პარიზი, 18 სექტემბერი. „იუმანიტე"-ში გამოქვეყნებული ცნობებით, აგვისტოს განმავლობაში საფრანგეთში ადგილი ჰქონდა 119 გაფიცვას, რომლებშიაც 36,000-ზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. 64 გაფიცვა აგვისტოში დამთავრდა, აქედან 41 გაფიცვა მუშებმა მოიგეს, 55 გაფიცვა ეხლაც გრძელდება. (ადს).

იაპონიის კომპარტიის საქმე

ტოკიო, 17 სექტემბერი. გამოქვეყნებულ იქნა წინასწარი გამოძიების საბუთები იაპონიის კომპარტიის ოსაკას ორგანიზაციის საქმის გამო. პარტიის სოლქო ორგანიზაციას მეთაურად კანსაში დასახელებულია კასუგა სოუირო. ბრალდებაში მიცემულია 96 კაცი.

მეჯლისის გახსნა

თეირანი, 17 სექტემბერი. იუწყებიან, რომ მრავალი დაგროვილი საკითხის გამო მეჯლისის გახსნა მოსალოდნელია სექტემბრის ბოლო რიცხვებში (ადს).

სხვადასხვა

ოპიუმი ინგლისის გემზე

შანხაი, 17 სექტემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, დაიჭირეს და კანტონში მოიყვანეს გემი, რომელიც ინგლისის ბაირაღით მიდიოდა. გემის დაპატიმრების მიზეზად ასახელებენ ოპიუმის გაქრობას (ადს).

გრიგალი ამერიკაში

გრიგალის შედეგები

ნიუ-იორკი, 17 სექტემბერი. პორტორიკოდან იუწყებიან: გრიგალმა და ნიაღვრებმა აქაურობა გაანადგურეს. დაღუპულთა რაოდენობა ძალიან დიდია. უსახლკაროდ დარჩნენ უმთავრესად ღარიბი გლეხები. მოსავალი თითქმის მთლად დაიღუპა და მოსალოდნელია შიმშილი. დამშეული გლეხები ქალაქებში მიდიან და საჭმელს მოითხოვენ. რადგან პორტორიკოში გზები გაფუჭებულია, დაწვრილებითი ცნობები ვერ მივიღეთ. გრიგალი ფლორიდაში გადავიდა (ადს).

გვადელუპაში

პარიზი, 17 სექტემბერი. გვადელუპაზე (კუნძული ატლანტის ოკეანეზე, ცენტრ. ამერიკის სანაპიროებთან, საფრ. კოლონია) გადიარა გრიგალმა, რომელსაც მოჰყვა ბევრი ადამიანის მსხვერპლი და შენობების დანგრევა. დაღუპულია დაახლოებით 300 კაცი. განსაკუთრებით დაზარალდა სოფლის მოსახლეობა (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საპარლამენტო არჩევნები შვეციაში

კომპარტია მიდის წინ

მოსკოვი, 18 სექტემბერი. გაზეთ „პრავდა"-ს კორესპონდენტი **ჩილბუში** შემდეგს იტყობინება ქალაქ სტოკჰოლმიდან:

საპარლამენტო არჩევნებს შვეციაში ახასიათებს არაჩვეულებრივი ცილისწამების კამპანია კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. ბურჟუაზიული პარტიები და სოციალ - დემოკრატია არავითარ ბრალდებას არ ერიდება კომპარტიის მიმართ, რომ დასცეს ამ პარტიის პრესტიჟი ამრჩეველ მუშათა მასების თვალში. ასე, მაგალითად, კომუნისტებს ბრალს სდებენ ჯაშუშობაში, თხზავენ მოძველებულ ლეგენდებს ქალების სოციალიზაციის შესახებ საბჭოთა კავშირში და სხვა ამგვარ სისულელეებს. მიუხედავად ამისა, კომუნისტური პარტია არჩევნებში მიდის წინ. ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, ის ფაქტი, რომ წარსული არჩევნების დროს ქალაქ გეტებორგში კომუნისტურ პარტიამ მიიღო 4.300 ხმა, ეხლა 9.000 ხმა.

კომპარტია იმარჯვებს

მოსკოვი, 18 სექტემბერი. გაზეთ „პრავდა"-ს კორესპონდენტი ქ. ოსლოდან **განსენი** გადმოგვცემს შემდეგს:

საპარლამენტო არჩევნები ნორვეგიაში დიდი წარმატებით დასრულდა კომუნისტებისათვის. კომუნისტ დეპუტატების რიცხვი წინანდელთან შედარებით პარლამენტში გაიზარდა ასი პროცენტით.

ტოლსტოის ვცემთ პატივს თუ ტოლსტოველებს

მოსკოვი, 18 სექტემბერი. გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა" ათავსებს მთელ განყოფილებას, რომელსაც სათაურად აქვს: „ტოლსტოის იუბილეს გაკვეთილები". გაზეთი აყენებს კითხვას: ვის ხსოვნას აღვნიშნავთ ჩვენ, ვის ვცემთ პატივს — ტოლსტოის თუ ტოლსტოველებს?

ზოგიერთი კრიტიკოსებმა და ცნობილ კულტურულ მოღვაწეებმა ხელი შეუწყეს ტოლსტოიზე შემცდარი შეხედულების გავრცელებას. მაგალითად, ამხ. ლუნაჩარსკიმ და აქსელროდმა (ორთოდოქს) ტოლსტოის თხზულებათა ახალ გამოცემის წინასიტყვაობაში ტოლსტოის წასცხეს რევოლუციონური ფერ-უმარილი, გამოაცხადეს ის გლეხობის მოციქულად და სხვა.

სკოლა ტოლსტოის სოფელში, ტულის გუბერნიაში, იასნაია პოლიანაში გადაქცეულია ტოლსტოველების ძეგლად. ამ სკოლაში, რა თქმა უნდა, არ იციან რა არის ცასამხედრიება. აქ არ არსებობს უღმერთოების ორგანიზაცია. ტოლსტოველები ყოველივე ამან იმდენად გაათამამა, რომ მათ პოლიტეხნიკუმში ტოლსტოის ხსოვნის აღსანიშნავად გამართულ საღამოზე შემდეგი განუცხადეს იქ დამსწრე კომუნისტებს:

ძმებო, კომუნისტებო, მოვსპოთ ხიშტი ცვდილით დასჯა, დავშალოთ წითელი არმია, გამოვაცხადოთ სიტყვის თავისუფლებაო.

აღნიშნავს რა ყოველივე ამას, გაზეთი დაასკვნის, რომ ჩვენში არ არის საკმაო ნიადაგზე დაყენებული დიდი მწერლის, ტოლსტოის ნაწარმოებთა ხალხი კრიტიკულად განხილვაო.

კომინტერნის ბრძოლა მემარჯვენე გადახრებთან

კომინტერნის მე-6 კონგრესმა მიიღო პროგრამა, რომელიც საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტად უნდა გადაიქცეს. კომინტერნის პროგრამის შესწავლა ეხლა კომინტერნის ყოველი სექციისა, მისი ყოველი წევრის აუცილებელ მოვალეობას უნდა შეადგენდეს.

მაგრამ პროგრამის მიღებით არ ამოიწურება ამ კონგრესის მუშაობის მნიშვნელობა. პროგრამასთან ერთად კონგრესმა მიიღო მრავალი მნიშვნელოვანი პოლიტიკური რეზოლიუცია, და, უპირველეს ყოვლისა, რეზოლიუცია საერთაშორისო მდგომარეობისა და კომინტერნის ამოცანების შესახებ. მე-6 კონგრესმა დასახა აგრეთვე თავისი პოლიტიკური ხაზი უახლოესი ეტაპისათვის.

ამ რეზოლიუციების შესწავლა უმთავრესი ამოცანა უნდა გახდეს როგორც ჩვენი პარტიისათვის, ისე კომინტერნის სხვა სექციებისათვის.

რაში მდგომარეობს ეხლანდელი მომენტის თავისებურება საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, რომელიც განსაზღვრავს მის ამოცანებს?

ეს თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ შევედით კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის ისეთ პერიოდში, როცა სწარმოებს, კლასობრივი ბრძოლის, კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა უაღრესად გამწვავება, რევოლიუციონური მოძრაობის გაფართოება კოლონიალურ ქვეყნებში და ახალი მსოფლიო იმპერიალისტური ომის საფრთხის ზრდა. ამ პერიოდში სწარმოებს აგრეთვე მასების გამემარცხენება, მათი გადასვლა ბურჟუაზიული პარტიებიდან სოციალ - დემოკრატიულ პარტიაში და სოციალ - დემოკრატიიდან კომუნისტურ პარტიაში; ამ პერიოდში ხდება აგრეთვე ის, რომ ბურჟუაზია სოციალ - დემოკრატიის დახმარებით უფრო და უფრო ფართოდ იყენებს მასების წინააღმდეგ ძალადობის ფაშისტურ მეთოდებს, როგორც უკანასკნელ საშუალებას რევოლიუციონური მოძრაობის ზრდასთან ბრძოლისათვის.

მასების უკმაყოფილების ზრდა, რომლებსაც ქუჩაში ჰყრის კაპიტალისტური სოციალიზაცია, ან ორმაგ და სამმაგ ტყავს აძრობს; და პოლიტიკურ უფლებათა უკანასკნელი ნაშთების წართმევა მუშათა მასებისათვის იწვევს მასების გამემარცხენებას, რომლებიც აძლიერებენ ჩვენს პარტიებს და რომლებსაც ამასთანავე მოხერხებულად იყენებენ „მემარცხენე" სოციალ - დემოკრატები; „ეს სოციალ დემოკრატები, როგორც ნათქვამია კონგრესის რეზოლიუციაში კომუნისტური ინტერნაციონალის ამოცანების შესახებ, — ატყუებენ მუშათა მასებს უფრო მოქნილი და ამიტომ პროლეტარული რევოლიუციის საქმისათვის უფრო საშიში მეთოდებით".

საკავშირო კომპარტიის (ბ) შიგნით ტროცკისტული ოპოზიციის განადგურების შემდეგ, უკანასკნელ წელს ადგილი აქვს ამ ოპოზიციის სრულ დამარცხებას საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაშიც და ტროცკიზმის „მემარცხენე" ფრაზების საბოლოოდ გამოაშკარავებას, იმ ფრაზების, რომლებსაც ნამდვილი სოციალ - დემოკრატიული არსების საფარს წარმოადგენენ. ამის გამო კომინტერნის მე-9 პლენუმმა 1928 წლის თებერვალში კომინტერნის ყველა სექციის ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა დაძლევა ყველა იმ მემარჯვენე გადახრისა, რომლებიც იქვებებიან მუშათა კლასის ზოგიერთი ელემენტები სტაბილიზაციური განწყობილებით, — რაიც ხდება სოციალ - დემოკრატიის გავლენით, კერძოდ რეფორმისტების „მემარცხენე" ფრთის გავლენით კომპარტიის ცალკე ელემენტებზე, — და რომლებიც ვერ ხედავენ იმ ნაპრალს კომუნიზმსა და სოციალ - დემოკრატიას შორის, რომელიც განსაკუთრებით გაღრმავდა უკანასკნელ წლებში, რამდენადაც სოციალ - დემოკრატია გადავიდა კაპიტალიზმის პირდაპირ დაცვაზე და რამდენადაც იგი უფრო და უფრო აშკარად იღებს მონაწილეობას რევოლიუციონური მოძრაობის ჩახრჩობის ფაშისტური მეთოდების გამოყენებაში და ეთვისება ბურჟუაზიული სახელმწიფოს აპარატს.

ჩვენ ვხედავდით და ვხედავთ, მაგალითად, გერმანიაში კომუნისტებს შორის ისეთ ხალხს (თუმცა ძალიან მცირე რაოდენობით), რომელიც მიმართავს საგაფიცვო ტაქტიკის რეფორმისტულ მეთოდებს, რომელიც აყენებს წარმოებაზე მუშათა კონტროლის ლოზუნგს, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს უშუალო რევოლიუციონური სიტუაცია, რაიც იწვევს რეფორმისტების მიერ წამოყენებული „სამეურნეო დემოკრატიის" აღიარებას; ჩვენ ვხედავთ ისეთ ხალხს, რომელიც ჯეროვნად ვერ აფასებს ომის საფრთხეს, რომელიც ადვილად ემორჩილება სოციალ - დემოკრატიის გამაბრუებელ პაციფისტურ ფრაზეოლოგიას, ჩვენ ვხედავთ ისეთ ხალხს, რომელსაც არ ესმის, რომ „მემარჯვენე" და „მემარცხენე" სოციალ - დემოკრატები წარმოადგენენ მუშათა კლასის მატყუარათა და მოღალატეთა სხვადასხვა კატეგორიებს, ჩვენ ვხედავთ ისეთ ხალხს, რომელიც ხშირად სერიოზულად იღებს „მემარცხენე" სოციალ - დემოკრატების რევოლიუციონურ ფრაზეოლოგიას. ამგვარი მემარჯვენე გადახრის გამოხატულებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საფრანგეთში ერთგვარი წინააღმდეგობა გაუწიეს კომინტერნის აღმასკომის მე-9 პლენუმის გადაწყვეტილებებს. მეტად საგულისხმოა მთელი კომინტერნისათვის ჩეხო - სლოვაკიის გამოცდილება, სადაც სოციალ - დემოკრატიული ტრადიციები საკმაოდ ძლიერნი აღმოჩნდნენ და თავიანთი გამოხატულება ჰპოვეს პროფესიონალური მუშაობის ოპორტიუნისტულ ხაზში, პარტიის სპეციფიურ ლეგალიზმში, მასებისაგან მოწყვეტაში, მწვავე მასიური გამოსვლების შიშში და სხ., რამაც ბოლოს და ბოლოს გამოიწვია პარტიის კრიზისი. ინგლისში პარტიამ წინააღმდეგობა გაუწია ახალ ტაქტიკურ გეზს და სხ.

მე-6 კონგრესმა აღნიშნა, რომ მთელ რიგ კომპარტიებში არსებობენ „მემარჯვენე გადახრანი", რომელთა წინააღმდეგაც აუცილებლად უნდა განვაგრძოთ გადამჭრელი ბრძოლა, და ამავე დროს კონგრესმა მე-9 პლენუმთან ერთად აღნიშნა, რომ „კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის ნიადაგზე სოციალ - დემოკრატიის გავლენასთან უშუალო კავშირში გადახრათა მთავარი ხაზი კომპარტიის შიგნით ამჟამად სწორი პოლიტიკური პოზიციიდან მიდის მარჯვნივ".

მე-6 კონგრესმა ამის გამო თავის ძირითად რეზოლიუციაში ხაზი გაუსვა იმას, რომ „ეს მემარჯვენე გადახრანი ისეთ პირობებში, როცა არსებობენ შედარებით ძლიერი სოციალ - დემოკრატიული პარტიები, განსაკუთრებით საშიშია და ბრძოლა მათ წინააღმდეგ უნდა დაისვას პირველ რიგში, რაიც გულისხმობს სისტემატიურ ბრძოლას კომპარტიების შიგნით არსებულ მემარჯვენე გადახრებთან შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ".

გადამჭრელი ბრძოლა კომპარტიის შიგნით არსებული მემარჯვენე ელემენტების ძლევისათვის და მათ მიმართ შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ ძირითად და აუცილებელ პირობას წარმოადგენს ამ პარტიების მოსამზადებლად რევოლიუციონური სიტუაციისათვის და მომავალი ბრძოლისათვის. ეს წარმოადგენს აუცილებელ პირობას იმისა, რომ კომუნისტურმა პარტიებმა შესძლონ იეროიზმს უპასუხონ იეროიზმით და ომის გამოცხადების მეორე დღეს არ გახდნენ ბურჟუაზიული რეაქციის და მისი სისხლიანი ტერორის პასიური მსხვერპლნი. ამასთან ერთად ცხადია, ის დებულებაც, რომ ომის საფრთხის ჯეროვნად შეუფასებლობაც არსებითაც არის მემარჯვენე გადახრა, რადგან ეს შეუფასებლობა იწვევს პროლეტარული მასების სიფხიზლის მიყურებას, რაიც ხელს უწყობს რეფორმიზმის განვითარებას.

ჩვენი პარტია უცხოეთის კომპარტიებისაგან განსხვავებით მუშაობს პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმის მშენებლობის პირობებში. მაგრამ სოციალიზმის მშენებლობა ამასთან ერთად ნიშნავს ხელისუფლების სათავეში მდგომი პროლეტარიატის განუწყვეტელ შეტევას ბურჟუაზიული ელემენტების „ნეპმანის" და კულაკის წინააღმდეგ და იწვევს მათ გააფთრებულ წინააღმდეგობას საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ, რაიც თავის გამოხატულებას ზოგჯერ ჰპოულობს იმაში, რომ დროებით ძლიერდება მერყეობა იმ წვრილ ბურჟუაზიულ ფენებში, რომლებიც პროლეტარიატს ეხმარებიან.

ამიტომ პარტიას სისტემატიური ბრძოლის წარმოება უხდება ყოველგვარ წვრილბურჟუაზიულ გადახრებთან, სულ ერთია, გვევლინებიან ეს გადახრანი „მემარცხენეობის" თუ აშკარა ოპორტიუნისტულ სამოსში. ეს უკანასკნელი თავის გამოხატულებას ჰპოულობს უპირველეს ყოვლისა იმაში, რომ გადახრის ავტორებს არ ესმით მე-XV ყრილობისა და პარტიის შემდგომ გადაწყვეტილებათა მიერ დასმული ამოცანები, რომლებიც შეეხებიან კულაკთან ბრძოლის გაძლიერებას და კოლექტივიზაციის საქმისა და საბჭოთა მეურნეობის მშენებლობის გაფართოებას მიწადმოქმედებაში. პარტიამ, აწარმოებს რა იგი ბრძოლას ორგვარ გადახრასთან, მიაღწია რა მან ტროცკიზმის განადგურებას, ანხორციელებს რა ბრძოლას ამგვარი, არსებითად მემარჯვენული სულისკვეთების გამოცოცხლების ახალი ცდების წინააღმდეგ; აწარმოებს რა გადამჭრელ ბრძოლას იმათ წინააღმდეგ, ვინც მზად არის „დაივიწყოს", რომ პროლეტარიატის კავშირი გლეხობასთან არის „დიქტატურის უმაღლესი პრინციპი" (ლენინი), ვისაც არ ესმის, რომ კლასობრივი ბრძოლის ლენინურად წარმოება ნიშნავს ამ ბრძოლის წარმოებას საშუალო გლეხობასთან კავშირში, — პარტიამ ამასთან ერთად უნდა გააძლიეროს ბრძოლა ისეთი სულისკვეთების დასაძლევად, რომელიც შედეგია იმისა, რომ ჯეროვნად ვერ აფასებენ კლასობრივი ბრძოლის აუცილებელ გამწვავებას ჩვენს ქვეყანაში, რომ მედიდურბიუროკრატიულ დამოკიდებულებას იჩენენ მასების ელემენტარულ მოთხოვნილებათა მიმართ, რომ სწარმოებს აპარატის ცალკე საფეხურების გადაგვარება, რომელი საფეხურებიც თავის პოლიტიკას ზოგჯერ აქცევენ ცარიელ ადმინისტრატიულ განკარგულებად. მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლის წარმოება ჩვენს ქვეყანაში ნიშნავს ამ ბრძოლის წარმოებას ორ ფრონტზე (ტროცკიზმის წინააღმდეგ, რომელიც თავის ოპორტიუნისტულ არსებას მალავს „მემარცხენე" ფრაზების სამოსში და აშკარა ოპორტიუნისტული ელემენტების წინააღმდეგაც). როგორც ეს ნათლად გამომდინარეობს ცეკას ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, ეს ამოცანები საკავშირო კომპარტიისათვის (ბ) გამომდინარეობს როგორც მის გადაწყვეტილებათაგან, ისე კომინტერნის მე-VI კონგრესის გადაწყვეტილებათაგან.

კომინტერნის მე-VI კონგრესი ჩატარდა საერთაშორისო მასშტაბით მემარჯვენე გადახრებთან ბრძოლის ნიშნით. ჩვენ ამ კონგრესმა გვიჩვენა, რომ კომინტერნის ძირითადი სექციები საკმაოდ ძლიერნი არიან და პოლიტიკურად საკმაოდ გაიზარდნენ მისათვის, რომ სძლიონ მემარჯვენე გადახრანი და გადამახინჯებანი თავიანთ რიგებში და მომზადებულნი შეხვდნენ იმ დიდ ბრძოლებს, რომელთა წინაშეც ჩვენ ვდგევართ.

„პრავდა", 18 სექტემბერი.

ღამის ცნობები

რეპარაციების საკითხი და ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები.

ვაშინგტონი, 18 სექტემბერი. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების გარეშე საქმეთა მინისტრმა კელოგმა უარი განაცხადა გამოეთქვა აზრი იმ ხმების შესახებ, რომ თითქოს წამოყენებულია წინადადებები გერმანიის სარეპარაციო ვალდებულებათა შეერთებულ შტატებში გაყიდვის შესახებ. კელოგმა განაცხადა,—ვალების საკითხი და რეპარაციების საკითხი ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის. შემდეგ კელოგმა იმედი გამოსთქვა, რომ იმ შემთხვევაში, თუ განზრახული იქნა სარეპარაციო გეგმის რაიმე შეცვლა, ევროპის სახელმწიფოები ამას ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს აცნობებენ (ამერიკის პოლიტიკურ წრეებში გაურბიან ვალებისა და რეპარაციების საკითხებზე მსჯელობას არჩევნებამდე). (ადს).

მადლობა მიულერს

ბერლინი, 18 სექტემბერი. მიულერმა კაბინეტის სხდომაზე გააკეთა მოხსენება მის მიერ ჟენევაში წარმოებული მოლაპარაკების შესახებ, კაბინეტმა ერთხმად მოიწონა გერმანიის დელეგაციის მოქმედება და მადლობა გამოუცხადა მიულერს „მოლაპარაკების მოხერხებულად და ენერგიულად წარმოებისათვის“. (ადს).

ბურჟუაზია იწონებს სოციალ-დემოკრატების გადაწყვეტილებას

ბერლინი, 18 სექტემბერი. მთელი ბურჟუაზიული პრესა იწონებს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკას პლენუმის იმ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მონაწილეობა არ უნდა მიიღოს ხალხის კენჭის ყრის სასარგებლოდ დაწყებულ კამპანიაში ჯავშნოსანის აგების საკითხის გარშემო. მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული პრესაც იწონებს პლენუმის გადაწყვეტილებას. (ადს).

ბრძოლები მუკდენელებს და ჩან ცზუნ-ჩანის ჯარების შორის

პეკინი, 18 სექტემბერი. იუწყებიან, რომ გუშინ ჩანლის მახლობლად ჩუილი-შანდუნის ჯარებთან (ე. ი. ჩან ცზუნ-ჩანის ჯარებთან) ბრძოლის დროს მუკდენელები დამარცხდნენ. (ჩანლი-პეკინ-მუკდენის რკინის გზის სადგური ჩუილის და მანჯურიის საზღვრის მახლობლად). მუკდენელები საჩქაროდ უკან იხევენ. მაგრამ ამასთან ერთად მოდის ცნობები. რომ გუშინ მუკდენელებმა იარაღი აჰყარეს ჩუილი-შანდუნის ნაწილების 15.000 ჯარისკაცს. დარჩენილთა რიცხვი 80.000-ს უდრის. ჩუილი-შანდუნის ჯარების გამარჯვება გავლენას ვერ იქონიებს ბრძოლის საბოლოო შედეგებზე, ვინაიდან ისინი მუკდენელების ალყას გარღვევას ვერ შეძლებენ. (ადს).

„იუმანიტე“-ს თანამშრომლის დაპატიმრება

პარიზი, 18 სექტემბერი. გუშინ ლიონის სადგურზე დააპატიმრეს „იუმანიტე“-ს თანამშრომელი პერი, რომელიც ჟენევიდან ბრუნდებოდა. (ადს).

ექსპრესისა და ავტომობილის დაჯახება

პარიზი, 17 სექტემბერი. ესპანეთში ხარაგოსის მახლობლად მოხდა ექსპრესისა და ავტომობილის დაჯახება. ავტომობილში მყოფი ოთხი მგზავრი მოკლულია. (ადს).

რადიჩის ქვრივის შუამდგომლობა

ვენა, 18 სექტემბერი. ზაგრების გაზეთების ცნობით, რადიჩის ქვრივმა შუამდგომლობა აღძრა ერთა ლიგის წინაშე, რომ გამოძიება სკუპშჩინაში მომხდარი თავდასხმის საქმეზე ერთა ლიგის კონტროლით სწარმოებდეს. (ადს).

გადაფრენა ლამანშზე

პარიზი, 18 სექტემბერი. მფრინავი დე-ლა-ხიევრა, რომელიც დღეს 10 საათსა და 5 წუთზე გელიკოპტერით გაფრინდა კროიდონიდან (ლონდონის მახლობლად), 11 საათსა და 6 წუთზე სენტ-ენგლევერში (საფრანგეთი) დაეშვა. ეს პირველი გადაფრენაა ლამანშზე გელიკოპტერით. (ადს).

საფრანგეთის მუშათა დელეგაცია ხარკოვში

ხარკოვი, 18 სექტემბერი. ჩამოვიდა საფრანგეთის მუშათა დელეგაცია. დელეგატები ხარკოვში ორ დღეს დარჩებიან. ამ ხნის განმავლობაში ისინი ფიქრობენ დაწვრილებით გაეცნონ მრავალი წარმოების და აგრეთვე საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციების მუშაობას. (ადს).

ესპანელი მფრინავის დაღუპვა

პარიზი, 17 სექტემბერი. ჰავასის სააგენტოს მადრიდელი კორესპონდენტი, ემყარება რა ესპანეთის პრესის ცნობას, იუწყება, რომ დაიღუპა ესპანელი მფრინავი კომანდორი მოლა.

მოლა შაბათს აეროსტატით დიდ სიმაღლეზე აფრინდა. აეროსტატი და მოლას გვამი იპოვეს მურსის პროვინციაში. მოლა, როგორც ჩანს დაიღუპა ჟანგბადის ნაკლებობის გამო იმ სიმაღლეზე, რომელსაც მან მიაღწია. ამას ამტკიცებს აეროსტატის გონდოლაში დარჩენილი ხელსაწყოების ჩვენება. (ადს).

დიდი ხანძარი ბაქოში

იწვის ნავთის 12 რეზერვუარი

წინასწარი გამოანგარიშებით ზარალი 1 მილიონ ნახევარ მანეთს უდრის

ბაქო, 18 სექტემბერი. დღეს აზნავთის ქარხნების მეორე ჯგუფში თეთრ ქალაქში დაახლოებით დილის ათ საათ. ხანძარი გაუჩნდა ნავთის რამდენიმე რეზერვუარს დისტილატით. ქარხნების მოწყობილობებს უშუალო საფრთხე არ მოელის. ხანძრის ჩასაქრობად მიღებულია ყოველგვარი ზომები. ხანძარი უნდა ვიფიქროთ აუცილებლათ იქნება ჩაქრობილი 19 სექტემბრის დილისათვის.

ხანძრის გაჩენის მიზეზები და აგრეთვე მისგან გამოწვეული ზარალი ირკვევა.

ბაქო, 18 სექტემბერი. დამატებითი დეპეშით იტყობინებიან, რომ იწვის 12 რეზერვუარი, რომელშიაც დაახლოებით 500.000 ფუთამდე ნავთი იყო. ხანძრის დროს იმ რეზერვუარებიდან, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ ცეცხლის ალში გახვეული, შესაძლებელი გახდა ნავთის საგრძნობი რაოდენობის გადმოქაჩვა.

ხანძრისაგან გამოწვეული საერთო ზარალი საორიენტაციო გამოანგარიშებით ერთ მილიონ ნახევარ მანეთამდე აღწევს.

ხანძრის გაჩენის მიზეზები ირკვევა.

კიევის მანევრების შემდეგ

კიევი, 18 სექტემბერი. 16 სექტემბერს ამხ. ვოროშილოვის თავმჯდომარეობით გამართა კიევის დამთავრებული მანევრების გარჩევა. გარჩევაში მონაწილეობა მიიღო ჯარების გაერთიანებათა და ნაწილების უფროსთა შემადგენლობამ. მანევრების მთავარი ხელმძღვანელობის შტაბის უფროსმა ამხ. ტრიანდაფილოვმა დაწვრილებით განიხილა მანევრების ყველა ეტაპი, განსაკუთრებით დაწვრილებით გაშუქა ნაწილების უფროსთა მიერ დაშვებული ცალკე ტაქტიკური შეცდომები.

კიევის მანევრებში განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მუშათა ბატალიონებმა,—სურათზე მუშათა ბატალიონების მონაწილეთა ჯგუფი, მათ შორის მოხუცი მუშა—სამოქალაქო ომის მონაწილე

ამხ. ტრიანდაფილოვმა ქებით მოიხსენია ავიაქიმის ბატალიონების მუშაობა, თანაც აღნიშნა ამ ბატალიონების საომარი მოქმედების ზოგიერთი დეფექტი.

ჯარის ნაწილების მორალურ-პოლიტიკური მდგომარეობის დაწვრილებითი ანალიზი გააკეთა მანევრების მთავარმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელმა ამხ. გრიშმანმა.

„მანევრებმა გვაჩვენეს,—სთქვა მომხსენებელმა—რომ მოსახლეობის და წითელი არმიის შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ის სოციალური ფენები, რომლებსაც ეყრდნობა საბჭოთა ხელისუფლება, სახელდობრ—მუშები, ქალაქების მშრომელი მოსახლეობა, საშუალო და ღარიბი გლეხები სოფლად განუწყვეტლივ ეხმარებოდნენ წითელ არმიას მანევრების ჩატარებაში. ამასთან ერთად მანევრებმა გამოააშკარავეს ზოგიერთი დეფექტები, რომელთა აღმოფხვრაც საჭიროა. ვერ არის საქმე მთლად კარგად ვერც წითელ არმიელთა ყოფა-ცხოვრებითი მდგომარეობის მხრივ“.

მანევრების მთავარმა ხელმძღვანელმა, მუშურ-გლეხური წითელი არმიის შტაბის უფროსმა ამხ. შაპოშნიკოვმა დაწვრილებით დაახასიათა მანევრების ოპერატიული შინაარსი და გააკეთა ყველა სახის ჯარის მოქმედების დეტალური ანალიზი.

შემდეგ ამხ. ვოროშილოვმა წარმოსთქვა საბოლოო სიტყვა. მან ორ საათს ილაპარაკა.

ამხ. ვოროშილოვი დაწვრილებით შეეხო იმ დეფექტებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჯარის სხვადასხვა ნაწილების მოქმედებაში და აღნიშნა, რომ საჭიროა ამ დეფექტების რაც შეიძლება მალე აღმოფხვრა საბოლოოდ.

შემდეგ ამხ. ვოროშილოვი შეჩერდა უკრაინის წითელი ჯვრის მუშაობაზე და აღნიშნა, რომ იგი უნაკლო იყო. წითელი ჯვრის გამაშეზომილი მუშაობა შეიძლება გამოვყენოთ იმის მაგალითად, თუ როგორ უნდა მუშაობა. წითელი ჯვარი ბევრს რასმეს მოგვცემს ამ მხრივ. შესანიშნავად მუშაობდა აგრეთვე კოოპერაცია. „ჩვენი დიდი მადლობა უკრაინის წითელ ჯვარს და კოოპერაციას კარგი მუშაობისათვის“,—სთქვა ამხ. ვოროშილოვმა.

ამხ. ვოროშილოვს გაუმართეს მხურვალე ოვაციები (ადს).

კიევის მანევრები ეკრანზე

კიევი, 18 სექტემბერი. მანევრების რაიონში მუშაობს ხუთი გადამღები ჯგუფი. გადაღებულია 5.000 მეტრამდე. მანევრების გათავების შემდეგ ყველა მასალიდან დამზადდება სამი ფილმა, რომელიც ნოემბრის დასაწყისში მზად იქნება. მანევრების რაიონში ამჟამად მუშაობს 25 მოძრავი კინო. ამათგან სამი მოძრავი რადიო-ავტო-კინო (ადს).

ჯარის აღლუმი კიევში

კიევი, 18 სექტემბერი. 17 სექტემბერს კიევში გაიმართა მანევრებში მონაწილე ჯარის აღლუმი. ამხ. ვოროშილოვის გამოსვლას აღლუმზე მხურვალე „ვაშას“ ძახილით შეხვდნენ. მწყობრ რიგებად გამწკრივებული მუშათა დელეგატები ყვავილებით უფენდნენ მას გზას. აღლუმზე დამსწრე მუშები მხურვალე ოვაციებს უმართავდნენ ჯარის ყოველ ნაწილს. განსაკუთრებული აღფრთოვანება დამსწრეთა შორის გამოიწვია ცხენოსანთა და საავიაციო ნაწილებმა. აღლუმის დროს ჰაერში დაფრინავდა რამდენიმე ათეული აეროპლანი. ქალაქმა არაჩვეულებრივი საზეიმო ხასიათი მიიღო და მოგვაგონებდა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველ დღეებს.

საბჭოთა კავშირში

„სოვეტსკი სევერ“-ის რაზმის გადარჩენა

ვლადივოსტოკი, 18 სექტემბერი. „სტავროპოლი“-ს კაპიტანისაგან მოვიდა ცნობა, რომ გადარჩენილია ექსპედიცია „სოვეტსკი სევერი“-სა, რომელმაც 22 აგვისტოს კოლიუჩინსკის ნავთსადგურში სასტიკი შტორმის დროს ავარია განიცადა. ექსპედიციის ყველა მონაწილე ცოცხალია. (ადს)

მანევრები ყირიმში

სევასტოპოლი, 18 სექტემბერი. მანევრების ნაწილი. რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ მუშათა კომკავშირელთა პოლკები, დამთავრდა ღამის ბრძოლით სევასტოპოლთან. შუამავალთა გადაწყვეტილებით, ორგანიზაცია წითლებისა, რომელმაც სევასტოპოლს იცავდნენ. უკეთ იქნა ჩატარებული, ვიდრე ლურჯებისა, რომელთაც დესანტი გადასხეს. (ადს).

მოწოდება საინჟენერო-ტეხნიკურ ძალებისადმი

მოსკოვი, 18 სექტემბერი. საკავშირო საინჟენერო-ტეხნიკური ძალების საკავშირთაშორისო ბიუროს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი საინჟენერო-სატეხნიკო ძალებისათვის მუშაობის ხელშემწყობი პირობების შექმნის შესახებ. პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი სპეციალისტი გაურბის ყოველ სამუშაოს, რომელიც დაკავშირებულია ტეხნიკურ რისკთან. მათ ეშინიათ, ბრალი არ დასდონ მავნებლობაში, რაც უარყოფითად მოქმედებს წარმოებაზე და ხელს უწყობს შრომის დისციპლინის დაცემას, ბიუროს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა, მიმართოს საინჟენერო-ტეხნიკურ მუშაკებს წინადადებით, რომ მათ მთელ პროლეტარულ საზოგადოებრიობასთან ერთად უზრუნველჰყონ წარმოების სწორი და შეუწყვეტელი მსვლელობა. საბჭოთა ინჟენერობამ უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა. მან უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტური მრეწველობის ინტერესებით და ყურადღება არ უნდა მიაქციოს დაუსაბუთებელ საყვედურებს.

საბჭოთა კავშირის მრეწველობა 1928–29 წ.

საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოში გაირჩა საბჭოთა კავშირის მრეწველობის საკონტროლო ციფრები 1928—29 წლისათვის.

პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდას (მიმდინარე სამეურნეო წელთან შედარებით) 20,1 პროცენტით, მრეწველობის ის დარგები, რომლებიც წარმოების იარაღებს ამზადებენ, პროდუქციას გაადიდებენ 22 პროცენტით, ფართო მოხმარების საგნების დამამზადებელი მრეწველობა კი—18,7 პროცენტით ღირებულებით მრეწველობის საერთო პროდუქცია მომავალ სამეურნეო წელში გაიზრდება 10,9 მილიარდ მანეთიდან 13,1 მილიარდ მანეთამდე.

კაპიტალური ხარჯები (რეზერვისა და სპეც. დანიშნულების თანხების გამოკლებით) განსაზღვრულია 1.649.700.000 მანეთით. გარდა ამისა 319.900.000 მანეთი დაიხარჯება საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაციაზე. ახალ სამრეწველო მშენებლობისათვის გადადებულია, 522 მილიონი მანეთი, რომლიდანაც 75 პროცენტი მოხმარდება მშენებლობას ლითონის, ქიმიური, ქვანახშირის, ნავთის, ელექტრონის და მძიმე მრეწველობის სხვა დარგებში.

საბინაო მშენებლობაზე დაიხარჯება 138.500.000 მანეთი. სამეცნიერო-გამოკვლევითი მუშაობაზე—61.100.000 მანეთი (19,3 და 17.2 პროცენტით მეტი. ვიდრე მიმდინარე სამეურნეო წელში).

ვინაიდან მომავალ სამეურნეო წელში ამუშავებული იქნება მთელი რიგი ახალი ფაბრიკა-ქარხნები და გაფართოვებული იქნება წარმოება, მრეწველობისათვის საჭირო იქნება 100 ათასი ახალი მუშა.

მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების დაკლება განზრახულია 5,9 პროც., გასაცემი ფასების კი—1,1 პროცენტით.

მომავალ წელს საბჭოთა კავშირის მრეწველობა წმინდა მოგების სახით მოგვცემს 1 152 მილიონ მანეთს (მიმდინარე სამეურნეო წელს კი მიღებული იქნება სულ 740 მილიონ მანეთამდე), ამ თანხიდან 725 მანეთი შევა ხაზინის შემოსავალში, მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში და ნაწილობრივ მოხმარდება ტეხნიკურ განათლებას.

გათვალისწინებულ კაპიტალურ სამუშაოთა შესასრულებლად მრეწველობას გარდა საბანკო კრედიტებისა სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა მიეცეს 1,300,000,000 მანეთი (მიმდინარე წელს მიცემულ 700 მილიონ მანეთის ნაცვლად) და 110.000.000 მანეთი ადგილობრივ ბიუჯეტიდან.

ვინაიდან მრეწველობას ვერ ექნება იმედი, რომ შესძლებს ასეთი დიდი თანხის მიღებას სახ. ბიუჯეტიდან და ამავე დროს შეუძლებელია კაპიტალური სამუშაობის შეკვეცა, საჭიროდ იქნა ცნობილი დანაკლისი თანხების გამონახვა თვით მრეწველობაში. კერძოთ კი—თვითღირებულების შემცირებით (თვითღირებულების შემცირების თითოეული პროცენტი მრეწველობას აძლევს 9—12 მილიონ მანეთის ეკონომიას).

უცხოელი მეცნიერები საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 18 სექტემბერი. ახალ რუსეთთან დაახლოვების ბრატისლავის (ჩეხო-სლოვაკია) საზოგადოების თავმჯდომარე მედიცინის დოქტორი მაკოვიცკი, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა ტოლსტოის საიუბილეო ზეიმზე დასასწრებლად, მიემგზავრება ყირიმში და კავკასიაში, სადაც უნდა შეისწავლოს ადგილობრივი ხალხების ყოფა-ცხოვრება და ჩვეულებები. მაკოვიცკი აგრეთვე ფიქრობს დეტალურად გაეცნოს ბალნეოლოგიურ საქმის მდგომარეობას საბჭოთა კავშირში.

მოსკოვში რჩება აგრეთვე მეორე სტუმარი ჩეხო-სლოვაკიიდან პროფესორი ვეილემინსკი, რომელსაც განზრახული აქვს დაწვრილებით შეისწავლოს სახალხო განათლების საქმე საბჭოთა კავშირში. შემდეგ ის ხარკოვში გაემგზავრება.

მესამე ჩეხო-სლოვაკელი მეცნიერი, მედიცინის დოქტორი მარჩანი მიემგზავრება ლენინგრადში, სადაც ორი-სამი თვის განმავლობაში იმუშავებს აკადემიკოს პავლოვთან. (ადს).

შრომის წითელი დროშის ორდენის სტატუტი

მოსკოვი, 18 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკმა და სახკომსაბჭომ დაადგინეს დაამტკიცონ საბჭოთა კავშირის შრომის წითელი დროშის ორდენის სტატუტი. სტატუტი განსაზღვრავს ორდენით დაჯილდოების წესს და აგრეთვე დაჯილდოებულ პირთა შეღავათებს და უპირატესობას. (ადს).

პურის დამზადება

18 სექტემბერი. სექტემბრის მესამე ხუთდღეულში „ცენტროსოიუზ“-მა დაამზადა 42.530 ტონა პური. წინა ხუთდღეულში დამზადებული იყო 30.305 ტონა.

„სოიუზ ხლებ“-მა მესამე ხუთდღეულში დაამზადა 13,390 დეკატონა წინა ხუთდღეულში დამზადებული 10.227 დეკატონის წინააღმდეგ.

მეიერხოლდის თეატრის დაშლა

მოსკოვი, 18 სექტემბერი. ვინაიდან მეიერხოლდი მოსკოვში არ იმყოფება, მისი სახელობის თეატრი იშლება. არტისტები სხვა ადგილებში იქნებიან გამოყენებული. (ადს).

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბაიჯანი

ანბანი ტალიშთათვის

ბაქო, 17 სექტემბერი. 13 სექტემბერს ნაციონალურ უმცირესობათა (ც. კ.-თან მოხდა თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა ჩობან-ზადემ და მილერმა. აგრეთვე დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. თათბირმა განიხილა საკითხი ტალიშთათვის ანბანის შექმნის შესახებ. ამისათვის არჩეულ იქნა კომიტეტი აზერბეიჯანის ცაკის მდივნის ამხ. ალი მამედოვის თავმჯდომარეობით. კომიტეტმა მუშაობაში უნდა ჩააბას სათანადო დაწესებულებანი და ლათინური ენის საფუძველზე გამოიმუშაოს ანბანი ტალიშთა ენისათვის.

ამ თათბირს ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რადგან აქ პირველად დაისვა საკითხი მწერლობის შექმნის შესახებ იმ ხალხისათვის, რომელსაც თავისი მწერლობა არასოდეს არ ჰქონია. ტალიშების რიცხვი 95,000 კაცს უდრის და ისინი ლენქორანის მაზრაში სცხოვრობენ. ტალიშთა კილო ირანულ კილოს ჰგავს.

1929—30 წლიდან განზრახულია შეუდგნენ ტალიშთა შორის მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას და პირველდაწყებითი სკოლების მოწყობას. (ადს).

სომხეთი

ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის რეალიზაცია

სტეპანაკერტი, 17 სექტემბერი. აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ცნობებით, მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში მარტო ქალ. სტეპანაკერტში 12 სექტემბრისათვის ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის სესხზე უდრიდა 20.000 მანეთს. მუშა-მოსამსახურენი ხელს აწერენ ერთი თვის ჯამაგირის რაოდენობით. სოფლებში ამჟამად სწარმოებს სააგიტაციო კამპანია სესხზე ხელის მოსაწერად. ღარიბი გლეხები სრულის თანაგრძნობით ხვდებიან. კამპანიას ატარებენ სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობი ადგილობრივი კომისიები, რომლებშიდაც მიმაგრებული არიან გამოცდილი ამხანაგები სტეპანაკერტიდან.

მე-4-ე საკავშირო სატუბერკულოზო ყრილობა

18 სექტემბრის დილის სხდომა

მთელი დღის სხდომა ყრილობამ მოანდომა 2 საკითხის განხილვას. პირველი: ტუბერკულოზიანი ავათმყოფების კვება და ტუბერკულოზი ზოგიერთ წარმოების მუშათა შორის.

დილის სხდომაზე თავმჯდომარეობდა პროფ. მინისი (მოსკოვი).

ტუბერკულოზი და კვება

მეტად საგულისხმო მოხსენებას კვების შესახებ აკეთებს ექ. ჰოლცმანი. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ დღემდის ექიმებსა და მოსახლეობაში გაბატონებული აზრი ჯანმრთელი და ავათმყოფი ადამიანის კვების შესახებ დამყარებული იყო წარსული საუკუნის ფიზიოლოგიურ სკოლების ემპირიულ დასკვნებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ბუნგემ საკმარისი სიცხადით დაამტკიცა საკმაო რაოდენობით მინერალური მასალების საჭიროება ორგანიზმისათვის, თანამედროვე კულინარია ისეთ ნაირად ამზადებს საჭმელს, რომ საკვები მასალა ჰკარგავს მინერალურ ნაწილებს, რაც იწვევს ადამიანის სხეულში ნივთიერების გაცვლა-გამოცვლის ღრმა მოშლას.

თუმცა ვიტამინებზე დღეს ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ ხშირად სრულიად არ იცავენ ელემენტარულ პირობებს საჭმელთან ერთად საკმაო ვიტამინების მიღებისათვის.

საჭმლის თანამედროვე დამზადება (ხანგრძლივი ხარშვა და ხრაკვა ერბოში და ქონში) იწვევს საკვები მასალის დენატურალიზაციას და მისი ღირებულების შემცირებას. თანდათან დიდი მნიშვნელობა ეძლევა საკვებ მასალის ცოცხლად, დაუმუშავებლად მიღებას. ასეთი საჭმელი მდიდარია ამ ენერგიით, რომელსაც მზე აწვდის ჩვენ პლანეტას.

მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ ცილოვანი ნივთიერება, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ, უმთავრესად ხორცის სახით, სხეულში განიცდის დაშლას. ერთი ნაწილი, რომელიც აზოტს შეიცავს, გამოიყოფა ორგანიზმიდან, ან არ გამოიყოფა და იწვევს სხეულში მძიმე ფუნქციონალურ მოშლილობას. მეორე ნაწილი, რომელიც აზოტს არ შეიცავს, ნახშირწყალბადად იქცევა. ამავე დროს ცილოვანი ნივთიერების მოლეკულის დასამუშავებლად სხეულს ესაჭიროება მეტი ენერგიის დახარჯვა.

ძველად გაბატონებული აზრის წინააღმდეგ, დღეს საკმაოდ დამტკიცებულია, რომ ძირითად საკვებ მასალას, რომელსაც ყველაზე ადვილად ითვისებს ორგანიზმი და რომელიც დატვირთულია სასიცოცხლო ენერგიით, წარმოადგენს ნახშირწყალი—მცენარეულობის სახით, დღევანდელი ფიზიოლოგიური სკოლა ნახშირწყალს აკუთვნებს პირველ ადგილს.

მთელი რიგი ცდებით და კლინიკური დაკვირვებით დამტკიცებულია აგრეთვე, რომ საჭიროა ტუტოვანი შენაერთების ერთგვარი რეზერვი, რომელიც შეიქმნება ისეთი საკვები მასალის მიღებით, რომელიც ბლომად შეიცავს აღნიშნულ ტუტოვან შენაერთებს, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს მცენარეულობით კვებას.

ექ. ლაპშინის მოხსენების ნაცვლად ტუბერკულოზიან ავათმყოფთა კვების შესახებ მოხსენებას აკეთებს ექ. ჩუკანოვი, რომელიც აღნიშნავს, რომ ავათმყოფის წონის მომატება ან დაკლება ყოველთვის არ გულისხმობს კარგ ან ცუდ პროგნოზს; კვების არჩევის დროს საჭიროა ერთგვარი ინდივიდუალობის დაცვა; ანგარიში უნდა გაეწიოს ავათმყოფის საჭმლის მონელების უნარიანობას, როდესაც ლაპარაკია საჭმლის რაოდენობასა და თვისებაზე.

ექ. ზაიდმანი—თავის მოხსენებაში აშუქებს ტუბერკულოზიან დაწესებულებებში ბავშვთა კვების საკითხს. ბავშვებზე წარმოებულმა დაკვირვებამ მომხსენებელი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ გაძლიერებული კვების მკურნალობითი ეფექტი გამოიხატება არა მკვდარი სათადარიგო ნივთიერების დაგროვებაში, არამედ სხეულის უჯრედების ენერგიულ მოქმედების მიღწევაში. მომხსენებელი რაციონალურ კვებად სთვლის ექ. მიულერის ცხრილს.

კამათი

მოხსენებების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 15 ორატორმა.

პროფ. მინისი (მოსკოვი) თავის სიტყვაში ურჩევს ექიმებს ერიდონ შაბლონს და ანგარიში გაუწიონ თვითეული ადამიანის კონსტიტუციას და ინდივიდუალობას. ორატორი უჩვენებს ყრილობას ცხრილს სხვადასხვა კონსტიტუციონალურ ტიპების კვების შესახებ. ის მხარს უჭერს ნახშირწყალბადიანი ნივთიერებებით კვებას.

ექ. ბარროკი (ლენინგრადი) ეხება საკითხს ზოგიერთ საკვებ ნივთიერებათა გავლენის შესახებ ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციაზე, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციონალური მდგომარეობა (ფუნქციის მომატება ან შემცირება) გავლენას ახდენს ტუბერკულოზიანი ავათმყოფის მდგომარეობაზე.

ფარისებრი ჯირკვლების მომეტებული მოქმედება დიდ მოთხოვნილებას უყენებს საჭმლის მომნელებელ აპარატს. საჭიროა ამ აპარატის ვარჯიშობა რაციონალური კვებით, განსაკუთრებით ეს შეეხება ნახშირწყალბადიან საკვებ მასალას.

შემდეგ ილაპარაკეს: ექ. შეინინმა (ხარკოვი), ფრუმანმა (იალტა), ეპშტეინმა (კიევი), გოლდბერგმა (ხარკოვი), ხატისოვმა (თბილისი), პროფ. ანდრიევმა (მოსკოვი) და სხვებმა.

ჭლექით დაავადება ზოგიერთ წარმოებების მუშათა შორის

ყრილობამ მოისმინა ორი მოხსენება ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებებში მუშების ტუბერკულოზით დაავადების შესახებ: ექ. შეინინის და ექ. კარპილოვსკის (მოსკოვი).

მომხსენებლებმა აღნიშნეს ის ცუდი გავლენა, რომელსაც ახდენს ზოგიერთი ქიმიური ნივთიერებანი მომუშავეების ფილტვებზე. უმთავრესი ყურადღება მიაქციეს ფაიფურის და ფაიანსის წარმოების ცუდ გავლენას. აღნიშნულ წარმოებებში მუშაობის დროს ჩნდება დიდ ძალი მტვერი, რომელიც ფილტვებში ილექება. ეს კი ხელს უწყობს ფილტვების ტუბერკულოზით დაავადებას.

ექ. კარპილოვსკის მოხსენება

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ფაიფურის წარმოებაში ჩაბმული მუშები ხშირად ავადდებიან ფილტვების თავისებური ავათმყოფობით, რომელიც წარმოადგენს ავათმყოფობის კომბინაციას—ტუბერკულოზი და ფილტვების მარილის დალექვა.

მომხსენებელი უწოდებს ამ შერეულ ფორმას კონიოტუბერკულოზს.

როდესაც ეს ავათმყოფობა ფეხს იკიდებს, მისი მკურნალობა თითქმის შეუძლებელი ხდება, ამის გამო ფაიფურის წარმოებებში არ უნდა იქნან დაშვებულნი ისეთი მუშები, რომლებსაც უკვე აქვთ ფილტვების ჭლექი, თუნდაც დასაწყის სტადიაში. გარდა ამისა წარმოებებში უნდა იქნას მიღებული ზომები, რათა რაც შეიძლება მინიმალური მტვერი გაჩნდეს, რის მიღწევაც შესაძლებელია კარგათ მოწყობილი ვენტილაციის საშუალებით.

მომხსენებელი ფიქრობს, რომ ტუბერკულოზის შესწავლა ამ ზემოაღნიშნულ ხასიათის წარმოებებში აქვს დიდი პრაქტიკული და პროფილაქტიური ინტერესი.

აღნიშნულ მოხსენების გარშემო, გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: კაცმანმა, ზეირიხმა, მაკოვსკიმ, გელცერმა, ვილენსკიმ და სხვებმა.

18 სექტემბრის საღამოს სხდომა

თავმჯდომარეობს ექიმი ჰოლცმანი (მოსკოვი.)

დღის წესრიგში დასმულია საკითხი ტუბერკულოზის რენტგენო-დიაგნოსტიკის შესახებ. ყრილობამ მოისმინა სამი მოხსენება. კაცმანის (ლენინგრადი) მიხაილოვსკის (მოსკოვი), პროზოროვსკის (მოსკოვი). უკანასკნელის მოხსენების დროს ყრილობის დარბაზში მქუხარე ტაშით და ოვაციებით, ხელში აყვანილი, შემოიყვანეს საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე. ხანგრძლივი ტაშის და ვაშას ძახილის შემდეგ თავმჯდომარე სწყვეტს პროზოროვსკის მოხსენებას და მისასალმებელ სიტყვას აძლევს ამხ. მახარაძეს.

ამხ. ფ. მახარაძის მისალმება

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო ის შეხვედრა, რომელიც მე აქ გამიმართეს. ვფიქრობ, რომ ეს პირადად მე არ შემეხება, მე ეს მიმაჩნია იმ საბჭოთა რესპუბლიკის პატივისცემად, რომლის წარმომადგენელიც ამ შემთხვევაში მე ვარ.

ამხანაგებო, სულით და გულით მადლობას ვუძღვნი ყრილობას ასეთი გულწრფელი გრძნობებისათვის.

ამხანაგებო, მე-4 საკავშირო სატუბერკულოზო ყრილობას უდიდესი მნიშვნელობა ექნება იმ მუშაობაში ან, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, იმ ბრძოლაში, რომელსაც ექიმთა წრე საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად აწარმოებს უსაშინლესი სენის—ტუბერკულოზის წინააღმდეგ.

ყრილობას, ვიმეორებ, ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ექნება მთელი საბჭოთა კავშირისათვის, ხოლო განსაკუთრებული მნიშვნელობა მე-4 საკავშირო ყრილობას ექნება იმ ქვეყნისთვის, სადაც ამჟამად იგი შეკრებილია, ე. ი. ამიერ-კავკასიისათვის.

ამხანაგებო, არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ საქართველო უდიდეს პერსპექტივებს გვიშლის საკურორტო საქმეში, განსაკუთრებით ტუბერკულოზით დაავადებულთა მკურნალობის საქმეში.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მასში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებთან—აჭარისტანსა და აფხაზეთთან ერთად შეუძლია დააკმაყოფილოს მთელი ჩვენი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებანი.

ამხანაგებო, ჩვენ კიდევ არა გვაქვს ყველაფერი მოწესრიგებული. რა თქმა უნდა, საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩვენ ზოგი რამ გავაკეთეთ, მაგრამ თუ გაკეთებულს შევადარებთ იმასთან, რაც უნდა გაკეთებულიყო, ეს ძალიან მცირე იქნება. რა თქმა უნდა, ჩვენს პირობებში ეს უდიდესი მიღწევებია, მაგრამ მე ვამბობ, რომ ეს ჯერ კიდევ ძალიან მცირეა იმასთან შედარებით, რაც კიდევ უნდა გავაკეთოთ ამ დარგში.

მე დარწმუნებული ვარ, რომ მე-4 საკავშირო სატუბერკულოზო ყრილობა ძლიერ წასწევს წინ იმ საქმეს, რომლის გულისთვისაც აქ შევიკრიბეთ.

მიგმართავ რა კერძოდ თქვენს ყრილობას, მე ვამბობ: ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ყრილობა უდიდეს როლს ითამაშებს ტუბერკულოზთან ბრძოლის ორგანიზაციის საქმეში.

უწინარეს ყოვლისა, ამხანაგებო, ყრილობა, აშკარაა, ჯამს გაუკეთებს ყოველივე იმას, რაც გააკეთა ამ საქმეში საბჭოთა მედიცინამ უკანასკნელი წლების განმავლობაში.

ამხანაგებო, თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ ტუბერკულოზით დაავადების მხრივ ჩვენი ქვეყანა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ სხვაზე წინ სდგას, ე. ი. წინ უარყოფითი მნიშვნელობით, ჩვენში ჯერ კიდევ ბევრი იხოცება ტუბერკულოზისაგან, ბევრად უფრო მეტი, ვიდრე სხვა ქვეყნებში.

ამხანაგებო, ჩვენ განსაკუთრებულ პირობებში ვმუშაობთ.

უდავოა, რომ არცერთ ქვეყანაში მედიცინა არ მუშაობდა ასეთ მძიმე და იმავე დროს ხელსაყრელ პირობებში. ჩვენ ღარიბი და ჩამორჩენილი ქვეყანა ვართ, ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელსაც მტრულად უყურებს მშრომელთა ყველა მტერი და ის რასაც ჩვენ მძიმე პირობებში ვაკეთებთ—გმირობაა. მხოლოდ, ერთის მხრივ, მუშათა კლასის და, მეორეს მხრივ, ექიმთა წრის გმირული ღონისძიებების წყალობით შეგვიძლია ჩვენ მუშაობა ასეთ მძიმე პირობებში.

ამხანაგებო, მე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ექიმები თავიდანვე განსაკუთრებით ლოიალურად შეხვდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ დაიპყრო მედიცინა, მაგრამ რა თქმა უნდა, არა ხიშტითა და ტყვიამფრქვევებით, არამედ იმიტომ, რომ ამისათვის ნიადაგი ნაწილობრივ უკვე მომზადებული იყო. თქვენ ჩემზე უკეთ იცით, რომ ეს ნიადაგი საერობო ექიმებმა მოამზადეს. რა თქმა უნდა, ჩვენ ბევრი ნაკლი და დეფექტი გვაქვს, მაგრამ ამ ნაკლისა და დეფექტების მიზეზები ჩვენზე არ არის დამოკიდებული.

სამკურნალო საქმის მოწყობა მეტად რთული ამოცანაა, მაგრამ ჩვენ მაინც თავს ვართმევთ ამ საქმეს, მაინც წინ მივდივართ. მე ვფიქრობ, რომ ყრილობამ ხაზგასმით უნდა აღნიშნოს ჩვენი მიღწევები და ამასთან ერთად ჩვენი შეცდომები და დეფექტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა. რა თქმა უნდა, არავითარი შერბილებას ამ მხრივ ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ტუბერკულოზით დაავადებულთა მკურნალობა სხვადასხვანაირად სწარმოებს. რა თქმა უნდა, მე აქ სრულიად პროფანი ვარ, მაგრამ მე მესმის, რომ ჯერ უნდა ვუქიმოთ თვითონ ავადმყოფს, უნდა მივიღოთ ყოველგვარი ზომა მათ გადასარჩენად, ვუქიმოთ მათ ჰაერით და მზით სანატორიუმებში. რასაკვირველია ამ მხრივ ჩვენ კოლოსალური მუშაობის ჩატარება მოგვიხდება. ჩვენი სანატორიუმებით და დასასვენებელი სახლებით ჩვენ არ შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ ყველა ჩვენი საჭიროება, ვინაიდან, როგორც უკვე ვთქვი, ტუბერკულოზით დაავადებული მეტად ბევრია; საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხეში. მე მგონია, ამ სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მშენებლობაში ჯერ კიდევ დიდ დეფექტებს აქვს ადგილი. მიმდინარე წელს მე ვნახე ერთი სანატორიუმი, რომელშიაც საჭიროზე მეტმა ავადმყოფმა მოიყარა თავი, ვიდრე ეს ნავარაუდევი იყო. რა თქმა უნდა ასეთ პირობებში მკურნალობა ძალიან საძნელო ხდება.

აქ სხვა ხასიათის დეფექტებსაც აქვს ადგილი: ზოგჯერ ავადმყოფებს იქ არ გზავნიან სადაც საჭიროა, ზოგჯერ ჯანსაღებს გზავნიან. ავადმყოფებს კი სტოვებენ. ეს საერთო დეფექტებია, ეს სანატორიუმის დეფექტები კი არაა, არამედ პროფმუშაკების დეფექტებია.

ყოველივე დაავადება ძირშივე უნდა მოისპოს. ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ უნდა შეიცვალოს ის პირობები რომლებშიაც ტუბერკულოზი ვითარდება. უწინარეს ყოვლისა უნდა გავაუმჯობესოთ საბინაო პირობები, სამწუხაროდ, ამ მხრივ მდგომარეობა დღემდე მძიმეა. დღემდე მუშების და საერთოდ მშრომელთა უდიდესი უმრავლესობა საშინელ პირობებში სცხოვრობს, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევქმენით ცოტად თუ ბევრად რიგიანი საბინაო პირობები. ამ მხრივ ყოველგვარი ღონისძიებას ღებულობენ და ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ როგორ შენდება ჩვენი ახალი საცხოვრებელი ბინები. ამ საქმეში მრავალ დეფექტს აქვს ადგილი. ექიმების მითითებებმა ამ მხრივ დიდი როლი უნდა ითამაშონ, ახალი ბინები ისე უნდა მოვაწყოთ, რომ იქ სალი ორგანიზმი ვითარდებოდეს. ამ მიმართულებით უდიდესი მუშაობა უნდა ჩატარდეს ჰაერისა და სისუფთავის მხრივ. მთავარი საქმე სისუფთავეა. ეს თქვენ ყველას კარგად მოგეხსენებათ. საუბედუროთ, ამ მხრივ საქმე კარგად ვერ არის. ზოგჯერ გაოცებული ხარ იმიტომ კი არა, თუ რად ხდება კაცი ავად, არამედ იმიტომ, თუ როგორ იტანს ის ასეთ პირობებს. გასაოცარია—როგორ სძლებს კაცი ამ პირობებში. როდესაც კულტურულ რევოლუციაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში, უწინარეს ყოვლისა, სწორედ სისუფთავე უნდა გვქონდეს. უწინარეს ყოვლისა საცხოვრებელი ბინა უნდა განვათავისუფლოთ იმ უსუფთაობისაგან, რომელშიაც ხალხს უხდება ცხოვრება. ეს ძნელი ამოცანა არ არის და მხოლოდ ხელმძღვანელობაა საჭირო, რომ ჩვენ ის შევასრულოთ. საჭიროა მითითებანი ამ მხრივ, უფრო ახლო უნდა მივუდგეთ ამ პირობებს, ამ მოქალაქეთ.

ამხანაგებო, მე არ მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო ასეთ რამეებზე,—ეს თქვენ უჩემოდაც კარგად იცით. ვიტყვი მხოლოდ კიდევ ერთს: მე დღემდე თითქმის არ მქონია ასეთი შემთხვევა, როგორიც დღევანდელი სხდომაა, რომელზედაც შეკრებილნი არიან მთელი ჩვენი კავშირის ექიმთა წრის საუკეთესო წარმომადგენლები. ეს ძალიან იშვიათი მოვლენაა საერთოდ და განსაკუთრებით ჩემს ცხოვრებაში. მე ვხედავ მედიცინის წარმომადგენლებს, ე. ი. უბრალოდ რომ ვთქვა, ექიმებს. მე მაინც ვიტყვი, ამხანაგებო, თუ როგორ უყურებს საბჭოთა ხელისუფლება სპეციალისტებს და განსაკუთრებით ექიმებს.

ცხადია, არავისათვის ახალი არ არის ის, რასაც მე ვიტყვი, მაგრამ ამის განმეორება მაინც ზედმეტი არ იქნება. საბჭოთა ხელისუფლება ექიმებში ხედავს მაღალი კვალიფიკაციის მუშაკებს, ეს კი მეტად ძვირფასია საბჭოთა ხელისუფლებისათვის ყველაზე მეტათ ჩვენ ვაფასებთ კულტურას, კვალიფიკაციას. ექიმებს თავიანთი თავი უნდა მიაჩნდეთ კულტურულ მუშაკებად. ეს არის ჩვენი კაპიტალი, რომელიც ჩვენ მივიღეთ და რომელსაც ჩვენ ვაგროვებთ, რადგან საბჭოთა ხელისუფლება ვერაფერს ვერ გააკეთებს ამ კულტურული ძალის გარეშე.

მეორეს მხრით ექიმებმა, სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა შეიგნონ, რომ ექიმი არის არა მხოლოდ ექიმი, არამედ უპირველეს ყოვლისა ადამიანიც.

ამხანაგებო, ჩვენს მედიცინას, საბჭოთა მედიცინას, როგორც უკვე ზემოთ ვსთქვი, აქვს ისეთი ტრადიციები, რომლებსაც სხვა ქვეყანაში ვერ ნახავთ. ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილი ქვეყანაა, მაგრამ ექიმებს ისეთ ტიპს როგორიც იყვნენ ერობის ექიმები, რომლებიც წარმოშვენ ამ ჩამორჩენილ ბარბაროსულ ქვეყანაში, ვერც ერთ სხვა ქვეყანაში ვერ ნახავთ.

მეორეს მხრით, მეფის რუსეთში იყვნენ მეორეგვარი ტიპის ექიმებიც. ესენი იყვნენ ბიუროკრატები, ჩინოვნიკები, რომლებიც მიუწვდომელნი იყვნენ და რომლებიც ადამიანს—მუშასა და გლეხს—ექცეოდნენ ისე, როგორც ცხოველს.

ამგვარი ტიპის ექიმი საბჭოთა ქვეყანაში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ეხლა ჩვენში ვითარდება საბჭოთა ექიმი, ღრმად შეგნებული ამხანაგი, რომელიც ანგარიშს უწევს ავადმყოფის ყველა მოთხოვნილებას,

ამხანაგებო, არ არის საჭირო გელაპარაკოთ თქვენ იმაზე, თუ რა სიძნელეთა გადატანა უხდებათ ექიმებს, როცა ისინი მკურნალობენ ავადმყოფებს. საჭიროა ცოდნა იმისა, თუ როგორ უნდა მოეპყრა ავადმყოფს და მაშინ ადგილი არ ექნება არავითარ გაუგებრობას.

საბჭოთა მედიცინა ამ შემთხვევაში შეესისხლხორცა საბჭოთა ხელისუფლებას და საბჭოთა მედიცინამ თავი ისახელა.

ამხანაგებო, ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ჭლექთან ბრძოლის საქმეში ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი მუშაობის ჩატარება მოგვიხდება. თქვენ მთელი ძალ-ღონით უნდა შეეცადოთ, რომ მიაღწიოთ მდგომარეობის გაუმჯობესებას. ჩვენ ფანტაზიორები არა ვართ. რა ჩამორჩენილებიც არ უნდა ვიყოთ, ჩვენი ქვეყანა მაინც ახდენს სასწაულებს ყოველ დარგში. განა სასწაული არ არის, რომ მფრინავმა ჩუხნოვსკიმ ყველას აჯობა, მსოფლიო რეკორდი აიღო. ამას არავინ ელოდა, ჩუხნოვსკი ხომ საბჭოთა მიწა-წყალზე აღიზარდა, საბჭოთა მიწა-წყალმა მოგვცა ასეთი გმირები, გმირები, არა იმ აზრით, როგორც ჩვენ ეს სიტყვა გვესმოდა წინედ, არამედ შეგნებული გმირები, რომლებიც მეცნიერულად დასაბუთებულ დებულებებს ემყარებიან. რატომ არ უნდა წავიდეთ წინ?

მე დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა მედიცინა არა მარტო დაეწევა, სულ მოკლე ხანში გაუსწრებს კიდეც ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს.

ბოლოს, ნება მომეცით, გულითადი სალამი უძღვნა საქართველოს მთავრობის სახელით მე-4 საკავშირო სატუბერკულოზო ყრილობას და გისურვოთ თქვენს მუშაობაში წარმატება და საუკეთესო მიღწევანი, ის მიღწევანი, რომლებიც მართლაც განაცვიფრებენ მთელ მსოფლიოს (მხურვალე ტაში. დელეგატები ფეხზე სდგებიან და ხანგრძლივ ოვაციებს უმართავენ).

ამხ. მამჩურის პასუხი

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ყრილობის მუშა-დელეგატების წარმომადგენელს ამხ. მამჩურს.

ამხანაგებო. ნება მომეცით მე-4 საკავშირო სატუბერკულოზო ყრილობის მუშა დელეგატების სახელით მადლობა გამოუცხადო მისალმებისათვის ამხ. ფილიპე მახარაძეს, რომელიც არის საბჭოთა საქართველოს პროლეტარიატის წარმომადგენელი.

ამხანაგებო, ჩვენ მუშები, დარწმუნებული ვართ, რომ თუ დადგა კრიტიკული მომენტი და ჩვენმა პარტიამ მოგვიწოდა ჩვენ, საქართველოს პროლეტარიატი ხელი ხელ ჩაკიდებული ჩვენთან ერთად დაიცავს მუშათა კლასის მონაპოვარს.

ამხანაგებო! ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ყრილობა არა მარტო სამეცნიერო ყრილობაა, არამედ იგი არის მუშათა კლასის და მეცნიერების წარმომადგენლების მჭიდრო კავშირის გამომხატველი.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს! გაუმარჯოს საქართველოს ცაკის თავმჯდომარეს ამხ. მახარაძეს და საქართველოს პროლეტარიატს! (ტაში).

ექ. ჰოლცმანის სიტყვა

ამხანაგო მახარაძე! ნება მომეცით ყრილობის სახელით მხურვალე მადლობა უძღვნა საბჭოთა საქართველოს მთავრობას იმ განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობისათვის და მიღებისათვის, რომელიც მან გამოიჩინა ყრილობისადმი.

ნება მომეცით დაგარწმუნოთ იმაში, რომ ყრილობა მთელი პასუხისმგებლობის შეგნებით განაგრძობს იმ მუშაობას, რომელიც თქვენ გვისურვეთ.

ყრილობის განვლილმა მუშაობამ დაამტკიცა ერთსულოვნება და საქმიანი მუშაობა, რომელსაც თან სდევდა ყველა ჩვენი ნაკლოვანებების სერიოზული კრიტიკული შეფასება და მიღწევების აღნუსხვა. ჩვენთვის ეჭვს გარეშეა, რომ ყრილობის დანარჩენი მუშაობაც ასეთივე იქნება.

ნება მომეცით გამოვთქვა იმედი, რომ მე-5 ყრილობაზე ჩვენ შევძლებთ ტუბერკულოზთან ბრძოლის უფრო დიდ მიღწევების აღნიშვნას. (ტაში).

—:—

თავმჯდომარე. ეხლა განვაგრძოთ ექ. პროზოროვსკის შეწყვეტილ მოხსენების მოსმენა.

პროზოროვსკის მოხსენების შემდეგ ყრილობის სხდომა ათი წუთით წყდება, რის შემდეგ იმართება კამათი, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ ხარკუსონი (მოსკოვი), კალინსკი (ოდესა), მინისი (მოსკოვი), კერმანი (იტალია) და მიკუშევიჩი (მოსკოვი).

ტუბერკულოზი სოფლად

ფრიად საინტერესო მოხსენებები იყო მოსმენილი სოფლად ტუბერკულოზის გავრცელების შესახებ.

ექ. მოროზოვსკის მოხსენება

ხარკოვის ტუბინსტიტუტის მიერ შესწავლილი იქნა შვიდი ტიპიური უკრაინული სოფელი ტუბერკულოზით დაავადების შესწავლად. გამოკვლევამ დაამტკიცა სოფლის მცხოვრებთა ტუბერკულოზით დაავადების მეტად დიდი პროცენტი. შვიდი ათას სამას კაციდან ორმოცდა რვა პროცენტი ტუბერკულოზით დაავადებული აღმოჩნდა, აქედან—ბავშვებზე 14 წლამდე მოდის 28 პროცენტი, 14 წელზე ზევით კი 67 პროცენტი. ტუბერკულოზის ასეთ გავრცელებას უკრაინულ სოფლებში მომხსენებელი ხსნის უკრაინელების ცხოვრების პირობებით. ერთ-ერთ მიზეზათ მომხსენებელი ასახელებს იმ გარემოებას, რომ უკრაინელი გლეხობა მეტად შემჭიდროვებულად ატარებს ღამეს ძილის დროს. თავის მოხსენებას მოროზოვსკიმ გაუკეთა ილიუსტრაცია მონდოვანი სურათებით.

ექ. კონსტანტინოვის მოხსენება

მომხსენებელს მოჰყავს სტატისტიკური ცნობები მოსკოვის გუბერნიაში გლეხობის ტუბერკულოზით დაავადების შესახებ. ის აღნიშნავს, რომ ტუბერკულოზით დაავადებულთა პროცენტი სოფლად პროგრესიულად მატულობს, ასე მაგალითად, 1924 წელში ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებული იყო 69 პროცენტი, 1925 წელში—73 პროცენტი, 1926 წელში—72 ნახ. პროცენტი.

ტუბერკულოზისაგან სიკვდილიანობის დეტალურად შესწავლა სოფლის და სამაზრო ქალაქების პირობებშიაც კი დღემდის თითქმის შეუძლებელია, ამიტომ მომხსენებელი მოითხოვს, რათა მომავალში სისტემატიურად და პერიოდულად იქნას შესწავლილი და დამუშავებული სტატისტიკური მასალა სოფლის მოსახლეობის ტუბერკულოზით დაავადების და სიკვდილიანობის შესახებ.—პროფილაქტიური მიზნით საჭიროა ტუბერკულოზურ დისპანსერების განყოფილებების ფართო ქსელის მოწყობა და მთელი რიგი დამხმარე დაწესებულებების (ღამის სანატორიუმები, დღის სანატორიუმები და სხვები) დაარსება.

ტუბერკულოზი კალმიკთა შორის

ექ. ბერლინის მოხსენება

მომხსენებელი აქვეყნებს კალმიკთა მოსახლეობაში გაგზავნილ სპეციალურ ექსპედიციის მუშაობის შედეგებს, აღნიშნავს, რომ პირველი ასეთი ექსპედიცია გაგზავნილი იყო მეჩნიკოვის მიერ. ამ ექსპედიციამ ტუბერკულინი აუცრა 2949 კალმიკს, ხოლო უკანასკნელ ექსპედიციამ 2,828—1. უკანასკნელი ექსპედიციის დროს დადებითი რეაქცია გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მეჩნიკოვის ექსპედიციის დროს. ამჟამად კალმიკებში ფეხმოკიდებულია ტუბერკულოზის ისეთი ფორმა, რომელიც ჩქარი მიმდინარეობით ხასიათდება, თუმცა არის აგრეთვე ტორპიდური (ნელი მიმდინარეობით) ფორმებიც. ეს ამტკიცებს იმას, რომ მეჩნიკოვის ექსპედიციის შემდეგ განვლილი დროის განმავლობაში ტუბერკულოზი უფრო მეტად ფეხმოკიდებულია, მაგრამ ამავე დროს ერთგვარი იმუნიტეტიც შემუშავებულა. დასასრულ მომხსენებელი გამოთქვამს სურვილს, რათა მომავალში ფართოდ იქნას დაყენებული სხვადასხვა ეროვნულ უმცირესობათა გამოკვლევა ტუბერკულოზით დაავადების მხრივ.

ყრილობის ქრონიკა

— დღეს ყრილობის დღის წესრიგში დასმულია მოხსენებები ტუბერკულოზის კლიმატო-თერაპიის შესახებ. საორგანიზაციო საკითხები გადადებულია ამხ. სემაშკოს ჩამოსვლამდე.

— გუშინ ზაჰესში გაემგზავრა ყრილობის მუშა-დელეგატების ერთი ჯგუფის ექსპედიცია.

— დღეიდან ყრილობის დელეგატებისათვის ტრამვაით მოგზაურობა უფასოა ყრილობის დასრულებამდე.

პარტიული ცხოვრება

როგორ მუშაობს ასურეთის პარტორგანიზაცია

(გამოკვლევის მასალების მიხედვით)

პარტორგანიზაციის შემადგენლობის ზრდასა და მოწესრიგების საკითხს უდიდესი ყურადღება უნდა ექცეოდეს, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. სამწუხაროდ ასე არ მოქცეულა ასურეთის თემკომი. ხსენებულ თემის ორგანიზაციაში 76 წევრი და კანდიდატი ირიცხება, ამ რიცხვში არ არის არც ერთი მოჯამაგირე, სამაგიეროდ შეძლებული გლეხები საკმაო პროცენტს შეადგენენ (6,25 პროც.).

საკანდიდატო შემადგენლობასთან მუშაობა სუსტად არის დაყენებული, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ 40 კანდიდატიდან 31-ს დიდი ხანია გაუთავდა სტაჟი, მაგრამ დღემდე მაინც კანდიდატად არიან დარჩენილი.

უჯრედების მუშაობასთან სულ ზერელე გაცნობის დროსაც კი შესამჩნევი ხდება უგეგმობა, რაც დიდად აფერხებს პარტმუშაობას სოფლად. უჯრედთა სხდომები ბევრგან ორ თვეში ერთხელ ეწყობოდა, ერთერთ უჯრედს კი რვა თვის განმავლობაში მხოლოდ ერთი სხდომა მოუხდენია.

უნდა აღინიშნოს, რომ უჯრედები თითქმის სულ ღია სხდომებს იწვევდნენ. ეს რასაკვირველია შეიძლებოდა დადებით მოვლენად ჩაგვეთვალა, რომ ხსენებული სხდომების მუშაობას მართლაც ღია პარტ. კრებების საქმიანობის ხასიათი ჰქონოდა. სამწუხაროდ უჯრედის ღია კრებები ასურეთში გლეხობის საერთო კრებებად იყო გადაქცეული. იყო შემთხვევა, როდესაც უჯრედის კრების მდივნად უპარტიო მოქალაქე აირჩიეს.

საუჯრედო მუშაობის ეს ნაკლოვანებანი ამტკიცებს, რომ თემკომს არ ჰქონია მჭიდრო ცოცხალი კავშირი უჯრედებთან, მომავლისათვის თემკომმა უნდა მიიღოს ზომები აღნიშნულ დეფექტების გამოსასწორებლად.

საჭიროა პარტორგანიზაციამ მეტი ყურადღება მიაქციოს აგრეთვე სოფლის სამეურნეო ცხოვრების საკითხებს და პარტალმზრდელობით მუშაობას.

ქალთა შორის მუშაობა მთელს თემში სუსტად არის დაყენებული. არსებობდა სამი სადელეგატო პუნქტი, რომელშიაც 72 ქალი ირიცხებოდა, მაგრამ ამ პუნქტებს ერთი კრების მოწყობის მეტი არაფერი გაუკეთებია.

თემკომმა და უჯრედებმა უნდა მოჰკიდონ ხელი ქალთა შორის მუშაობის გამოცოცხლებას. საჭიროა თემკომის წევრთა რიცხვიდან გამოყოფილ იქნეს ერთი მომზადებული ამხანაგი ქალთა შორის მუშაობის საწარმოებლად.

არც ღარიბთა შორის მუშაობა არის კარგად დაყენებული. არჩევით ორგანოებთან არ არის შექმნილი ღარიბთა ჯგუფები. ღარიბებისათვის ნივთიერი დახმარების გაწევა, მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ 280 ღარიბი გლეხი იქნა შეყვანილი კოოპერაციის წევრად ღარიბთა ფონდის საშუალებით. „მიწა-ტყის“ კავშირის ადგილობრივი ორგანოები სრულიად არ მუშაობენ მოჯამაგირეთა ინტერესების დასაცავად. თემკომიც სუსტად ხელმძღვანელობს ამ ორგანოებს (მხოლოდ უკანასკნელ ხანებში იქნა მოსმენილი მათი ანგარიში).

თემკომს არ აქვს შესწავლილი სახალხო განათლების მდგომარეობა თემში და არც რაიმე ყურადღებას აქცევს ამ საქმეს. ამავე დროს სკოლების პედაგოგიურ შემადგენლობაში მრავალ ავადმყოფურ მოვლენას აქვს ადგილი; მასწავლებელ ქალთა ერთი ნაწილი ეწევა გარყვნილ ცხოვრებას, რაიონული სკოლის გამგე სცემს თავის ცოლს, ერთერთმა მასწავლებელმა ითხოვა ადგილობრივი გლეხის ქალი და შემდეგ ბავშიანად ისე მიატოვა, რომ ოფიციალურად არც კი გაჰყრია.

ყველაფერი ეს შრომის სკოლას სახელს უტეხს მოსახლეობის თვალში, ასურეთის ორგანიზაცია კი ამ მოვლენას გულხელ დაკრეფილი უცქეროდა.

თემსაბჭოს შემადგენლობაც არ არის დამაკმაყოფილებელი, დეპუტატების რიცხვში შედარებით ცოტა ღარიბები და მოჯამაგირეებია საბჭოს მუშაობაც მოკლებულია გეგმიანობას. დასწრება საბჭოს სხდომებზე პირველ ხანებში 60—80 პროც. აღწევდა, უკანასკნელად კი 56 პროცენტს უდრის. სექციები სრულიად არ მუშაობდნენ. 1927 წელში ჩატარებული საანგარიშო კამპანიის დროს შემოტანილ იქნა მრავალი კარგი წინადადება, მაგრამ საბჭოს ეს წინადადებები არ შეუჯამებია და არც გამოუყენებია თავის მუშაობაში.

მიწათმოწყობა, თვითდაბეგვრა და გზათა მშენებლობა ძლიერ ცუდ მდგომარეობაშია, განსაკუთრებით სუსტად ტარდება თვითდაბეგვრა, ამ საკითხს თვით თემაღმასკომიც კი ვერ იცნობს ხეირიანად.

კოოპერაციის მუშაობა და მოსახლეობის ჩაბმა კოოპერაციაში საკმაოდ კარგად არის დაყენებული. მთლიანი მომხმარებელი საზოგადოება მოსახლეობის 57 პროც. აერთიანებს. კარგათ არის დაყენებული ანაბართა მიზიდვის საქმეც.

ერთი სიტყვით კოოპერაცია ასურეთის თემში ჯანსაღია. საჭიროა მხოლოდ მეტი ყურადღება მიექცეს კოოპ. წევრთა სოც. შემადგენლობას, ვინაიდან ამჟამად მათ შორის საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებული შეძლებული გლეხებიც კი მოიპოვებიან (ბორბალო).

თემში აღრიცხულია 7 კოლექტიური მეურნეობა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეურნეობები უბრალო სამანქანო ამხანაგობებს უფრო წარმოადგენენ ვიდრე კოლექტ. მეურნეობებს.

კომკავშირში პარტიული ორგანიზაცია თითქმის არავითარ მუშაობას არ აწარმოებდა. ამის შედეგი იყო ის, რომ კომკავშირის ორგანიზაციაში მრავალ ავადმყოფურ მოვლენებს აქვს ადგილი (კომკავშირლები, მათ შორის თვით ა. ლ. კ. კ. თემკომის მდივანი სხვადასხვა დანაშაულისათვის პასუხისგებაში იყვნენ მიცემული და სხვ.).

თავის შემდგომ მუშაობაში თემკომი მეტი ყურადღებით უნდა მოეპყრას კომკავშირის საქმიანობას და გააძლიეროს ხელმძღვანელობა მასზე.

ნ. ტინტიკოვი.

კონკურსი საუკეთესო ოსტატზე

(ლენრაიონი)

ლენრაიონში ჩატარებულ იქნა კონკურსი იმის გამოსარკვევად, თუ რომელი ოსტატი უკეთ ასწავლის თავის შეგირდებს.

რამდენიმე დღის წინად ლენრაიკომმა მოისმინა მოხსენება, ხსენებული კონკურსის შედეგებზე.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ კონკურსი დამაკმაყოფილებლად იქნა ჩატარებული, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა ოსტატებისა და შეგირდების ურთიერთობა.

ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილობრივი პარტკოლექტივები და აგრეთვე პარტიული კომკავშირის უჯრედები სუსტად მონაწილეობდნენ კონკურსის ჩატარებაში, ეს საკითხი თითქმის არც ერთ უჯრედზე არ გარჩეულა.

სუსტად იყო ჩაბმული კონკურსის ჩატარების საქმეში აგრეთვე მთავარი სახელოსნოს ოსტატები და ფართო მუშური მასა.

რაიკომის პრეზიდიუმმა დაადგინა: მოეწყოს კონკურსის საშედეგო საღამო, რომლის დროსაც დარიგებული იქნება პრემიები.

პროპაგანდისტთა გადასამზადებელი კურსები

პარტიულ მასების პოლიტიკურად მომზადება შეუძლებელია პროპაგანდისტთა კადრის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში ძირითადი პარტგანათლების ქსელი 4 წლის უკან მოეწყო, დღემდე არ მოგვეპოვება მომზადებული და გამოცდილი პროპაგანდისტების საკმაო რაოდენობა. ამ მცირერიცხოვანი პროპაგანდისტა გადამზადებაც კი გასულ წლამდე არ სწარმოებდა. გასულ სასწავლო წლის დასაწყისში პირველად მოეწყო პროპაგანდისტთა მოკლე ვადიანი გადასამზადებელი კურსები 50 კაცისათვის. აქედან შერჩეულ იქნა 30 ჯამაგირიანი პროპაგანდისტი (ავტონ. რესპუბლიკების გამოკლებით), რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სოფლის მოძრავ პოლიტსკოლებს. შეიძლება ითქვას, რომ კურსებმა დადებითი შედეგი გამოიღო არა მარტო პროპაგანდისტთა კვალიფიკაციის ამაღლების, არამედ პარტგანათლების დარგში გეგმიანობის, სისტემის შეტანის მხრივაც.

მაგრამ ყოვლად შეუძლებელია ამით დაკმაყოფილება. საჭიროა პროპაგანდისტთა უფრო მეტი რიცხვის გადამზადება ყოველწლიურად.

ც. კ. სააგიტ. საპროპ. და ბეჭდვითი განყოფილებამ მიმდინარე თვეში მოაწყო პროპაგანდისტთა გადასამზადებელი ერთ თვიანი კურსები, რომელშიაც დაახლოებით 80-დე კაცი ტარდება. ყველაზე ნაკლები პროპაგანდისტული ძალები ჰყავთ ნაციონალურ უმცირესობებს (თურქებს, სომხებს, ოსებს, აფხაზებს და სხ.) ამიტომ მათთვის პროპაგანდისტების გადამზადებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა. კურსებზე ნაციონალურ უმცირესობათა პროპაგანდისტებისათვის იქნება ცალკე ჯგუფი რუსულ ენაზე.

კურსებზე გავლილ იქნება შემდეგი საგნები: პოლიტეკონომია, ლენინიზმის და პარტისტორიის ძირითადი საკითხები, ისტორიული მატერიალიზმი (ძირითადი პრობლემები), სოციალისტურ აღმშენებლობის მორიგი ამოცანები ქალაქად და სოფლად. პარტგანათლების ორგანიზაცია, სისტემა და მეთოდი. პროგრამების და სანიმუშო საუბრების დამუშავება, ანტირელიგიური მუშაობა და ყოფა-ცხოვრების საკითხები, მასიურ სააგიტ.-საპროპ. მუშაობის საკითხები და მეთოდები, ორგანიზაცია და მეთოდი მუშა და გლეხ ქალთა პოლიტაღმზრდელი მუშაობისა, კომკავშირის პოლიტგანათლების ორგანიზაცია და სისტემა. კურსების მუშაობა ოქტომბრის შუა რიცხვებამდე დამთავრდება, რის შემდეგაც პროპაგანდისტები გაიგზავნებიან ადგილებზე.

ამ დროისათვის ადგილებზე პარტგანათლების ქსელი საორგანიზაციო მუშაობა (მსმენელთა შერჩევა, შეკრება, სკოლის ბინის შოვნა და სხვა) დამთავრებული უნდა იყოს. პარტქსელის მოწყობა სოფლად უნდა დამთავრდეს და სისტემატიური მეცადინეობა უნდა დაიწყოს ოქტომბრის მეორე ნახევარში.

დ. ორაგველიძე.

კომკავშირში

ხელმძღვანელობაც ასეთი უნდა

(ს. ღანირ-ქვიტირი, ქუთ. მაზრა).

ღანირ-ქვიტირის კომკავშირის უჯრედში ოცდაათამდე წევრი ირიცხება. უჯრედის მუშაობას არა უშავს, იგი საკმაო სიცოცხლით მიმდინარეობს, მაგრამ უნდა აღინიშნოს ერთი ნაკლი. კომუჯრედის ხელმძღვანელობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი.

პარტ-უჯრედის მდივანი მომაგრებულია ა. ლ. კ. კ. უჯრედზე ხელმძღვანელობის გასაწევად, მაგრამ ამ ამხანაგს თავისი მოვალეობა არ აქვს კარგად შეგნებული. ის ა. ლ. კ. კ. უჯრედის კრებებზე დაჟინებით მოითხოვს, რომ მის მიერ წამოყენებული წინადადება აუცილებლად გავიდეს, თუ გინდ მთელი უჯრედი ამის წინააღმდეგი იყოს.

რამდენიმე დღის წინად ღანირ-ქვიტირის ა. ლ. კ. კ.-ს უჯრედზე იდგა საკითხი ერთერთ კომკავშირელის დანაშაულის შესახებ. კრებას უნდოდა დამნაშავესათვის მიეცა ამხანაგური გაფრთხილება, მაგრამ პარტუჯრედის მდივანმა პარტიული უჯრედის სახელით წინ დადება მისცა კრებას: „გინდათ თუ არ გინდა უნდა გარიცხოთ კავშირის რიგებიდანო“.

კომკავშირის უჯრედი ასეთი „ხელმძღვანელობით“ ძალიან უკმაყოფილოა. საჭიროა კომუჯრედმა განუმარტოს თავის მდივანს მისი მოვალეობა და უფლებები, წინააღმდეგ შემთხვევაში ა. ლ. კ. კ. უჯრედი მისი ხელმძღვანელობით წინ ვერ წავა.

შიკოლა.

ამხ. სემარის და მიდოლის გამგზავრება

18 სექტემბერს თბილისიდან საქართველოს სამხედრო გზით მოსკოვში გაემგზავრნენ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ამხ. სემარი და საფრანგეთის კომპარტიის ც. კ.-ის წევრი, საფრანგეთის რკინისგზელთა უნიტარული ფედერაციის მდივანი ამხ. მიდოლი.

პროფესორი შმიდტ-ოტტო თბილისში

18 სექტემბერს მეცნიერების ხელისშემწყობი გერმანული საზოგადოების თავმჯდომარემ და აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელი საზოგადოების თავმჯდომარემ პროფ. შმიდტ-ოტომ აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელი საზოგადოების გენერალურ მდივანთან დ-რ იონასთან ერთად ინახულა ამიერ-კავკასიაში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოვალეობის აღმასრულებელი ამხ. ვოლკოვი.

შემდეგ პროფ. შმიდტ-ოტომ და დოქტ. იონასმა ინახულეს ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანი ამხ. შავერდოვი და საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. მახარაძე, რომლებთანაც ჰქონდათ ხანგრძლივი საუბარი. (ადს).

საუბარი პროფ. შმიდტ-ოტოსთან

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს პროფ. შმიდტ-ოტომ სთქვა:

„საბჭოთა კავშირში ჩემი ჩამოსვლის მიზანია გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის კულტურული კავშირის განმტკიცება და გაფართოვება. მეცნიერების ხელისშემწყობი გერმანული საზოგადოება, რომლის თავმჯდომარეც მე ვარ, ამჟამად ამუშავებს გერმანელ მეცნიერთა ორგანიზაციის საკითხებს. ეწყობა ექსპედიციები, სწარმოებს ცნობილ მეცნიერთა მიერ სამეცნიერო საკითხების კოლექტიური დამუშავება, ხელს ვუწყობთ ცალკე გამოკვლევებს და გამომკვლევებთ და სხვ. თავისი მუშაობის დროს საზოგადოებას ხშირად უხდება საქმის დაჭერა სხვა ქვეყნების მეცნიერებთან და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის მეცნიერებთან. მათთან ჩვენ უკვე დავამყარეთ მჭიდრო კონტაქტი.

აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელ საზოგადოებას გარკვეული მიზანი აქვს—საბჭოთა კავშირთან კულტურულისა და სამეცნიერო კონტაქტის დამყარება. ჩვენ გერმანიაში ჩავატარეთ საბჭოთა კავშირის ბუნებისმეტყველთა და ისტორიკოსთა კვირეულები, რომელთაც ბევრი ძვირფასი მასალა შესძინეს გერმანულ მეცნიერებას.

თბილისში მე რამდენსამე ლექციას წავიკითხავ“.

საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ურთიერთობის შესახებ პროფ. შმიდტ-ოტომ სთქვა:

„მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის მოგვარებული მეგობრობა არავითარ შემთხვევაში არ დაირღვევა, რადგანაც ეს გულწრფელი სურვილია გერმანიის ხალხისა“. (ადს).

ხელი მოაწერეთ
ინდუსტრიალიზაციის 2-სესხს!

როგორ მიმდინარეობს სესხის რეალიზაცია

თბილისში

პოლიგრაფტრესტის მეორე სტამბა

პოლიგრაფტრესტის მეორე სტამბის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე მოსმენილ იქნა ამხ. დევძის მოხსენება ინდ. მეორე სესხის რეალიზაციის შესახებ. კრებამ ერთხმად დაადგინა ობლიგაციების შესაძენად გაღებულ იქნეს ერთი თვის ხელფასი. ამხ. დარჩიევმა შეიძინა 350 მან. ობლიგაცია.

რ—ნ.

ფეხსაცმელების ქარხანაში

ტყავ-ტრესტის ფეხსაცმელების ქარხნის მუშების საერთო კრებამ დაადგინა სესხზე მოაწერონ ხელი თითო თვის რაოდენობით.

ა.-კ. სახ. ვაჭრობის კომისარიატში

შესდგა ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის თანამშრომელთა საერთო კრება, რომელზედაც მოხსენების მოსმენის შემდეგ დაადგინეს ობლიგაციების შესაძენად გადასდონ თითო თვის ხელფასი, რაც უდრის 27.927 მანეთს.

საბჭოთა და სავაჭრო კავშირის მეორე რაიადგილკომში

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის მეორე რაიადგილკომის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ, რომელსაც ყველა კავშირის წევრები დაესწრნენ, მოისმინა ამხ. მელიქიშვილის მოხსენება ინდ. მეორე სესხის მნიშვნელობის შესახებ. კრებამ ობლიგაციების შესაძენად ერთი თვის ხელფასი გადასდო. ამხ. გაგლოევმა შეიძინა 250 მანეთის და ამხ. ნახარიძემ—200 მანეთის ობლიგაცია.

კავშირელი.

შუშის ქარხანაში

შუშის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ მოისმინა ამხ. აბაზოვის ინფორმაცია ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციის შესახებ და ობლიგაციების შესაძენად გადასდო ერთი თვის ხელფასი.

ი.

„სახმედვაჭრობის" სამმართველო

სახმედვაჭრობის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა ამხ. მელიქიშვილის მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მნიშვნელობაზე. კრებამ დაადგინა ობლიგაციების შესაძენად გადასდოს ერთი თვის ხელფასი, რაც უდრის 34.000 მანეთს.

ვ—ა.

გალეტის ქარხანაში

გალეტის დამამზადებელ ქარხნის მუშებმა ობლიგაციების შესაძენად გადასდვეს თითო თვის ხელფასი.

ლიტოგრაფიული ქვის სახერხი სახელოსნო

ს. მ. უ. ს. სამთო ტრესტის ლიტოგრაფიულ ქვის სახერხლოსნოს მუშა-მოსამსახურეებმა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების შესაძენად გადასდვეს ერთი თვის ხელფასი, რაც უდრის 1.697 მან. ამხ. ბეჟუაშვილმა შეიძინა 200 მანეთის ობლიგაცია.

ქ—ლ.

ქალაქის მეორე საავადმყოფო

ქალაქის მეორე საავადმყოფოს (ყოფ. ალექსანდროვის) თანამშრომელთა საერთო კრებამ მოისმინა ამხ. მელქაძის მოხსენება ინდ. მეორე სესხის მნიშვნელობაზე და ობლიგაციის შესაძენად გადასდვეს ერთი თვის ხელფასი. ამხ. თელორძაძემ ხელი მოაწერა 4 თვის ხელფასის ობლიგაციებზე.

ე—მ.

ზემო-ავჭალის გავუთა ახალშენში

გავუთა ახალშენში მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე, რომელსაც ყველა ამხანაგი დაესწრო, მოსმენილ იქნა ამხ. ჯებისაშვილის მოხსენება. კრებამ ობლიგაციების შესაძენად ერთი თვის ხელფასი გადასდო.

ი. ჯავ—ლი.

მცხეთის ნავთსადენში

მცხეთის ნავთსადენის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა ამხ. ლევან აზრუმელაშვილის მოხსენება ინდუსტრ. მეორე სესხის მნიშვნელობაზე. კამათში მონაწილეობა მიიღო 4 ამხანაგმა. ობლიგაციების შესაძენად კრებამ ერთი თვის ხელფასი გადასდო. ზოგიერთ ამხანაგებმა შეიძინეს 200—150 მან. ობლიგაციები. პირველ სესხთან შედარებით, წელს ეს კამპანია აქ წარმატებით მიმდინარეობს.

ისაია.

ავჭალის წყალსადენი

ავჭალის წყალსადენის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა ამხ. პერანიძის მოხსენება ინდ. მეორე სესხის მნიშვნელობაზე. კრებამ ერთხმად დაადგინა შეიძინონ ერთი თვის ძირითადი ხელფასით ობლიგაციები. ამხ. თ. ძამაშვილმა და კაკაურიძემ შეიძინეს სამი თვის ხელფასის ობლიგაციები. განაღდებულ ობლიგაციის მთელი ჯამი 1.100 მანეთს უდრის.

წითელ ჯარში

ა.-კ. ქვეითი სკოლა

ა.-კ. ქვეითი სკოლაში ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაცია წარმატებით მიმდინარეობს. როგორც მეთაურთა შემადგენლობა, ისე კურსანტები და მოსამსახურენი ხალისით იღებენ თავის წვლილს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის.

კლუბში მომუშავე ამხანაგებმა, რიცხვით 7 კაცმა, ხელი მოაწერეს 1000 მანეთის ობლიგაციებზე.

ამხ. უმნოვმა, რომელიც იღებს თვეში 20 მანეთს, შეიძინა 100 მანეთის ობლიგაცია. ამხ. სოტერინმა, რომლის თვიური ხელფასი უდრის 70 მანეთს, ხელი მოაწერა 250 მან. ობლიგაციას.

ჯერ-ჯერობით სკოლის მთელი შემადგენლობა არ არის თბილისში. ამხანაგები წასულნი არიან ზოგი შვებულებაში, ზოგი კი სამუშაოდ სხვადასხვა ნაწილებში, მათი დაბრუნების შემდეგ, სესხის რეალიზაცია სკოლაში იწარმოებს უფრო სწრაფი ნაბიჯით და ყველა გაიღებს მნიშვნელოვან თანხას ინდუსტრიალიზაციისათვის.

მე-5-ე ქართ. მსრ. ლეგიონი

ლეგიონში კამპანია ინდუსტრიალიზაციის სესხის ირგვლივ მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად.

ამ დღეებში მოწვეული იყო ლეგიონის პარტორგანიზაციის კრება კომკავშირთან ერთად, რომელზედაც სამხედრო კომისარმა ამხ. უგულავამ გააკეთა მოხსენება სესხის შესახებ. კრებამ გამოიტანა დადგენილება, რათა ყველა პარტამხანაგმა და კომკავშირელმა გადასდოს ერთი თვის ხელფასი სესხის ობლიგაციების შესაძენად.

მოკლე ხანში ამავე მიზნით მოწვეული იქნება ლეგიონის უფროსთა შემადგენლობის კრება.

წითელ არმიელთა შორის კამპანია ჩატარდება შემდეგი სახით: ლეგიონის კრავებში იწარმოებს საუბრები სესხის მნიშვნელობაზე. პოლიტმეცადინეობაზე, სესხს დაეთმობა ერთი საათი, ათასეულებში ჩატარდება არმიელთა საერთო კრებები.

აღსანიშნავია ის, რომ ცვალებადი წითელი არმიელები დიდათ არიან დაინტერესებული სესხის გავრცელებით.

მაზრებში

ქვიტირის, გოდოგნის და რიონის თემებში

(ქუთ. მაზრა)

4 სექტემბრიდან ქუთაისის რაიონის, ქვიტირის, გოდოგნის და რიონის თემებში ჩატარდა მოხსენებები ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციის შესახებ. მოხსენებას მუშა-მოსამსახურეები, ისე გლეხები სესხის გამოშვებას აღფრთოვანებით შეხვდნენ. მუშა-მოსამსახურეებმა დაადასტურეს პროფსაბჭოს მოწოდება თითო თვის ხელფასის გაღების შესახებ, ხოლო გლეხებს გამოაქვთ დადგენილებები შეძლების მიხედვით შეიძინონ სესხის ობლიგაციები.

თედოშვილი.

გამოჩინებულის თემი, (ქუთ. მაზრა)

13 სექტემბერს გამოჩინებულის თემის განათლების მუშაკთა საერთო კრებამ ამხ. ვალ. შავგულიძის მოხსენების შემდეგ ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის შესახებ, მიიღო დადგენილება გადასდონ თითო თვის ხელფასი სესხის ობლიგაციების შესაძენად. ამასთანავე იწვევს ცხუნკურის, წყალტუბოს და გუმის თემის მასწავლებლობას.

ი. ნიდელი.

ფარცხანაყანევის თემი, (ქუთ. მაზრა)

11 სექტემბერს შესდგა ფარცხანაყანევის თემის გლეხობის კრება, რომელზედაც სამასამდე კაცი დაესწრო. ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მნიშვნელობისა და მისი ობლიგაციების შეძენის პირობების შესახებ მოხსენება გააკეთა სამაზრკომის წარმომადგენელმა ამხ. მონიავამ. მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლუცია შესაძლებლობის მიხედვით შეიძინონ სესხის ობლიგაციები. აქვე არჩეულ იქნა სესხის სარეალიზაციო კომისია.

ივანე.

აფხაზეთში

აფხაზეთიდან მიღებული ცნობებით აფხაზეთში დღემდე უკვე გასაღებულია 213.000 მ. ობლიგაცია. სულ გასასაღებელია 280000 მ. ობლიგაცია.

აჭარისტანში

აჭარისტანში სესხზე ხელის მოწერა წარმატებით სწარმოებს მთელ აჭარისტანში სულ გავრცელებული უნდა იქნეს 265.000 მანეთი, აქედან 200.000 მანეთზე მეტი უკვე გავრცელებულია.

მუშათა ცხოვრება

ვემზადოთ მუშკორთა საკავშირო თათბირისათვის

17 სექტემბერს, თბილისის მუშკორთა საერთო კრებამ დაადგინა დაუყოვნებლივ დაიწყოს ადგილებზე მუშმელხკორების საქმიანობის შემოწმება. ეს გამოცდა მუშკორებმა უნდა ჩაატარონ იმ დაწესებულების მუშა-მოსამსახურეებთან ერთად, სადაც გამოდის კედლის გაზეთი.

ქვემოთ ჩვენ ვათავსებთ აქტიურ მუშკორებს სიას, რომლებიც მიმაგრებულნი არიან სათანადო წარმოებებთან გამოკვლევა-გადასინჯვის ჩასატარებლად:

აკიმოვი—მეორე სტამბა, ავანესოვი—ლენინის სახ. თუთუნის ქარხანა, არზუმანოვი—ლიტოგრ. ტრესტი, ბარკალაია—„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, გრეჩუხინი—გრეხილ ავეჯეულობის ქარხანა, ზარატუიკო—„ტემპ", ევინზონი—სახალხო კომისართა საბჭო, იკანოვი—ტრესტ. კამიშინი—სარემონტო ქარხანა, დორფმანი—გზათა სამმართველო, რომახოვი—რკინისგზის სტამბა, სკანცევი—ა.-კ. ფინანსთა კომისარიატი, სტრეპეტოვი—მუშათა ახალი კლუბი, ბორისოვი—სამთო ტრესტი, ზახნაზაროვი—სახელგამის სტამბა, ხუნუნცი—სახალხო კავშირი, კუპრიენკო—კალინინის სახ. ქარხანა, ხოშტარია—ტრამვაი, გოგუაძე—„კრასნი ვოინი"-ს სტამბა, ჩხეიძე—საპონ-ზეთის ქარხანა, კუშნიროვი—26 კომუნართა ქარხანა, დოგადინი—მოძრაობის სამსახური, ბერიძე—სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტ. რომეიკო—რონოდების პარკი, დორფმანი—მთავარი სახელოსნოები, გავრილიჩევი—თამბაქოს ფაბრ. „პროლეტარი", ფომინა—47 შრომის სკოლა, ასლამაზიშვილი—პირველი სტამბა, ტალიკაძე—მე-5 სტამბა, ს. დოლიძე—სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბოკუჩავა მ.—მიწადმოქმედ. სახ. კომისარიატი, ჯავახიშვილი — იუსტიციის სახალხო კომისარიატი, გოგიბერიძე—განათლების სახ. კომისარიატ., ტატენაშვილი—ქართ. მუშფაკი, სალუქვაძე—სახკინმრეწვი, ზზიაშვილი—არსენალი, სიმონიშვილი—სად. ნავთლუღი, მასურაძე ნინო 4 შრ. სკოლა, კიკნაძე ნ.—სასაკლაო, თალაკვაძე—მკერავი № 1, ახალაძე—ქალაქის საავადმყოფო, კახოიანი—ტყავის ქარხანა №1, დავითიანი—ფეხსაცმელების კოლექტივი, ოგანოვი გ.—ჯაგრის ქარხანა. ოვანესიანი კ.—76 შრომის სკოლა, ამირეჯოვი მ.—გალეტის ფაბრიკა, ვართანოვი მ. — აღმშენებელთა კავშირი, ტერ-სიმონიანი—„ტექსტილტორგი", ოგანიანი გ.—მაკარონის ფაბრიკა. ალავერდიანი გ. — სახლის მუშები, ათაბეგიანი—სომხ. მუშფაკი, აზარიანი—მე-6 სტამბა. დოშოიანი ვარ.—აგურის ქარხანა, მკრტუმიანი ბაგრ.—ფეხსაც. ფაბრიკა.

ქვემოთ ჩვენ ვათავსებთ სიას იმ აქტიურ მუშკორებისა, რომლებმაც დასახელებულ წარმოებებში უნდა ჩაატარონ მხოლოდ აღრიცხვა და არა გამოკვლევა:

ქელიძე—ცეკავშირის სტამბა, ქ. წ. ი. სტამბა, სამშენი; ჩილინგაროვი—მეხანძრეთა რაზმი, ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტი და კავშირგაბმულობის სამმართველო; თუმანოვი—წითელ დროშოვან არმიის „ბოეც"-ი, „ხლებოპროდუკტი" და სახ.-კვების კავშირი; მიკირტუმოვი—კამოს სახ. ფაბ.-საქარხ. სკოლა და სახელმწიფო ელექტრო-ტრესტი; ლარიბოვი—ა.-კ. მ. გლეხთა ინსპექცია, გზათა სახ. კომის. რწმუნებულის საქართველო და სახელმწიფო ბანკი; კონოვალოვი—აღმშენებელთა ადგილკომი, სახელმწიფო კონსერვატორია და სატელეფონო ქსელი; ივანცოვი—გემო-კვების კავშირი, ა.-კ წყალთა სამმართველო; სეკავარიშვილი—გზატკეც. სამმართველო, სახ. ოპერა, სამრეწ. ბანკი; კომახიძე—ა.-კ. სასოფ. - სამეურნეო ბანკი, ტელეგრაფი, მანქანოტრესტი; ხარაშვილი მ.—რეზინოტრესტი. სამუსიკო წარმოებადი, ამიერ-კავკ. ხორცით ვაჭრობა; შავდია ბ.—ამიერ-კავკ. სახელმწიფო საგეგმო კომისია, აბრეშუმის ქარხნის ცენტრ. პარტ. სკოლა; ახალაძე ნ.—მილიციის სამმართველო, საქ. ფინ. სახ. კომისარიატი, თბილ. აღმასკომი; უნგლიშვილი ი.—„სოფლის კავშირი", სახელმწიფო გამომცემლობა, ქალ. ბანკი; კოჩიაშვილი მიხ.—რკინის გზის პროფ განათლ. განყ. რკინის გზის საგადასახადო დარგის სამსახური, მუშ. ფაკულტეტი; ოდიაშვილი ალ.—შ—ჩ ვ, საბარგო სადგური, რკ. გზ. სამ. გარაჟი; ოკუჯავა მიხ.—რკ. გზ. სახ. პოლიტ. სამმართველო, მაუდის ქარხანა, „ზაკაიტოპრომტორგი" მხიტარიან ვ.—მეტყავენი, ნიკოძეს სახ. საგ. საქარხნო სკოლა, „მკერავი" № 2; ავაკიმიან ს.—შტატგარეშე ტრანსპორტი. ნავთსაბარგო სადგური, სპეც. დანიშნულების იზოლატორი; ივანესიან ვაგან—ქარხ. ადგილკომი № 14, 2 შრომის სკოლა; ოვანესიან გარ.—ქალაქ. აბანოები, მტვირთავები; ისრაელიან ს—2 სამრეწველო ეკონომ. ტექნიკუმი, 86 სკოლა; გიუნეშან ი.—თურქული შრომის სკოლა, წყალსადენის სახელოსნოები; ბაბანიან—მეფურნეები, აბრეშუმის მქსოვი ფაბრიკა, აღმასკომის ქეთილმოწყობის განყოფილება; ალანჯანიან—საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობა, ს.მ.უ.ს. თვითმშრომელი ხელოსნები;

მიმაგრებულ ამხანაგებმა ყოველივე ცნობების მისაღებად უნდა მიმართონ საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის ცენტრალურ კომისიას, რომელიც მოთავსებულია გაზეთ „რაბოჩაია პრავდა"-სთან, დილის 9-დან საღამოს 5 საათამდე. ოთახი № 8—10.

—:—

„კომუნისტი"-ს ყველა მუშკორები, რომლებიც ზემოდმოყვანილ სიაში არიან აღნიშნული, უნდა გამოცხადდნენ დღეს, ოთხშაბათს, საღამოს 6 საათზე რედაქციის ბინაზე (კამოს ქუჩა № 68) ინსტრუქციების მისაღებად.

მოსაგვარებელი საკითხი

(რკინის გზის სამმართველოს საყურადღებოდ)

ამიერ-კავკასიის გზებზე და შეიძლება სხვაგანაც, არსებობს შემდეგი წესი: მგზავრების ასვლა-ჩამოსვლა სახალხო მატარებლების ვაგონებში მხოლოდ ერთი კარებიდან ხდება, რაც მგზავრებს შორის იწვევს დიდ აურზაურს. განსაკუთრებით ეს ემჩნევა პატარა სადგურებზე, სადაც მატარებლები ორ-სამ წუთს ჩერდება. ამ შემთხვევაში მგზავრები ეჯახებიან ერთმანეთს და ხშირად რჩებიან ან გადმოუსვლელი ვაგონიდან, ან ვერ ასწრებენ ვაგონში შესვლას, ან მიმავალ მატარებელზე ხტებიან, რასაც მოსდევს უბედური შემთხვევები.

ზემოხსენებული წესრიგი დასაშვებია კიდევ დიდ სადგურებზე—როგორიც ბათომი, თბილისი, ბაქო და სხვ. პატარა სადგურებზე კი ძლიერ უხერხულია. რომ ეს უხერხულობა მოისპოს და მგზავრებს გაუადვილდეს ვაგონებში შესვლა, ამიტომ სადგურზე მისვლის დროს უნდა გაიღოს ვაგონის ორივე კარები, ერთი ასასვლელად, მეორე გადმოსასვლელად.

შეიძლება რკინის გზის ადმინისტრაციამ სთქვას, რომ მეორე ღია კარებში, რომელიც იქნება დანიშნული გადმოსასვლელად, იქაც მგზავრები მოინდომებენ ასვლას და მათ მეთვალყურე არავინ ეყოლებათო, ეს არ იქნება სწორი. ჩვენ ვიცით, რომ ყველა ვაგონს ყავს თავისი გამცილებელი, როდესაც ის სდგას თავის ვაგონის კარებში მგზავრების მისაღებად, მისი მეზობელი ვაგონის კარები ღია იქნება გადმოსასვლელად და გამცილებელს ყოველთვის შეუძლია მხოლოდ მისცეს წინადადება მგზავრებს, რომ აქედან ასვლა არ შეიძლება, რაც დიდ შრომას არ გამოიწვევს გამცილებლების მიერ. ამასთანავე შეიძლება ვაგონების კარებს გაუკეთდეს შესაფერი წარწერაც, თუ საიდან სწარმოებს ვაგონებში შესვლა, ან გადმოსვლა. ეს არც დიდ ხარჯებს გამოიწვევს და მიმოსვლის საქმეც დიდად გაადვილდება.

აქსიომა.

—:—

მეტი ყურადღება მუშფაკში შემსვლელ მოჯამაგირეებს

როგორც ვიცით, მმართველი პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან მოჯამაგირეთა კულტურული დონის ამაღლების საქმეს. თითქმის ყოველდღე ვკითხულობთ გაზეთებში, რომ საჭიროა მოჯამაგირეობას მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. მაგრამ სამწუხაროა ის არის, რომ ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას ბევრი დაბრკოლებები ეღობება წინ.

ამ ზაფხულში მოჯამაგირეებისათვის გახსნილი იყო ერთთვიანი მოსამზადებელი კურსები, რომ შემდეგ მათ განეგრძოთ სწავლა მუშფაკში. ერთი თვის განმავლობაში წერა-კითხვის უცოდინარმა მოჯამაგირეებმა ვერ მოასწრეს შესაფერისი ცოდნის შეძენა, ხოლო მათგან მუშფაკის მასწავლებლები და საგამოცდო კომისია მოითხოვენ გაცილებით იმაზე მეტის ცოდნას, რაც იციან. ასეთ პირობებში ვერც ერთი მოჯამაგირე ვეღ მოხვდება მუშფაკში, ხოლო დამქირავებელნი მათ უკანვე აღარ მიიღებენ სამუშაოდ.

ამიტომ მიწა-ტყის კავშირის ცენტრ. გამგეობამ უნდა იზრუნოს მოჯამაგირეთათვის რომ განათლების კომისარიატმა გახსნას მოსამზადებელი ჯგუფი. რითაც საშუალება მიეცემათ მეცადინეობის.

ამ მტკივნეულ საკითხს დროზე უნდა მიექცეს ყურადღება.

მოჯამაგირეთა დავალებით დ. კვალიშვილი.

მუშკორთა წერილებიდან

უპატრონო სახლი. პლეხანოვის ქუჩაზე სახლი № 121 არის მუშფაკელების საერთო საცხოვრებელი და ეკუთვნის განათლების კომისარიატს, ხოლო ამ სახლის პირველი სართული ტატიანოვის ქუჩიდან ქალაქის აღმასკომისაა, აქ სცხოვრობენ რკინის გზის მუშები. სახლის მმართველს ვერ ვხედავთ, ხშირად წყალი არაა, ეზოც უსუფთაოა და არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. საჭიროა აღმასკომმა დაგვიხსნას ასეთი მდგომარეობიდან.

დეპოს მუშა.

—:—

უნდა მოეთხოვოს პასუხი. ფოსტალიონები საჭირო ყურადღებას არ აქცევენ ფოსტით გადმოგზავნილ გაზეთების ხელისმომწერთათვის დროზე მიტანას. მაგ. გაზ. „გუდოკი"-ს ნომრებს აგროვებენ 7—8 ნომერს ერთად და შემდეგ ურიგებენ ხელის მომწერლებს. ასეა სხვა გაზეთებიც. საჭიროა ფოსტის მმართველმა მოსთხოვოს დამტარებლებს თავიანთი მოვალეობის პირნათლად შესრულება.

ბ. მ—იანი.

უვარგისი „სიყაირათე"

(მ.-გ. ინსპექციის საყურადღებოდ)

ყოველნაირი საკანცელარიო მასალებს, როგორიც არის ფანქრები, კალმისტარი, კალმები, ქაღალდები და სხვა, აწოდებს სამასალო დარგის განყოფილება ყველა რკინის გზის დარგებს. ასეთი ცენტრალური საწყობი მოთავსებულია რკინის გზის სამმართველოში, რომლის გამგედ ითვლება მოქ. აიდინოვი.

ხსენებული აიდინოვი ყველას ერთნაირად არ უცქერის და მისი შეხედულებით ზოგს აძლევს კარგი ხარისხის ფანქრებს და ზოგს კი უვარგისს. მაგალითად თბილისის დეპოს ყოველთვიურად სჭირდება კანტორის მოხელეებისათვის 180 ცალი ქიმიური ფანქარი და 120 ცალი უბრალო შავი, თითო ფანქარი უნდა ყოფნიდეს თანამშრომელს ნორმით ერთ თვეს, მაგრამ სამწუხაროდ არამც თუ ერთ თვეს, არამედ ორ დღესაც ვერ ძლებს ფანქარი მისი უვარგისობის გამო, ხოლო უვარგისობა გამომდინარეობს მისი დაბალი ხარისხით.

რა თქმა უნდა ასეთი ნორმის შემდეგ თვითონ კანტორის მოხელეებს უხდებათ ფანქრის თავიანთი ფულით შეძენა. შეიძლება ეს ბრალი არ მიუძღვის მოქ. აიდინოვს, მაგრამ რატომ ერთ დარს კარგი ხარისხის ფანქრებს აძლევს, ხოლო მეორეს კი ყოვლად უვარგისს?

ერთი სიტყვით, სამასალო განყოფილება ვერ იქცევა კანონიერად და მისი აგენტები კომისიებთან ერთად პასუხისგებაშია მისაცემი ასეთი უვარგისი მასალების შეძენისათვის, რადგანაც ადვილად შეიძლება კარგი ხარისხის ფანქრების შეძენა. მაშ რისთვის არის მიმღები კომისია თუ ყოვლად უვარგის მასალებს „ბრმად" ღებულობს?

ასეთ „სიყაირათეს" უნდა მიექცეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ საჭირო ყურადღება.

მუშკორი ძია—ლევან.

ქალთა გათვითცნობიერება და ჟურნალი „მშრომელი ქალი"

ამ ბოლო დროს გახშირდა ქალთა წრეების დაარსება წარმოება-დაწესებულებებთან. ამ წრეებს ფრიად საპატიო მიზანი აქვთ დასახული: თვითგანვითარება, შესწავლა ჩვენი წარსულისა, ლიტერატურისა, ისტორიისა და სხვა. ქალთა შორის კვალიფიციური ცოდნის ასამაღლებლად დაარსებულია აგრეთვე სხვადასხვა კურსები, როგორიცაა მაგალითად: ჭრა-კერვის, ქალთა საპარიკმახერო მანქანაზე მუშაობის ბავშვთა კერების და სხვა.

ამას გარდა, საქართველოს პროფსაბჭომ ყველა პროფორგანიზაციებს მისცა წინადადება, რომ საპასუხისმგებლო სამუშაოზე დასაწინაურებულ ამხანაგებში წამოუყენებიათ მუშა-ქალებიც და საერთოდ გაეფართოებიათ მათი მონაწილეობა საზოგადოებრივ და პროფესიონალურ ორგანიზაციებში.

ყოველივე ამას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში, მაგრამ საჭიროა ამ მუშაობის კიდევ უფრო გაღრმავება, გაფართოვება, უფრო მეტი გეგმიანობის შეტანა და არსებულ წრეებს შორის ორგანიზაციული კავშირის შექმნა.

ყველა ამ ამოცანის გადაწყვეტაში ერთობ დიდ როლს თამაშობს ლამაზათ გამოცემული ჟურნალი „მშრომელი ქალი". რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი მოწინავე ქალები, ეს ჟურნალი, განსაკუთრებით დიდ ხელმძღვანელობას უწევს ქალთა წრეებს პროვინციაში, მათ კულტურულად დაწინაურების საქმეს, მათ შორის ფართე აღმზრდელობითი მუშაობის გაცხოველებას, მშრომელი ქალების ახალი ცხოვრებისა და კულტურის გზაზე უფრო აქტიურად გამოსვლას. ამიტომ საჭიროა თვითეულმა მშრომელმა ხელი შეუწყოს ჟურნალის წინსვლის საქმეს.

ნიკ. კველიშვილი.

მორიგი გაწვევა წითელ ჯარში

წითელი არმიის მომავალი მებრძოლნი

მხიარულად და ლამაზად გამოიყურება გასაწვევი პუნქტი. იმას, ვინც არ იცის, რომ ამ შენობაში სწარმოებს ახალგაზრდობის გადარჩევა წითელ ჯარში გასაგზავნათ, ეგონება, რომ აქ ხალხს მოუყრია თავი რაღაც ზეიმის გამო.

სინამდვილეში ეს ასეც არის: ახალგაზრდობა ზეიმით მიეშურება წითელი ჯარის რიგებისაკენ.

სადგურიდან, რომლის პირდაპირ იმყოფება გასაწვევი პუნქტი, გამოდის ხანში შესული გლეხი, ეტყობა რაღაც საქმისათვის ჩამოსულა თბილისში. უნებლიედ აქცევს ყურადღებას წითელი დროშებით მორთულ შენობას და ეკითხება მილიციელს:

— ამხანაგო, დღეს რამე უქმე ხომ არ არის, საქმისათვის ჩამოვსულვარ სოფლიდან და ვაი თუ დღეს ვერაფერს ვნახო.

მილიციელი ღიმილით აძლევს პასუხს. გლეხი გაკვირვებული მიდის გასაწვევ პუნქტისაკენ და ასევე გაკვირვებით უმზერს ეზოში თავმოყრილ მხიარულ ახალგაზრდობას.

— პაპა, შენ რაღაზე მოსულხარ, შენც ხომ არ გიწვევენ ჯარში?—ეკითხებიან ხუმრობით ახალგაზრდები.

— დიდი სიამოვნებით წავიდოდი ჯარში, მოხუცებულობას რომ არ დავეძლიე. რა გიშავთ, შვილებო, კაი დროსა სცხოვრობთ. ყაზარმაში გასწავლიან, კაცებათ გაგხდიან. ამ ტანჯვას არ გამოსცდით, რა ტანჯვაშიაც ჩვენ გვიხდებოდა სამსახური—უპასუხებს მოხუცი ახალგაზრდებს.

ახალგაზრდებს სულით და გულით უნდათ განაგრძონ საუბარი მოხუცთან, მაგრამ ეძახიან ზევით კომისიაში.

დერეფანში რამოდენიმე ახალგაზრდა სავსებით გატიტვლებულია. და ელოდებიან რიგს, გაიღო კარები და გამოვიდა ერთი მათი ამხანაგი.

— რა ქენი ბიჭო, მოგიღეს?

— რატომ არ მიმიღებენ? კოჭლი არა ვარ და ბრმა—უპასუხებს იგი ამაყად და კმაყოფილებით—ცხენოსანში დამინიშნეს.

ამხანაგები შურით და თან პატივისცემით უმზერენ მომავალ ცხენოსანს.

კომისიის სხდომის ოთახში შედიან „უბრალო" მოქალაქეები, და იქიდან გამოდიან უკვე წითელ არმიელებათ.

— ნეტავი ვიცოდე, რომელ ნაწილში გამგზავნიან?—ამბობს ერთი გასაწვევი ახალგაზრდა და თან ეტყობა მოუთმენლობა—ძალიან მინდა მოხვდე საავიაციო ნაწილში.

— მამა ღმერთს შეევედრე და ის გიშველის—ეუბნება ამხანაგი.

— მამა ღმერთი რას უშველის. ისევ სულიწმინდას მიმართე, იმას უფრო გასავალი აქვს—ურთავს ხუმრობით მეორე ამხანაგი.

ასე მხიარულად მიდის ახალგაზრდობა წითელ ჯარში, არ არის ძალდატანება, ტირილი—როგორც იყო ძველ დროს.

წითელი არმიის მომავალი მებრძოლნი სრული შეგნებით და ხალისით მიდიან თავისი ვალის მოსახდელათ მშრომელთა ქვეყნის წინაშე.

ელი.

გაწვევის დღიური

თბილისის მე-10 სამილიციო უბანში მცხოვრებ ახალგაზრდების გაწვევა წითელ ჯარში დაიწყება 25 სექტემბერს და დამთავრდება 28 სექტემბერს.

ამ რაიონში მცხოვრები გასაწვევნი უნდა გამოცხადდნენ თბილისის ძირითად გამწვევ კომისიაში.

—:—

19, 20, 21, 22 და 24 სექტემბერს იწარმოებს თბილისის მეშვიდე სამილიციო უბანში მცხოვრებ ახალგაზრდების გაწვევა.

ხსენებულ უბნის ახალგაზრდები უნდა გამოცხადდნენ თბილისის ძირითად გამწვევ კომისიაში.

გუშინ, 18 სექტემბერს, დამთავრდა 1906 წელში დაბადებულთა გაწვევა გარე-კახეთის უბანში.

გაწვევა ჩატარდა წარმატებით. ახალგაზრდობა გამოცხადდა სრული 100 პროცენტით. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა დეზერტირობის, სიმულიაციის ან დამალვის.

—:—

26, 27 და 28 სექტემბერს იწარმოებს თბილისის მაზრის მანგლისის უბანში (მანგლისის და პრიუტის თემები) მცხოვრებ ახალგაზრდობის გაწვევა.

ხსენებულ უბანის ახალგაზრდობა უნდა გამოცხადდეს მანგლისში თემაღმასკომის შესაკრებ წერტზე.

გასაწვევ პუნქტზე

წითელი არმიელი უხსნის გაწვეულებს შაშხანა თოფის დაშლა-აწყობას

საბჭოთა საქართველო

წერილები

საჭიროა მეტი სიმტკიცე

საბჭოთა ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკა ყველასათვის ნათელი და გარკვეულია. ყოველგვარი გადასახადებისაგან განთავისუფლებულია მშრომელი გლეხობის 35 პროცენტი. ე. ი. გლეხობის ულარიბესი ნაწილი, საშუალო შეძლების გლეხობა იხდის ნორმალურ გადასახადს, ხოლო შეძლებული გლეხობა—კულაკები იბეგრება თავიანთი შემოსავლიანობის მიხედვით შედარებით უფრო დიდი გადასახადით. ამგვარად ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკაში სავსებით დაცულია კლასიური პრინციპი.

სულ სხვა იყო თვითმპყრობელური მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა. მთავრობა და მისი აგენტები სოფლად იცავდნენ მემამულეებისა და კულაკების ინტერესებს და თავის თავად ცხადია გადასახადების მთავარი სიმძიმე კისერზე აწვა ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობას.

კულაკურ და ანტისაბჭოთა ელემენტებს არ მოსწონთ საბჭოთა მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა. ისინი ჩუმათ. თუ აშკარად ეწევიან აგიტაციას ხელისუფლების წინააღმდეგ, გადასახადის გაწერის დროს მალავენ თავის შემოსავლის ნამდვილ რაოდენობას; მაგრამ რაც ყველაზე უფრო საგულისხმოა, ეს არის მათი მუქარა სოფლად მომუშავე საბჭოს წევრებისა და აქტიური მუშაკების წინააღმდეგ.

ამის მაგალითს ადგილი ქონდა ამ დღეებში პლეთის თემის (თბილისის მაზრა) სოფელ კოგნაურში. 7 სექტემბერს, როდესაც მილიციონერმა საგადასახადო ფურცელი ჩააბარა ამავე სოფლის კულაკებს, მათ ასტეხეს განგაში, შეურაცყოფა მიაყენეს თვით მილიციონერს, ზოგიერთებმა უკანვე გადაუყარეს საგადასახადო ფურცლები და იერიში მიიტანეს საბჭოს წევრ გიორგი კიდელაშვილზე. კულაკებზე დიდი გადასახადების შეწერის მიზეზად კიდელაშვილი დასახეს. როგორც საბჭოს წევრი და მას სიკვდილითაც დაემუქრნენ.

კულაკების ასეთ თავაშვებულობას სხვა თემშიაც აქვს ადგილი. ეს ხდება განსაკუთრებით იქ, სადაც მშრომელი გლეხობის კულტურული დონე დაბალია და ადმინისტრაცია ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე.

კულაკებს არ უნდა მიეცეს ნება, რომ მათ სიკვდილით დაემუქრონ სოფლად მომუშავე ამხანაგებს და მით უმეტეს მშრომელი გლეხობის მიერ არჩეულ საბჭოს წევრებს. რამდენიც არ უნდა იწუწუნონ კულაკებმა და მათმა ამყოლმა ანტისაბჭოთა ელემენტებმა, სულ ერთია ისინი ხელისუფლებას თავიანთ სასარგებლოდ ვერ შეაცვლევინებენ საგადასახადო პოლიტიკას. ხოლო მუქარითა და ლანძღვა-გინებით საბჭოთა მუშაკებს ხელს ვერ აალებინებენ მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ მუშაობაზე.

ყოველ შემთხვევაში, თემ-აღმასკომებს მართებთ მეტი სიმტკიცის გამოჩენა კულაკებთან წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ მათ თავაშვებულობას ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო.

მშრომელი.

დროზე უნდა გამოირკვეს

ს. დიღომი, თბილისის მაზრა

დიდხანს მუშაობდა დიღომის კოოპერატივში ნოქრის თანამდებობაზე ამხ. ნესტორ ბახტაძე. ამ ხნის განმავლობაში ბევრჯერ ხდებოდა რევიზია, მაგრამ მას არასოდეს კაპეიკი არ დაკლებია. გასულ წელს უცებ გავრცელდა ხმა, რომ ბახტაძეს გაფლანგული აქვს 900 მანეთამდე კოოპერატივის ფული, რის გამო ის მიცემულ იქნა პასუხისგებაში. მას შემდეგ გადის თვეები. აინტერესებს გლეხობას სასამართლომ ნახონ მათი ქონების გამფლანგველი, მაგრამ თვეები წლებად იქცა და დღესაც ეს საქმე მიფუჩეჩებულია გლეხობა მოითხოვს საქმის გამორკვევას. თვით ბახტაძეც ითხოვს წაყენებულ ბრალდების დამტკიცებას, მაგრამ ყურის მდგებელი არავინ არის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბახტაძე აქ სრულიად მართალია, აქ სულ სხვანაირადაა საქმის ვითარება. როგორც ირკვევა კოოპერატივის გამგე კალანდაძე ცეკავშირიდან გამოტანილ საქონელს ყიდდა გზაზე დიღომში მიტანამდე. ბევრია შემთხვევა, რომ საქონლის მაგიერ, მან ფული დააბრუნა უკან, რის საბუთები ბუღალტერიაში ინახება.

საჭიროა ცეკავშირის გამგეობამ სასწრაფოდ გამოარკვიოს დიღომის კოოპერატივის მდგომარეობა და ნამდვილი დამნაშავე აღმოაჩინოს.

[illegible] ნი—ძე.

დანაპირებს სამი წელია ველოდებით

ორპირის თემი, ქუთაისის მაზრა

სამი წელი გავიდა, რაც ქუთაისის განათლების განყოფილება მანდიკორის 7 წლედს მეექვსე ჯგუფის მომატებას პირდება, მაგრამ დღემდისაც ვერ ვეღირსეთ. 1923 წელში მოხდა მანდიკორის და კურსების თემების გაერთიანება ორპირის თემის სახელწოდებით. გაერთიანება ეხებოდა მთლიანი ადმინისტრაციული ცენტრის შექმნას, ხოლო კულტურული დაწესებულებანი უნდა დარჩენილიყო თავ-თავის ადგილზე.

მანდიკორის თემის შემადგენელი სოფლები მდებარეობენ ჩრდილოეთით, რომლებიც ტყიბულის რკინის გზის ხაზიდან დაშორებულია რამოდენიმე კილომეტრით.

1926 წ., როდესაც განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა მანდიკორის შვიდწლედი სოფლის ახალგაზრდობის სკოლად გადაკეთება, ქუთაისის განათლების განყოფილებამ შეუძლებლად მიიჩნია, ეს მოხდა იმიტომ რომ სკოლა დაშორებული იქნებოდა რკინის გზის ხაზიდან და მაზრიდან ამოსულ ინსტრუქტორებს გაუძნელდებოდათ მისი დათვალიერება: ამიტომ გადასწყდა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის გახსნა ორპირის ოთხ წლედში, ხოლო ყოფილ მანდიკორის თემს კი დაავალეს ესარგებლად ორპირის სკოლით, განა შეიძლება მოწაფემ შვიდი კილომეტრის მანძილზე ფეხით იაროს სკოლაში, სადაც ყოველ დღე უნდა დაჭყოს.

ეხლა გავეცნოთ, თუ რა მდგომარეობაშია ორპირის თემში არსებული შვიდწლედები. კურსების შვიდწლედს, რომელიც გლეხური ახალგაზრდობის სკოლიდან დაშორებულია სამი კილომეტრით და თანაც რკინის გზის ბაქანთან ახლოს არის, ხშირად ნახულობენ განათლების განყოფილების წარმომადგენლები. რაც შეეხება მანდიკორის არა სრულ კომპლექტიან შვიდწლედს, რომელიც თემის ცენტრიდან და რკინის გზიდანაც დაშორებულია შვიდი კილომეტრით, უყურადღებოდაა მიტოვებული. ორი სამოსწავლო წელი შესრულდა, რაც მანდიკორის შვიდწლედი და მისი ოთხწლედები ქუთაისის განათლების განყოფილებას არ უნახავს, ამის გამო ხშირად გაიგონებთ გლეხობიდან საყვედურს: თუ რკინის გზას არ გადმოვახვევინეთ ჩვენი სოფლებისკენ, ან ჩვენ არ გადავესახლეთ რკინის გზის პირას, ჩვენი საშველი არ არის"-ო.

რა მდგომარეობაშია გლეხური ახალგაზრდობის სკოლა? ამ სკოლას მოწაფეთა რიცხვი საკმაო არა ყავს, ვინაიდან მანდიკორის ხარჯზე მისი ზრდა არ მოხერხდა, ბავშვები სიშორის გამო ვერ დადიან. ამ სკოლაზე ფული ბევრი იხარჯება, ხოლო რომ მუშაობა გაშალოს, სამისო პირობები არა აქვს. ერთი მხრით სამ კილომეტრზე ახლავს კურსების 7 წლედი, სადაც მიდიან მახლობელი 4 წლედის მოწაფეები და მეორე მხრივ დასამუშავებელი მიწის ნაკვეთები ჭაობიანია. ეს სკოლა მხოლოდ რკინის გზის ბაქანზეა ახლოს და ხელსაყრელია დასათვალიერებლად მივლინებულ პირებისთვის.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ორპირის თემის განსაკუთრებულ პირობებს. კურსების შვიდწლედი ალბად მომავალ წლიდან უნდა გაკეთდეს გლეხურ ახალგაზრდობის სკოლად, იქვე სამ კილომეტრზე იქნება ორპირის გლ. ახალ. სკოლა, ხოლო ყოფილ მანდიკორის თემს კი არც ერთი და არც მეორე ხუთ ჯგუფ დამთავრებული მოწაფეები სკოლის გარეშე რჩებიან. ეს მდგომარეობა კი გულს უცრუებს გლეხობას საერთოთ სასწავლებელზე.

რომ სასწავლებლების დაჯგუფება ამ ვებერთელა თემის ერთ კუთხეში არ მოხდეს, საჭიროა მანდიკორის 7 წლედში შემოღებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო განხრა (მეფუტკრეობა, მევენახეობა და მეხილეობა), რომლის შესაძლებლობას იძლევა საფონდო მიწები, რომელიც ზედვე აკრავს სკოლას.

„გიორ-მანამ".

წერილებიდან

ლანჩხუთი, (გურია). ლანჩხუთის თემის—მაჩხვარეთის, ნათლისმცემლის და ლაშის ღელის გლეხობამ გაერთიანებულ კრებაზე დაადგინა: აღარ იდღესასწაულონ რელიგიური დღესასწაული „ნათლისმცემლის თავისკვეთა" ეს დადგენილება ეცნობა მახლობელ თემის გლეხობას.

გ. ფ.

ს. აწყური, (ახალციხის მაზრა). 5 სექტემბერს აწყურის კლუბში გლეხობას უჩვენეს შვიდმოქმედებიანი კინო-სურათი, ხოლო მეორე მოქმედებად ზემი ახალი გზის გახსნის გამო. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აჭარელ ქალების ზემში მონაწილეობამ. გლეხობამ დაადგინა აჭარისტანის მთავრობას გამოუცხადოს მადლობა.

ვანკტუში.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

ა.-კ. თამბაქოს ტრესტების შესვლა საკავშირო თამბაქოს სინდიკატში

ა.-კ. სახკომსაბჭომ საჭიროდ და დროულად სცნო ა.-კ. რესპუბლიკებში არსებული თამბაქოს ტრესტების (საქთამბაქო, აზერბეიჯანის ტრესტების და სომხეთის ს. მ. უ. საბჭოს თამბაქოს ფაბრიკის) შესვლა თამბაქოს სინდიკატში.

აჭარისტანის და აფხაზეთის ფაბრიკებს კი წინადადება მიეცა შეუთანხმდნენ სინდიკატს თავისი პროდუქციის გადაცემის შესახებ საკომისიოდ.

ა.-კ. თამბაქოს ტრესტები თამბაქოს სინდიკატში შედიან იმ პირობით, რომ უკანასკნელმა სავსებით უზრუნველყოს მათი პროდუქციის რეალიზაცია. ა.-კ. რესპუბლიკების ახლო მდებარე რაიონებში (შუა აზიის რესპუბლიკები და სპარსეთი) განსაკუთრებით უნდა ვრცელდებოდეს ა.-კ. თამბაქოს ტრესტების პროდუქცია.

ა.-კ. სახკომსაბჭომ ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატისა და მეთამბაქოეთა ყრილობის გეგმის თანახმად დაამტკიცა თამბაქოს პლანტაციების შემდეგი სივრცე: საქართველოში (აფხაზეთითურთ) 14.000 დეს.; სომხეთში—500 დეს. და აზერბეიჯანში 50 დეს. რაოდენობით.

ამიერ-კავკასიაში თამბაქოს მრეწველობის განვითარების მიზნით თამბაქოს ტრესტებს დაევალა გააუმჯობესონ პროდუქციის ღირსება და შექმნან სტანდარტული მარკები, მიიღონ ზომები თამბაქოს პლანტაციების გასაფართოვებლად ექსპორტის შემდგომ ზრდასა და თამბაქოს მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით.

საქ. სახკომსაბჭოში

ამხ. ტალახაძის დანიშვნა

იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილედ დაინიშნა ამხ. ტალახაძე.

ამხ. ა. კობახიძის დანიშვნა

ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოში) მოადგილედ დაინიშნა ამხ. ა. კობახიძე.

ამხ. ხვედელიძის დანიშვნა

საქართველოს მარგანეცის ტრესტის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა ამხ. ხვედელიძე.

ამხ. თ. დოლიძის განთავისუფლება

იუსტიციის სახ. კომისრის მოადგილე ამხ. თ. დოლიძე განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან.

საავადმყოფოს და სკოლის აგება ხევსურეთში

ხევსურეთის საავადმყოფოსა და სკოლის აგების მუშაობის საჭიროებისათვის გადებულ იქნა ხსენებულ აღმშენებლობისათვის გადადებულ თანხიდან 15.000 მან.

როგორ მიმდინარეობს ნათესების კონტრაქტაცია

ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოში) სამმართველოს ცნობით, შემოდგომის ნათესების კონტრაქტაციის ჩასატარებლათ, სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებთან ხელშეკრულებების დადების კამპანია დასრულდა.

ხელშეკრულებები დაიდო 72000 ჰექტარზე. გეგმით კი გათვალისწინებული იყო 7000 ჰექტარი. აღნიშნულ სივრციდან 1000 ჰექტარი დაითესება მუხუდოზე.

სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობები თავის მხრივ ხელშეკრულებებს სდებენ მთესველებთან (კოლმეურნეობები, გლეხთა ჯგუფური განაერთები და სხვა). უკანასკნელ ცნობების თანახმად ხელშეკრულება მთესველებთან დადებულია 4000 ჰექტარზე.

ნათესების კონტრაქტაცია იმდენათ წარმატებით დაიწყო და ხელსაყრელ პირობებში მიმდინარეობს, რომ მოსალოდნელია სექტემბრის დამლევისათვის დასრულება.

ახალი სამოსწავლო წელი

საქარხნო-საფაბრიკო სკოლების რეორგანიზაცია

განათლების კომისარიატის პროფგანათლების მთავარსამმართველოს ცნობით, გასულ სამოსწავლო წელში თბილისში არსებობდა 8 საქარხნო-საფაბრიკო სკოლა—ცენტრალური საქარხნო-საფაბრიკო სკოლა, ამხ. კამოს სახელობის სკოლა და თბილისის აღმასკომის საქარხნო-საფაბრიკო სკოლა.

საქარხნო-საფაბრიკო სკოლები უმთავრესად უნდა იხსნებოდეს რომელიმე დარგის მრეწველობასთან, ამ უკანასკნელისათვის ახალი კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადების მიზნით. მაგრამ ჩვენში, კერძოდ თბილისში, სადაც მსხვილი მრეწველობა ჯერ კიდევ არ არის განვითარებული, აღნიშნული პრინციპის მიხედვით სკოლების გახსნა შეუძლებელი ხდება.

ამიტომ გადაწყდა არსებულ საქარხნო-საფაბრიკო სკოლების რეორგანიზაცია და მათი ერთ—ცენტრალურ საქარხნო-საფაბრიკო სკოლაში გაერთიანება. დღემდე ცენტრალურ საქარხნო-საფაბრიკო სკოლას ინახავდა მარტო განათლების კომისარიატი, რომლის ხარჯით სკოლასთან მოწყობილი იყო ინტერნატი.

დამდეგ სამოსწავლო წლიდან სკოლასთან არსებული ინტერნატი აღარ იარსებებს. საჭიროდ მოსწავლეებს კატეგორიების მიხედვით მიეცემა ხელფასი. საერთოდ სკოლას მიეცემა ქარხნის ხასიათი.

სკოლა მოამზადებს მუშებს მრეწველობის სხვადასხვა დარგებისათვის და მოსწავლეები სპეციალობასთან ერთად მიიღებენ დაბალ განათლებას.

სკოლის შესანახათ განათლების კომისარიატმა გადასდო 90.000 მანეთი და თბილისის აღმასკომის ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებამ 100.000 მ. სახალხო მეურნეობის უმ. საბჭომ იკისრა სკოლის მომარაგება საჭირო მოწყობილობით და დამატებით თანხების გაღება, თუ კი ამას მოითხოვს სკოლის საჭიროება. წელს გაერთიანებულ ცენტრალურ საქარხნო-საფაბრიკო სკოლაში მიღებული იქნება 50 ახალი მოსწავლე.

შემდეგ ახალ საფაბრიკო-საქარხნო სკოლების გახსნა იწარმოებს წინასწარ შემუშავებულ გეგმით, რომლის მიხედვით სკოლის გასახსნელად უნდა გაერთიანდეს რამდენიმე წარმოება-ქარხანა, რომ შესაძლებელი გახდეს სკოლის უზრუნველყოფა მატერიალურით და ამავე დროს ახალი მუშა-ხელის მომზადება სწარმოებდეს მოთხოვნილებასთან შეფარდებით.

მეორე სამრეწველო ეკონომიურ ტექნიკუმის გადაკეთება

დამდეგ სამოსწავლო წლიდან თბილისში არსებული მეორე სამრეწველო - ეკონომიური ტექნიკუმი გადაკეთებული იქნება გიდროტექნიკურ ტექნიკუმად. ტექნიკუმს ექნება ქართული, რუსული და სომხური განყოფილებები. თხოვნების მიღება იწარმოებს 22 სექტემბრამდე. სწავლა დაიწყება 1-ლ ოქტომბრიდან. ტექნიკუმი მოთავსებულია ყოფ. სამრეწველო-ეკონომ. ტექნიკუმის შენობაში (რიყის ქუჩა № 2).

შემოდგომის თესვა

ავჭალის თემში

ავჭალის თემში საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის მზადება დაიწყო ორი თვის წინად. ადგილობრივ თემ-აღმასკომთან დაარსებულ იქნა სათემო კომისია, რომელშიც შედის 7 კაცი. სოფლებში გლეხთა კრებებზე ჩატარებულ იქნა მოხსენებები გლეხობისათვის სათესლე მასალებისა და სასოფლო იარაღ-მანქანების მიწოდების შესახებ. მოხსენება-საუბრობის ჩატარების შემდეგ გლეხობა შეუდგა მიწების ხვნას. მიწების ხვნა დაიწყო და ამ დღეებში დამთავრდება. სოფ. დიდ და პატარა გლდანში, ზემო და ქვემო ავჭალაში, ლილოში, მამკოდაში, ცხვარი-ჭამიაში, მშრალ ხევში, დიდ ველის და მეჯინის მიდამოებში და სხვა ადგილებში, თესვის ხელის შემწყობ კომისიამ ღარიბ გლეხობას მიაწოდა სათესლე მასალის ნაწილი, რომელიც გამოიძებნა ადგილობრივ. გლეხობის სათესლე მასალით უზრუნველსაყოფად სათემო აღმასკომმა კახეთის მაზრაში მიავლინა ერთი გლეხი, რომელმაც ადგილობრივ შეიძინა კარგი ხარისხის სათესლე მასალა. აღმასკომს განზრახული აქვს ერთი გლეხი აზერბეიჯანშიაც მიავლინოს.

საშემოდგომო თესვა ერთი კვირის შემდეგ დაიწყება.

ი. ჯ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებულთა სია

(დასასრული *)

სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტი

(1—12)

უგულავა შალვა ილარიონის ძე, ახათიანი შალვა კონსტანტინეს ძე, ლანჩავა დავით ვასილის ძე, შარია ივანე ერასტის ძე, ბერიძე სერგო გიორგის ძე, ვეფხვაძე მიხეილ, ქანჩაველიშვილი სიმონ, გაბისონია დავით ნიკოს ძე, გაბისონია მარკოზ როსტომის ძე, კუკულავა შალვა ათანასეს ძე, ხუციშვილი თამარ ონისიმეს ასული, შავლაძე გრიგოლ კონსტანტინეს ძე.

პედაგოგიური ფაკულტეტი

(1—31)

კაკაურიძე თამარ გრიგოლის ასული, გიორგობიანი შალვა ლავრენტის ძე, შუბაშვილი თამარ ივანეს ასული, გოგნიაშვილი მარგარიტა აბრამის ასული, ნოროზაშვილი თამარ სიმონის ასული, ჭრელაშვილი ივანე ნიკოლოზის ძე, ტაბადუა სევერიანე პეტეს ძე, გოგოლაშვილი მარგო კონსტანტ. ასული, სეხნიაშვილი მიხეილ ივანეს ძე, ბარკალაია გიორგი ანტონის ძე, შანიძე კონსტანტინე დომენტის ძე, ქორჩილავა ტარიელ ივანეს ძე, შანიძე ირაკლი მალხაზის ძე, სურგულაძე ანატოლი დიომიდეს ძე, კოზანავა მიხაკო სიმონის ძე, მაღრაძე ვარლამ პიმენის ძე, ფრანგულაშვილი ვასილ სიმონის ძე, ბაბუაძე გიორგი სერგოს ძე, თოხაძე ნინო ლავრენტის ასული, ქურთიშვილი თამარ ნიკოლოზის ასული, თავაძე დავით ივანეს ძე, ჩიხლაძე ერადი ერასტის ასული, ნატროშვილი რომანოზ ნიკოლოზ. ძე, შავგულიძე ვარლამ იაკობის ძე, სნიბროვსკაია ნინო დიმიტრის ასული, კურცხალია გიორგი ალექსანდრეს ძე, შავლაყაძე თამარ ისიდორეს ასული, სიტატაშვილი კონსტანტინე მინას ძე, ნიკურაძე ქეთევან ივანეს ასული, ძაგნიძე ვარლამ ერმილეს ძე, ახათიანი თედო მიხეილის ძე,

პოლიტექნიკური ფაკულტეტი

(1—29)

მამულაშვილი შალვა დავითის ძე, კვანტალიანი დავით დავითის ძე, ტურაშვილი ვახტანგ აბრამის ძე, ჯიბუტი ილია [illegible] ძე, სურგულაძე ანატოლი დიომიდეს ძე, [illegible] პორფირე გრიგოლის ძე, წიკორიძე მიხეილ ილარიონის ძე, ძიმისტარიშვილი გუნა სოკრატეს ძე, მაზმანიშვილი გიორგი გრიგოლის ძე, აზიკური მიხეილ ნიკოლოზის ძე, ვახანია ევგრაფი ყარამანის ძე, კაჟაშვილი გიორგი ივანეს ძე, ნადიბაიძე ალექსანდრე გრიგოლის ძე, მალაკელიძე ივანე ალექსის ძე, ფიჩხაია ევგენი გრიგოლის ძე, ბელეშაძე ალექსანდრე მელიტონის ძე, თავაძე დავით ივანეს ძე, მინდიაშვილი შოთა სპირიდონის ძე, ავაქოვი მიხეილ ივანეს ძე, ზალდასტანიშვილი დიმიტრი დიმიტრის ძე, ჯაბუა გიორგი ანდრიას ძე, ბიჩინაშვილი ზაქარია აბრამის ძე, ჯოქია ალექსანდრა კონსტანტ. ასული, ბაქრაძე გიორგი ალექსანდრეს ძე, გვეტაძე ილია ივანეს ძე, გეგეშიძე ვასილ ნაუმის ძე, მალალაშვილი რევაზ იოსების ძე, გამყრელიძე გიორგი ივანეს ძე, ბერიძე შოთა კონსტანტინეს ძე.

სამკურნალო ფაკულტეტი

(1—17)

ხარაძე ივანე ალექსის ძე, გოგიტიძე ალექსანდრე ზოსიმეს ძე, ჭეიშვილი თამარ პორფილეს ასული, ბაქრაძე თამარ პეტრეს ასული, ჯიბლაძე ქეთევან სერგოს ასული, ბარდაველიძე ნიკოლოზ ტრიფონის ძე, მარქაროვი სურენ მიხეილის ძე, შეყლაშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე, გვასალია ლიდა ელიზბარის ასული, ხარაძე ივანე ალექსის ძე, ახათიანი შალვა კიმოთეს ძე, დოლიძე ნიკოლოზ რაფიელის ძე, ბერიშვილი თინა იოსების ასული, ახალაძე პეტრე ვარდენის ძე, სარიჩევი ალექსანდრე ვასილის ძე, ზაქარაია ნიკოლოზ იოსების ძე, დოლმაზაშვილი ნინო ივანეს ასული,

აგრონომიული ფაკულტეტი

(1—11)

მეგრელიშვილი ნიკოლოზ იასონის ძე, ნემსაძე მარგარიტა დიმიტრის ასული, ყენია ნიკოლოზ ფილიპეს ძე, პაპუაშვილი გრიგოლ დავითის ძე, პაპუაშვილი ნიკოლოზ ბეჟანს ძე, კეჩხუაშვილი ვლადიმერ გრიგოლის ძე, ამაღლობელი ნიკოლოზ იესეს ძე, წვიწვაძე იორამ დიმიტრის ძე, ასიტოვი ივანე იაკობის ძე, პეშკოვი კონსტანტინე, ელიაძე შალვა ყაისარის ძე

---

*) იხ. „კომუნისტი" № 216.

პურის დამზადება ამიერ-კავკასიაში

პურის დამზადება საქართველოში და სომხეთში შედარებით სუსტად მიმდინარეობს იმის გამო, რომ მოსავალი ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის პირველი ათი დღის განმავლობაში დაგვიანდა. რაც შეეხება აზერბეიჯანს, დამზადების გეგმა იქ გადამეტებით არის შესრულებული სომხეთში პურის დამზადებას შეუდგნენ მხოლოდ სექტემბრის დასაწყისში, ხოლო სექტემბრამდე სწარმოებდა მოუმკელი პურის შესყიდვა. უკანასკნელი ცნობებით, 11 სექტემბრისათვის სომხეთში აიგიუხკოოპმა შეისყიდა 65.000 ფუთი მოუმკელი პური (ხორბალი და ქერი).

პირველ თვეს, ე. ი. ივლისის განმავლობაში, დამზადებულ იქნა (ათას ფუთობით):

	აზერბეიჯ.	საქართვ.	სულ
ხორბალი	77	12	89
ქერი	130	8	183
სულ	207	15	222

საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის გეგმით, ივლისში მთელ ამიერ-კავკასიაში უნდა დამზადებულიყო 200.000 ფუთი, ფაქტიურად კი დამზადდა 222.000 ფუთი, ე. ი. ივლისის განმავლობაში ამ.-კავკ. ს. ფ. ს: რესპუბლიკაში გეგმა შესრულებულ იქნა 115 პროც., კერძოდ აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკაში ივლისის გეგმა შესრულებულ იქნა 138 პროც., საქართველოში კი გეგმა შესრულებულ იქნა მხოლოდ 80 პროც., რის მიზეზითაც იყო საგრძნობი განსხვავება საბაზრო ფასებსა და დაწესებულ მტკიცე ფასებს შორის.

ადგილობრივი პურის მიწოდების გაძლიერების გამო აგვისტოში პურის გეგმიანმა დამამზადებლებმა 100 პროც. მეტი დაამზადეს.

აგვისტოში უნდა დამზადებულიყო 500.000 ფუთი, ფაქტიურად კი აგვისტოს განმავლობაში დამზადებულ იქნა 416.000 ფუთი, აქედან:

	აზერბეიჯ.	საქართვ.	სულ
ხორბალი	102	29	131
ქერი	273	12	285
სულ	375	41	416

ე. ი. აგვისტოს გეგმა ამ.-კავკ. ს. ფ. ს: რესპუბლიკაში შესრულებულია 80 პროც: გეგმის სავსებით შეუსრულებლობა აიხსნება, ერთის მხრივ, იმით, რომ გეგმაში შეტანილ იქნა სომხეთი, სადაც მოსავლის დაგვიანების გამო დამზადება არ სწარმოებდა და, მეორეს მხრივ, იმით, რომ პურის დამზადება საქართველოში სუსტად სწარმოებდა საბაზრო ფასებსა და დაწესებულ მტკიცე ფასებს შორის საგრძნობი განსხვავების გამო.

აზერბეიჯანში აგვისტოში გეგმა შესრულებულ იქნა 7 პროც. გადამეტებით, საქართველოში კი გეგმა შესრულებულ იქნა მხოლოდ 40 პროც.

სექტემბერში დამზადებულ უნდა იქნას 500 ათასი ფუთი. თუ მხედველობაში მივიღებთ პირველ და მეორე ხუთდღეულში დამზადებულ რაოდენობას, უნდა ვიფიქროთ, რომ გეგმა სავსებით იქნება შესრულებული მით უფრო, რომ ამ.-კავკ. თითქმის ყველა რაიონებში ხორბლისა და ქერის მოსავლის აკრეფისა და პურის შემოტანის გაძლიერების გამო მოისპობა საბაზრო და დაწესებულ მტკიცე ფასებს შორის არსებული განსხვავება და კოოპერაცია შესძლებს დაიპყროს პურის დამამზადებელი ახალი რაიონები, სადაც დამზადება განვლილი ორი თვის განმავლობაში არ სწარმოებდა.

სექტემბრის პირველი ათი დღის განმავლობაში. არასრული ცნობებით, დამზადებულ იქნა 159.000 ფუთი, აქედან:

	აზერბეიჯ.	საქართვ.	სულ
ხორბალი	50	7	57
ქერი	98	4	102
სულ	148	11	159

ამგვარად, ივლის-აგვისტოს და სექტემბრის 10 დღის განმავლობაში ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში სულ დამზადებულ იქნა 797 ათასი ფუთი, აქედან:

	აზერბეიჯ.	საქართვ.	სულ
ხორბალი	229	48	277
ქერი	501	19	520
სულ	730	67	797

როგორც ამ ციფრებიდან სჩანს, 2 თვის და ათი დღის განმავლობაში დამზადებულ იქნა 800.000 ფ. მარცვლეული, ხოლო წლიური გეგმის მიხედვით დამზადებულ უნდა იქნას 1.685 ათასი ფუთი, მაშასადამე, წლიური გეგმა ამ შედარებით მცირე ხნის განმავლობაში შესრულებულ იქნა თითქმის სანახევროდ.

კერძოდ, წლიური გეგმა ქერის დამზადების დარგში შესრულებულ იქნა 62 პროც., ხორბლის—33 პროც.

უნდა ვიფიქროთ, რომ პურის დამზადების წლიური გეგმა ამიერ-კავკასიაში სავსებით იქნება შესრულებული.

ამიერ-კავკასიის ხე-ტყე უცხოეთის ბაზარზე

დაბრუნდა ა.-კ. სახვაჭრობის ხე-ტყის ექსპორტის ხელმძღვანელი ინჟინერი შულიაცკი, რომელიც საზღვარგარედ იყო მივლინებული.

ამხ. შულიაცკიმ მოიარა პოლონეთი, გერმანია, ჩეხო-სლოვაკია, ავსტრია, იტალია და ახლო აღმოსავლეთი იმ მიზნით, რომ გაეცნობოდა ჩვენი ხე-ტყის გასასაღებელ ბაზრებს. ბაზრების გაცნობამ აშკარა გახადა, რომ ჩვენს თელასა და წიფელას სავსებით შეუძლია კონკურენცია გაუწიოს რუმინიისა და სამხრეთ-სლავიის ხე-ტყეს. ყველგან ტყის მრეწველები დიდ ინტერესს იჩენდნენ ჩვენი ხე-ტყისადმი. მოგზაურობასთან დაკავშირებით გადაიშალა ჩვენი ხე-ტყის ექსპორტისა და ჩვენი სატყეო მრეწველობის განვითარების დიდი პერსპექტივები. ამხ. შულიაცკისთან ერთად ჩამოვიდა ჩრდილოეთ იტალიის მსხვილი ტყის მრეწველი ბ-ნი კასენი, რომელმაც ამიერ-კავკასიის სახვაჭრობისაგან შეიძინა 125 ტონი კაკლის ლიერების საკითხს (ადს).

ხე და 50 ტონი სხვა მასალა. ამიერ-კავკასიის სახვაჭრობამ უკვე შეუკვეთა აბხაზეთის სატყეო ტრესტს 200.000 კუბ. ფუტი სოჭის მასალა იტალიისათვის. ამ შეკვეთის შემდეგ მოელიან, რომ სიცილიის ბაზრისათვის შეკვეთილი იქნება ორ მილიონ კუბ. ფუტი სოჭის მასალა, ახლო აღმოსავლეთი დიდ ინტერესს იჩენს საყუთე მასალისადმი, რომელიც პალესტინასა, სირიასა, ირაქსა და ეგვიპტეში გატანილი იქნება 8 მილიონი კომპლექტის რაოდენობით.

მახლობელ დღეებში ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან მოწვეული იქნება სატყეო თათბირი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ამიერ-კავკასიის ხე-ტყის მასალის დამამზადებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები. თათბირი განიხილავს ხე-ტყის ექსპორტის გაფართოების საკითხს (ადს).

თბილისის ახალი წყალსადენი

(საუბარი ინჟ. დიასამიძესთან)

თბილისის ახალი წყალსადენის აგება დაიწყება მიმდინარე წლის ნოემბერში — პირველ წელიწადს დაიხარჯება 2.500.000 მანეთი. — გერმანიის და საბჭოთა კავშირის სპეციალისტებმა წყალსადენის პროექტი მოიწონეს

თბილისის ახალი წყალსადენის სამუშაოების მთავარმა ინჟინერმა და ხელმძღვანელმა ინჟ. დიასამიძემ იმ მუშაობის შესახებ, რომელიც წყალსადენის გასაყვანად სწარმოებს, ჩვენი გაზეთის თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

მე არ შევჩერდები იმაზე,—განაცხადა ინჟ. დიასამიძემ,—თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ქალაქის მცხოვრებლებისათვის სუფთა და საღ წყაროს წყლის მიწოდებას.

ეს საშვილიშვილო და საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი განზრახვა უკვე განხორციელების პროცესშია. ნატახტარის წყაროების გამოსაყვანად შედგენილ პროექტების განსახილველად და წარმოებულ მუშაობის შედეგების შესასწავლად აგვისტოს შუა რიცხვებში ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ხელმძღვანელობით დაარსდა სპეციალური საექსპერტო კომისია 40 წევრის შემადგენლობით. კომისია დაყოფილი იქნა 4 ჯგუფად: სანიტარულ-ჰიგიენური, საამშენებლო-ტექნიკური, ჰიდრო-გეოლოგიური და ეკონომიური. წყალსადენის პროექტის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხების დეტალურად შესასწავლად თვით ჯგუფებთან დაარსებულ იქნა ქვე-კომისიები.

როგორც ჯგუფებმა, ისე ქვე-კომისიებმა უკვე სავსებით დაამთავრეს თავისი მუშაობა და წარდგენილ მასალებს გაეცნენ, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად (ადგილობრივ სამუშაოების დათვალიერებით).

ჯგუფებისა და ქვე-კომისიების დასკვნები განხილული იქნა სპეციალური ცენტრალური კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე, რომელზედაც კომისიამ სავსებით დამაკმაყოფილებლად და მისაღებად სცნო ნატახტარის წყაროების გამოსაყვანად წარმოებული მუშაობა და პროექტი.

ამ კომისიასთან ერთად პარალელურად მუშაობდა საბჭოთა კავშირის სპეციალისტ-ექსპერტების კომისია, რომელშიაც შედიოდნენ სპეციალისტები: ჰიდრო-გეოლოგი პროფ. ილინი, რ. ს. ფ. ს. რ. კომუნალურ მეურნეობის მთავარი ინჟენერი ვუშერინი და სახალხო საქმის მთავარი ინჟენერი ბრიუზგინი. ამ კომისიის გარდა საგამოკვლევო-საექსპერტო მუშაობას აწარმოებდა თბილისის აღმასკომის მიერ გერმანიიდან მოწვეული ცნობილი სპეციალისტები პროფ. ოგენ ბროდი და პროფ. პრინცი.

მასალების დაწვრილებით გაცნობისა და პროექტების ადგილობრივ ძირითად სამუშაოებთან პრაქტიკულად შეფარდების შემდეგ მოხდა საბჭოთა კავშირის და გერმანელ სპეციალისტების გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც ექსპერტებმა ჩატარებული მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნეს და აღნიშნეს, რომ ახალ წყალსადენის გამოსაყვანად წარმოებული მუშაობა და პროექტები წარმოადგენს ძვირფას მასალას და რომ ის შესრულებულია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

ექსპერტებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ სავსებით სწორია გამოტანილი დიაგნოზი წყლის მარაგის შესახებ. რაც შეეხება წყლის ღირსებას, ის საუკეთესოა ქიმიურად და მეტად საღია.

შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით,—ამბობს ინჟ. დიასამიძე,—ახალი წყალსადენის სავსებით მოწყობა დაჯდება 9 მილიონი მანეთი. წყალსადენის აგებიდან 10 წლის შემდეგ წყალზე მოთხოვნილების გაზრდის შემთხვევაში, წყალსადენის გასაფართოებლად საჭირო იქნება კიდევ 5 მილიონი. წყალსადენი პირველ წელიწადს ქალაქს მიაწვდის 3.500.000 ვედრო წყალს დღე-ღამეში, შემდეგ წლებში—7.000.000 ვედრომდე. გაფართოების შემდეგ კი წყალსადენს შეუძლია ქალაქს მიაწოდოს ნატახტარის წყაროების მთელი მარაგი—11.000.000 ვედრო წყალი დღე-ღამეში.

წყალსადენის აგება დაიწყება მიმდინარე წლის ნოემბერში და სავსებით დამთავრდება 1930—31 წლის დასასრულს, ე. ი. სამი წლის განმავლობაში. პირველ წელიწადს დაიხარჯება 2.500.000 მან., მეორე წელში—3.500.000 მან. და უკანასკნელ—მესამე წელში—3.000.000 მან., სულ 9 მილიონი მანეთი, აქედან თბილისის აღმასკომი გაიღებს 4.500.000 მანეთს (ყოველ წელში 1.500.000 მან.), ხოლო დანარჩენი თანხები—4.500.000 მანეთი გაღებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტით. წყალსადენის გაყვანის საქმისათვის ხელმძღვანელობის გასაწევათ თბილისის აღმასკომთან ახლო ხანში დაარსებული იქნება საამშენებლო კომიტეტი.

პროექტი ისეთი ვარაუდითაა შედგენილი რომ წყალსადენის აგება იწარმოებს საბჭოთა კავშირში დამზადებულ მასალებით და ადგილობრივი ძალების დახმარებით. უცხოეთიდან შემოტანილი იქნება მასალების უმნიშვნელო რაოდენობა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ახალი წყალსადენისათვის გამოყენებული იქნება არსებულ წყალსადენის მაგისტრალები და ამ მხრივ არავითარი ცვლილებას ადგილი არ ექნება.

ახალი წყალსადენის აგებასთან პარალელურად იწარმოებს გეგმის შედგენა ნატახტარის წყაროების წყალის მისაწოდებლად კოჯრისათვის და მის ახლო მდებარე სოფლებისათვის.

ამ წყალსადენისათვის წარმოებულ წინასწარ მუშაობის დროს დაგროვილ მასალებს რ. ს. ფ. ს.-რის სპეციალისტების აზრით იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ჰიდრო-გეოლოგიის შემდეგი განვითარებისათვის საბჭოთა კავშირში, რომ განზრახულია მათ შესანახად მოეწყოს მუზეუმი და მასალები გამოიცეს ცალკე წიგნათ.

ქრონიკა

მოქალაქეთა საყურადღებოდ

ქალაქის კომენდანტი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ შაბათს, 22 სექტემბერს, ერმოლოვის, ტროცკის, ბესიკის და ყიფიანის ქუჩებში და მათ რაიონში გარნიზონის ერთ-ერთი ნაწილი ჩაატარებს საცდელ „ბრძოლას ქუჩაში“.

რემედასის დღე

საქართველოს რემედასის ცენტრალური კომიტეტი პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებთან ერთად, 20 სექტემბერს ბაქოს 26 კომუნარის დახვრეტის 10 წლის თავზე—აწყობს რემედასის დღეს. ამ დღის რემედასის თაოსნობით 26 კომუნარის დახვრეტის ისტორიის გასაცნობად მუშათა ფართო მასებისათვის წარმოება-დაწესებულებებში და მუშათა კლუბებში მოეწყობა შესაფერი საღამო-მოხსენებები.

საჩვენებელი სამხედრო მანევრები

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა და მელითონეთა კავშირები თავისი წევრების გასამხედროების მიზნით კვირას, 23 სექტემბერს, აწყობენ საჩვენებელ სამხედრო მანევრებს.

მანევრებში მონაწილენი დაყოფილი იქნებიან ორ მოწინააღმდეგე რაზმად, რომელთა შორის მოხდება შებრძოლება კოჯორსა და წავკისს შუა მდებარე მთებზე.

გამოცემული იქნება სპეციალური ბრძანება, რომელშიაც ნაჩვენები იქნება შესაკრები პუნქტი, მანევრებზე გასვლის დრო და „ბრძოლის“ წეს-რიგი.

დიფფერენციალური პაი კოოპერაციაში

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში ადგილი აქვს დიფფერენციალური საპაიო გადასახადის შემოღების ცდებს. ვინაიდან დიფფერენციაციის საკითხი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის დამუშავებული, ცენტროსოიუზმა და მუშათა კოოპერაციის ცენტრალურმა სექციამ წინადადება მისცეს ადგილებს ჯერ-ჯერობით თავი შეიკავონ არსებული საპაიო სისტემის შეცვლისაგან, სანამ შემუშავებული არ იქნება მთელს სამომხმარებლო კოოპერაციაში დიფფერენციალური საპაიო გადასახადის შემოღების ერთიანი ფორმები.

მოგების ნაწილი—ტეხნიკურ განათლებაზე

საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა საკავშირო სახკომსაბჭოს წინაშე, რომ სახელმწიფო წარმოებებმა 1928 წლის პირველი ოქტომბრიდან დაწყებული მოგების 3 პროცენტი გადარიცხონ საშუალო და უმაღლეს ტეხნიკური განათლების საჭიროებებისათვის. ეს თანხები მოხმარდება ტეხნიკურ სამოსწავლო დაწესებულებების მოწყობილობის გაუმჯობესებას და ახლად კურსდამთავრებულ ინჟენერ-ტეხნიკოსების გაგზავნას უცხოეთში თავისი ცოდნის გასაღრმავებლად.

პროფ. შმიდტ ოტტოს მოხსენება

ხუთშაბათს, 20 სექტემბერს საღამოს რვა საათზე მეცნიერების მუშაკთა სექციაში (განათლების მუშაკთა სახლი) პრუსიის სახალხო განათლების ყოფ. მინისტრი და აღმოსავლეთის შემსწავლელ გერმანულ საზოგადოების თავმჯდომარე პროფ. შმიდტ ოტტო წაიკითხავს მოხსენებას: „მეცნიერების მიღწევანი გერმანიაში მსოფლიო ომის შემდეგ“.

სოფლის ახალი სამკითხველოები

პოლიტგანათლების მთავარსამმართველობის ცნობით წელს ზუგდიდის და სენაკის მაზრებში გაიხსნება სოფლის 13 სამკითხველო.

წყალსადენი გარე-უბნებში

თბილისის წყალსადენის სამმართველოს ცნობით, წელს წყალსადენის მილები გაყვანილ იქნა ავლაბარში, ნაძალადევში და მთაწმინდის რაიონში, სულ 9 ნახ. კილომეტრის სიგრძეზე.

გარდა ამისა წელს წყალსადენი გაყვანილ იქნა 750 სახლში, უმთავრესად გარეუბნებში.

თბილისის აღმასკომმა გამოსცა დადგენილება, რომლის ძალით იმ რაიონებში მცხოვრებთ, სადაც გაყვანილია ქუჩის მაგისტრალები, ევალებათ სახლებში წყალსადენი გაიყვანონ თავის ხარჯზე.

სახლებში წყალსადენის გასაყვანად მუშა-მოსამსახურეებისათვის დაწესებულია შეღავათი, რომლის მიხედვით წყალსადენის გასაყვან ხარჯებს მუშა-მოსამსახურე იხდის წლიწად ნახევრის განმავლობაში. ვინაიდან მომავალ წელში ახალი წყალსადენის გაყვანის დაწყების გამო წყალსადენის სამმართველოს საშუალება არ ექნება გააფართოოს წყალსადენის ქსელი ქალაქში, ამიტომ კომუნალურ ბანკიდან გამოთხოვილია სესხათ 100.000 მანეთი ამ საქმისათვის.

თბილისის აღმასკომში

◆ **კანალიზაცია.** კომუნალური მეურნეობა შეუდგა საკანალიზაციო ქსელის გაფართოებას გარე-უბნებში.

◆ **სახლების შეკეთება.** უძრავ ქონებათა სამმართველომ ახლად ჩამორთმეულ სახლების კომენდანტებს წინადადება მისცა წარმოადგინონ მათდამი ჩაბარებულ სახლების შეკეთების ხარჯთაღრიცხვა.

სხვადასხვა

◆ **ყრილობა.** 10 ოქტომბრისათვის მოწვეულია ფეიქართა სრ. საქართველოს ყრილობა.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** გამბურგიდან—კიგილოვას, ქიათურიდან—კილოსანიას, მუხრანიდან—მიქიაშვილს, ჯულფადან—მინასიანს.

ხელოვნების ქრონიკა

სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ნამუშევრების მორიგი გამოფენა

კვირას, 23 სექტემბერს, დღის 12 საათზე სამხატვრო აკადემიის შენობაში გაიხსნება აკადემიის სტუდენტთა ნამუშევრების მორიგი გამოფენა. შესვლა თავისუფალია. გამოფენა გაგრძელდება 30 სექტემბრამდე.

მოცეკვავეთა შეჯიბრება

სამშაბათს, 25 სექტემბერს, „უოკეი კლუბში“ შესდგება საქართველოს ყველა კუთხეების მოცეკვავეთა შეჯიბრება. საუკეთესო მოცეკვავეს ჯილდოთ მიეცემა 300 მან. შეჯიბრების შემდეგ გაიმართება კონცერტი. შესრულებული იქნება ხალხური სიმღერები.

ა. ი. სუმბათაშვილის ძეგლი

17 სექტემბერს შესრულდა ერთი წელი, რაც გარდაიცვალა სახალხო არტისტი და დრამატურგი ა. ი. სუმბათაშვილი. მოსკოვიდან მიღებული ცნობით 17 სექტემბერს განსვენებულის საფლავზე დადგმული იქნა ძეგლი. ამავე დღეს საღამოს მცირე თეატრში გაიმართა მისი ხსოვნის საღამო.

ქართული დრამა აფხაზეთში

სოხუმიდან თბილისში ჩამოვიდა სოხუმის აკადემიურ თეატრის ხელმძღვანელი, რომლის ჩამოსვლის მიზანია თბილისში მოეწყოს ქართველ მსახიობებისაგან სოხუმისათვის დასის შედგენა. ქართული დრამა სოხუმში იმუშავებს 6 თვეს, 2 თვეს კი აფხაზეთის სხვადასხვა კუთხეებში, მათ შორის გალში, ოჩემჩირეში, გუდაუთში, გაგრაში და სხ.

სოხუმის ქართული დრამის დასის და რეპერტუარის შედგენა უკვე დაწყებულია.

ქართულ დრამისათვის სოხუმის აღმასკომს გადადებული აქვს სათანადო თანხა. გარდა ამისა, სეზონის წარმატებით ჩატარების მიზნით, აღძრულია შუამდგომლობა საქართველოს მთავრობის წინაშე დამატებითი დოტაციის შესახებ.

თბ. საბჭოს სექციების მუშაობის გასაცხოველებლად

თბილისის საბჭოს სექციების მუშაობის შესახებ თბილისის აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ამხ. აკოფოვმა შემდეგი განაცხადა:

მომავალ საბჭოთა არჩევნებთან დაკავშირებით განზრახულია სექციების საშუალებით მოვახდინოთ იმის შემოწმება, თუ რამდენათ ასრულებენ დეპუტატები ნაკაზებს და ამომრჩეველთა დავალებებს.

პირველ რიგში ჩატარებული იქნება აღმასკომის განყოფილებების მუშაობის გამოკვლევა და შემდეგ მთავარ წარმოებებთან დაარსებული იქნება კომისიები, რომლებსაც დაევალებათ მუშა-მოსამსახურეების კრებების მოწვევა. ამ კრებებზე განხილული იქნება საბჭოს მუშაობა და აგრეთვე მათ მიერ არჩეულ დეპუტატების მოხსენებები იმის შესახებ, თუ როგორ შეასრულეს ამომრჩეველთა დავალებები და ნაკაზი.

გარდა ამისა განზრახულია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა ჩაბმა სექციების მუშაობაში, რაც დიდათ შეუწყობს ხელს მუშაობის გაცხოველებას. ამ მიზნით გადადგმულია შესაფერი ნაბიჯები. სტუდენტების სექციების მუშაობაში ჩაბმა მოხდება შემდეგი სახით: უმ. სასწავლებლის სტუდენტები დარგების მიხედვით განაწილებული იქნებიან სხვადასხვა სექციებში. მაგალითად, სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტები მიმაგრებული იქნებიან ჯანმრთელობის სექციასთან, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტები განათლების სექციასთან და სხვ.

გარდა ამისა საბჭოს მუშაობის მუშათა ფართო მასებთან გაცნობის მიზნით სექციები დაყოფილი იქნება რამდენიმე კომისიებათ. ეს კომისიები კრებებს გამართავენ სათანადო წარმოება-დაწესებულებებში. ამ კრებებზე მუშა-მოსამსახურეებს გააცნობენ საერთოდ საბჭოს მუშაობას და კერძოდ, რომელიმე განყოფილების მუშაობას. ამავე კრებებზე მოსმენილი იქნება თვით მუშების აზრი, იმის შესახებ, თუ რაა საჭირო მუშაობის უფრო გასაცხოველებლად და შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად.

კომისიების სხდომები იწარმოებს ორშაბათობით მორიგეობით. მაგალითად, ერთ-ერთ ორშაბათს არ შესდგება რომელიმე სექციის სხდომა, სამაგიეროთ ამ დღეს მოხდება კომისიების სხდომები წარმოება-დაწესებულებებში. ასეთი მუშაობა უკვე დაწყებულია. 17 სექტემბერს კომუნალურ მეურნეობის სექციის კომისიებმა სხდომები ჩაატარეს ტრამვაის მუშებში, აბანოებში, წყალსადენში და სხ. სხდომებს მეტად საქმიანი და ცხოველი ხასიათი ჰქონდა.

გარდა ამისა კომუნალურ სექციის დადგენილების მიხედვით განზრახულია ტრამვაის ვაგონებში საფოსტო ყუთების შემოღება, რაც ხელს შეუწყობს კორესპონდენციების თავის დროზე გადაგზავნ-გადმოგზავნას. ფოსტალიონებს უფლება ექნებათ რიგს გარეშე შევიდნენ ვაგონში და უფასოთ იმგზავრონ. სექციების მუშაობის გასაცხოველებლად აგრეთვე განზრახულია შემოღებული იქნეს სექციების თავმჯდომარეთა მოადგილეების მოსამზადებელი ინსტიტუტი.

სასამართლო

„ტექსტილტორგ“-ის № 2 მაღაზიის თანამშრომელთა გასამართლება

თბილისის მაზრის სასამართლო შეუდგა „ტექსტილტორგ“-ის საფართლო მაღაზიის ყოფილ თანამშრომელთა გასამართლებას.

საბრალდებლო სკამზე ზის ექვსი კაცი: მაღაზიის გამგე **მიხეილ გურგენიძე**, მისი თანაშემწე ალექსანდრე აზიზოვი, კანტრალიორი ალექსანდრე კევხიევი, თანამშრომლები: პავლე კობახიძე, გრიგოლ ივანესოვი და კონსტანტინე ლანგე.

საქმის შინაარს იცნობენ ჩვენი მკითხველები (იხ. „კომუნისტი“ № 205).

უბედურ მდგომარეობაში აღმოაჩინეს სარევიზიო კომისიის წევრებმა № 2 საფართლო მაღაზია, რომლის თაროების სიცარიელე მჭერმეტყველურად ღაღადებდა სისტემატიურ ქურდობის შესახებ.

სპეცები ლაპარაკობენ და უდავო ჭეშმარიტებად არის ცნობილი, რომ საფართლო მაღაზიაში, სადაც წვრილ-წვრილადაც სწარმოებს ფართლის გაზომვა, ყოვლად შეუძლებელია თავისთავად ადგილი ექნეს საქონლის დანაკლისს, თუ, რასაკვირველია, ქურდობას არ აქვს ადგილი. პირიქით, საფართლო მაღაზიაში რამდენიმე ხნის ვაჭრობის შემდეგ ყოველთვის თავს იყრის ნარჩენები, ასე რომ ერთი წლის განმავლობაში ნარჩენი საქონლის ღირებულება კარგა მოზრდილ თანხას შეადგენს. საქონლის მომატებას ყოველთვის აქვს ადგილი, დანაკლისს კი არასოდეს, და თუ რამე დანაკლისია, იქ უსათუოდ ქურდიც ახლოს არის.

ასე წარმოიდგინეთ, „ტექსტილტორგ“-ის № 1 მაღაზიაში სულ რამდენიმე თვის ოპერაციების გადასინჯვის დროს, რამდენიმე ათასი მანეთის საქონლის მომატება აღმოაჩინეს.

№ 2 მაღაზიამ კი „თავი ისახელა“ დანაკლისით. იმის მაგიერ, რომ რამდენიმე ათასი მანეთის საქონელი მომატებოდა, 10,528 მანეთის საქონელი სადღაც გაქრა. გაქრა იმიტომ, რომ № 2 მაღაზიაში ქურდები ბლომად მოიპოებოდენ.

გაჰქონდათ ფარულად საქონელი და ზოგს კერძო ვაჭრებს აწვდიდნენ, ზოგს კიდევ ნაცნობ-მეგობრებს სთავაზობდენ.

გუშინდელ სხდომაზე დაიწყო ბრალდებულების დაკითხვა. პირველად დაკითხულ იქნა მაღაზიის ყოფ. გამგე **მიხეილ გურგენიძე**.

გურგენიძე ლაპარაკობს, რომ ასეთი დიდი დანაკლისი მის მაღაზიაში უსათუოდ ქურდობის შედეგი არის, რაშიაც, მისი სიტყვით, მას წილი არ უდევს.

იყო თუ არა შესაძლებელი საქონლის გატანა მაღაზიიდან უჩეკოდ?—ეკითხებიან ბრალდებულს.

ბრალდებული უპასუხებს: უჩეკოდ საქონლის გატანა შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ ნოქარი შეუთანხმდებოდა კანტრალიორს. იშვიათ შემთხვევაში. ნოქარს შეეძლია მოახერხოს ერთ, ან ორი ნაჭერი ფართლის გადაცემა ნაცნობისათვის,—უპასუხებს გურგენიძე.

გურგენიძის აზრით, საქონელი არის გატანილი სისტემატიური ქურდობით და ისიც ძალიან ოსტატურად.

— წინასწარ გამოძიების დროს ვსთქვი და ახლაც ვადასტურებ,—აცხადებს ბრალდებული გურგენიძე,—რომ ამ საქმეში მთავარი დამნაშავე არის კანტრალიორი კევხიევი.

შემდეგ ბრალდებულს შეკითხვას აძლევენ იმ „არალეგალური“ საწყობის შესახებ, რომელიც მაღაზიასთან არსებობდა წინააღმდეგ „ტექსტილტორგ“-ის ა.-კ. კანტორის გაფრთხილებისა.

დიდი მიკიბ-მოკიბვის შემდეგ, ბრალდებული გურგენიძე ლაპარაკობს, რომ საწყობიდან საქონელს ვაძლევდით ისეთ ხალხს, ვისაც ჩვენ კარგად „ვიცნობდით“.

საინტერესოა როგორ „ასაბუთებს“ ყოფ. გამგე მაღაზიიდან გატანილ საქონლის გაყიდვას კერძო პირზე.

— მე ნისიათ გავიტანე რამდენიმე ასეული მანეთის საქონელი პირადი საჭიროებისათვის. ეს იცოდა ყველამ. საქმე იმაშია, რომ ჩემ ცოლს უნდოდა ჭრა-კერვის მასწავლებლობა ზესტაფონში. მეც ვფიქრობდი, რომ მისი მუშაობით ოჯახური პირობები გაუმჯობესდებოდა. გამოვიტანე საქონელი და ვუთხარი ამ მასალით შეგიძლია მუშაობა დაიწყო, შეკერო ტანსაცმელები და გაყიდო გლეხებზე მეთქი. მაგრამ ამ დროს მოხდა მაღაზიის ლიკვიდაცია. საჭირო იყო დავალიანების დაფარვა. ეს გამოტანილი საქონელი გავყიდე და დავალიანება დავფარე...

გრძელდება ბრალდების დაკითხვა. სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე—ამხ. **ბერიშვილი**, სახალხო მსაჯულები: კერესელიძე, კიკალაშვილი. პროკურორი—გ. ტატიშვილი.

„ტექსტილტორგ“-ის სამოქალაქო მხარეს იცავს **არუთინოვი**.

ბრალდებულებს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: **შ. მესხიშვილი, მ. ღვამიჩავა, მკურნალი, დოლუხანოვი, ვაჩნაძე, ჯაფარიძე და ვედევანიშვილი.**

—::—

„ხუმარა“ ხალხის გასამართლება

საჩვენებელი პროცესი

ბრალდებულები ძმ. ოგანეზოვები თავს არ სცნობენ დამნაშავედ და აცხადებენ, რომ „ხუმრობა“—ნემსის სკამში შერჭობა მუსტაფიანმა მოაწყო.

დაზარალებული მოქ. **დანელია** გადაჭრით აცხადებს, რომ სამივე მონაწილეობას იღებდა ამ „ხუმრობაში“. სამივემ იცოდა, რომ იმ სკამს, რომელზედაც ის დაჯდა, ნემსი ჰქონდა შერჭობილი, რასაც ის მოწმობს, რომ როცა იგი ტკივილის გამო ზეზე წამოვარდა, სამივე გულიანად ხარხარებდა.

საინტერესო ჩვენებას იძლევა ექიმი ტყავაძე, რომელიც მკურნალობდა დანელიას რკ. გზის საავადმყოფოში. მოწმე დაწვრილებით ასწერს, რამდენად მძიმე ფორმებში ვითარდებოდა მკურნალობა. მრავალჯერ იქნა გაჭრილი დანელიას სხეული სხვადასხვა ადგილას, მაგრამ უშედეგოდ. განსვენებულმა პროფესორმა კახიანმაც გაუკეთა დანელიას ოპერაცია, მაგრამ ნემსის აღმოჩენა შეუძლებელი გახდა და ხელმეორე ოპერაცია გადადებულ იქნა შემდეგი დროისათვის, როცა პირველი ჭრილობა მოშუშდებოდა. მოწმე ტყავაძე ადასტურებს, რომ დაზარალებული ეხლაც იმავე მდგომარეობაშია. ნემსი იმყოფება სხეულში.

პროცესი დიდ ინტერესს იწვევს. საბჭოთა და სავაჭრო დაწ. მუშაკთა საზაფხულო კლუბი სავსეა დამსწრე საზოგადოებით.

დღეს დაიწყება მხარეების კამათი.

გერ.

შაქრის ქარხანა გორის მაზრაში

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა მოსკოვიდან მიიღო ცნობა, რომ საკავშირო უმაღლეს ორგანოებმა საბოლოოდ გადასწყვიტეს საქართველოში შაქრის ქარხნის აგება.

მათი დადგენილებით 1928-29 წელში შაქრის ქარხნის ასაგებათ სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებული იქნება 4.500.000 მანეთი.

შაქრის ქარხნის გასაშენებლად გორის მაზრაში მოეწყობა საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც გადაეცემა 500 ჰექტარი მიწა. საბჭოთა მეურნეობის მოსაწყობათ და მის მუშაობის წარმატებით საწარმოებლად უკვე გადადებულია 150.000 მანეთი.

საბჭოთა მეურნეობას უხელმძღვანელებს საკავშირო შაქრის ტრესტი და საქართველოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი.

გორის მაზ. შაქრის ქარხნის ასაგებათ შესაფერ ადგილის ამოსარჩევათ და ტეხნიკურ პროექტების დასამუშავებლად გუშინ მოსკოვიდან ჩამოვიდა სპეციალური კომისია, რომელიც სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს სპეციალისტებთან ერთად ამ დღეებში გაემგზავრება გორის მაზრაში, სადაც შეუდგება სათანადო მუშაობას.

მოგებული ტრაქტორი

ქუთაისის მაზრისათვის

გაზეთი „ბედნოტა იუწყება: „ლენინგრადის ქარხანა „კრასნი პუტილოვეც“ ქუთაისში გზავნის „ფორძონის“ სისტემის ტრაქტორს, რომელიც ერთმა გლეხმა მოიგო სოფლის მეურნეობის განმტკიცების სესხის მოგებათა ტირაჟის დროს ქუთაისში“.

შემთხვევები

ჯიბგირობა

თბილისის სადგურში, 17 სექტემბერს ღამით, ვიქტორ იმედაშვილს მოპარეს კალათი სხვადასხვა ნივთებით;—ამავე დღეს ცენტრალურ ბაზარში დიმიტრი პოლატაევს მოპარეს სხვადასხვა ნივთები, ამავე ბაზარში ბენიამინ მინასიანცს მოპარეს გასაყიდად გამოტანილი ქალის ფეხსაცმელები.

შეპყრობა

17 სექტემბერს სისხლის სამართლის მილიციამ ჯიბგირობისათვის შეიპყრო არსენ აკოფოვი;—ამავე დღეს დააპატიმრეს სერგო ივანესძე ლაზაროვი, რომელსაც ბრალდება ავკუტიქ გასპაროვის ბინის გაქურდვა;—ქურდობისათვის შეიპყრეს ნიკოლოზ გიორგისძე ბრუთინოვი.

ქურდობა

17 სექტემბერს აპოლონ უვანიას ბინიდან (ველევის ქ. № 19, გაქურდეს მისმა ნაცნობმა ვალიკო თევდორისძე გოგიტიძემ და მიიმალა;—ამავე დღეს გაქურდეს პელაგია ზელაკუდროვა სბინა (დუშეთის ჩიხი 16);—მორგებული გასაღების საშუალებით ალექსანდრა კანდელაკის ბინიდან (მიჯნის ქუჩა, 45) მოიპარეს 250 მანეთის სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

საქ. პროფსაბჭოში

კულტგანყოფილებათა გამგეების თათბირი

21 სექტემბერს დილის ცხრა საათზე პროფსაბჭოს კულტგანყოფილება იწვევს კავშირების ც. გ. კულტგანყოფილებათა გამგეების თათბირს. თათბირზე განხილულ იქნება პროფსკოლების და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების საკითხი.

ექსკურსიები

დღეს, 19 სექტემბერს, მკერავთა კავშირის ც. გ. ექსკურსიას აწყობს ერევანში. ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებს 35 კაცი. 20 სექტემბერს ექსკურსიას აწყობენ ტრამვაელები—მცხეთაში, კარსანის მაგნიტურ სადგურის დასათვალიერებლად. ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებს 20 კაცი.

მოხსენება საბიბლიოთეკო მუშაობის შესახებ

მოკლე ხანში მოწვეულ იქნება ფართო კულტთათბირი რომელზედაც საბიბლიოთეკო მუშაობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამხ. ხავკინა.

წყალის სპორტის განსავითარებლად და გასაუმჯობესებლად კავშირების ც. გ. მომავალში მეტ ყურადღებას მიაქცევენ და საჭირო ნივთიერ დახმარებას აღმოუჩენენ კავშირების განყოფილებებს, ბათომში, ფოთში და სოხუმში.

სამაზრო საბიბლიოთეკო მუშაკების მოსამზადებელი კურსები

პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებას თანახმად კულტგანყოფილება აწყობს სამაზრო საბიბლიოთეკო მუშაკების მოსამზადებლად თვე ნახევრიან კურსებს. კურსებზე გამოგზავნილი მსმენელები მაზრებმა უნდა მოავლინონ 10 ოქტომბრისათვის, ხოლო სიები და თითო მსმენელზე 75 მანეთი წარმოდგენილი უნდა იქნეს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში პირველ ოქტომბრისათვის. მსმენელთა მისაღებად საჭიროა ჯანმრთელობა, განათლება არა ნაკლებ შვიდ წლედისა, ხანოვანება არა ნაკლებ ოცი წლისა და არა უმეტეს 35 წლისა. უსათუოდ საჭიროა, რომ მსმენელთ ჰქონდეთ არა ნაკლებ ორი წლის სტაჟი დაბალ პროფორგანოებში მუშაობის. დაწვრილებითი პირობები ცალკე ცირკულარით ეცნობა სამაზრო პროფბიუროებს. მეცადინეობა კურსებზე დაიწყება ა. წ. 10 ოქტომბრიდან.

რკინის გზეზე

მოძრაობა აღდგენილია

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ 16 სექტემბერს ერევანში მიმავალმა სამგზ. მატ. № 9-მ კალაგერანი-შაგილის გადასარბენზე, კლდის მოზვავების გამო კატასტროფა განიცადა. დამატებით მიღებულ ცნობების თანახმად, მოძრაობა აღდგენილ იქნა 17 სექტემბერს ნაშუადღევის პირველ საათზე.

დაჯახება

17 სექტემბერს სადგ. ბაქოში, სანიტარულ ჩიხში შესვლის დროს, მემანქანე **ოკოლზინმა** ვერ დააკავა მატარებელი, რომელიც დიდი სისწრაფით დაეშვა და დაეჯახა ჩიხში მდგომ ვაგონებს.

დაჯახების გამო დაიმტვრა ჩიხის ჯებირი და ორი ვაგონი გადავარდა ლიანდაგიდან. სწარმოებს კვლევა-ძიება.

ქურდობა მატარებელში

17 სექტემბერს სუმგაიტ-გიუძეხის გადასარბენზე, უცნობმა პირებმა სცადეს გადასარბენზე მიმავალ მატ. № 452-ის ერთ-ერთ ვაგონიდან საქონლის გატაცება. მატარებელი დაუყონებლივ შეაჩერეს. ქურდები მიიმალენ. მიღებულია ზომები მათ შესაპყრობათ.

ლიკვიდაცია

გზათა სახ. კომისარიატის განკარგულებით პირდაპირი დანიშნულების საწოლ ვაგონების სამმართველო ა. წ. 1-ლ ოქტომბრიდან გაუქმებულია. აღნიშნული ვაგონების ექსპლოატაცია გადაეცა ოქტომბრის რკინის გზებს.

ფიზკულტურა და სპორტი

ფეხბურთი

20 სექტემბერს ლენინის სახელობის სტადიონზე დღის 4 საათზე შესდგება გემოკვების კავშირის ფეხბურთელთა / პირველი გუნდის და რკინის გზელთა პირველი გუნდის (ყოფ. „დინამო“) შეჯიბრება ფეხბურთში.

ფიზკულტურის წრეთა ბიუროების თათბირი

შაბათს, 22 სექტემბერს, საღამოს 7 ნახევარ საათზე მოწვეულია ფიზკულტურის წრეთა ბიუროების მორიგი თათბირი. თათბირზე დასასწრებლად მოწვეული არიან აგრეთვე ყველა ფიზკულტურნიკები. დღის წესრიგი: 1) ამხ. ტესტელეის მოხსენება საკავშირო სპარტაკიადის შედეგებზე, მოხსენების შემდეგ მოხდება დიპლომების და ჯილდოების დარიგება, 2) წრეთა ბიუროების გადარჩევის შესახებ, 3) ინფორმაცია მიმდინარე მუშაობის შესახებ. სხდომის დასასრულს მოხდება ცოცხალი გაზეთის გამოსვლა.

პრესის წარმომადგენელნი სასპორტო ორგანოებში

პროფსაბჭოს ფიზკულტურის ბიურომ ფეხბურთის კომისიაში კომისიის სრულუფლებიან წევრათ მოიწვია, „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს და „რაბოჩაია პრავდა“-ს წარმომადგენელნი. კალათბურთის კომისიაში გაზეთ „კომუნისტი“-ს და „მუშა“-ს წარმომადგენელნი.

მეცნიერება და ტეხნიკა

მზის დაბნელება

მომავალი წლის მაისში მოხდება მზის სრული დაბნელება, რომელიც საინტერესო იქნება თავისი ხანგრძლივობის მიხედვით: მზის დაბნელება გაგრძელდება 5 წუთს. ყველაზე ხელსაყრელი პირობები მზის დაბნელებისათვის თვალყურის სადევნებლად იქნება ფილიპინის კუნძულებზე (წყნარი ოკეანე), სადაც განზრახულია საბჭოთა სამეცნიერო ექსპედიციის გაგზავნა.

საერთაშორისო საავტომობილო კონგრესი

25-დან 29 სექტემბრამდე რომში ჩატარდება საერთაშორისო საავტომობილო კონგრესი. კონგრესის დღის წესრიგშია: 1) ავტომობილების გამოყენება მთავრობის მიერ (ინგლისის დელეგაციის მოხსენება), 2) სათბობი მასალა და მისი ეკონომიური მოხმარება (გერმანიის დელეგაციის მოხსენება), 3) გზების გაუმჯობესება (იტალიის დელეგაციის მოხსენება). 4) საავტომობილო მიმოსვლის დაკავშირება სარკინიგზო მიმოსვლასთან (საფრანგეთის დელეგაციის მოხსენება). 5) ავტომობილების გასაღების გაფართოება და ფინანსების მიწოდება ავტომობილების რეალიზაციის საქმისათვის (შეერთ. შტატების დელეგაციის მოხსენება).

სოკოების მოყვანა... ელექტრონის საშუალებით

ამერიკელი ჟურნალები იუწყებიან ელექტრონის ახალი ორიგინალური გამოყენების შესახებ. ლაპარაკია ელექტრონის ენერგიის გამოყენებაზე... სოკოების მოსაყვანად. შემჩნეულია, რომ სოკოები არაჩვეულებრივად მრავლდება წვიმის შემდეგ. ამ დაკვირვებამ ზოგიერთებს აფიქრებინა ხელოვნური წვიმის გამოწვევა სარდაფებში სტატიური ელექტრონის საშუალებით, რომ გაემრავლებინათ საჭმელად გამოსადეგი სოკოები. ცდებმა, რომელიც ამ მიმართულებით ჩაატარეს, კარგი შედეგი ჰქონია: სოკოების მოყვანა ორჯერ გაადიდეს.

შეერთებულ შტატების სასტანდარტო ბიურო

შეერთებულ შტატების სასტანდარტო ბიურო დიდ მუშაობას ეწევა ცალკე საქონლების გამოცდისა და მათი სტანდარტიზაციის დარგში. ბიუროს თანამშრომლები მეტად საინტერესო ხერხებს მიმართავენ საქონლის სიმაგრის გამოსარკვევად. მაგ. ტანსაცმელსა და მოხმარების საგნებს ათავსებენ ისეთ პირობებში, რომელშიც მათ ჩვეულებრივ უხდება ყოფნა იმ განსხვავებით, რომ ამ პირობებს გაცილებით ართულებენ ბუნებრივთან შედარებით. ასე მაგალითად, მზის სინათლის მაგიერ სარგებლობენ სპეციალური ლამპით, რომელიც მეტ ულტრა-იისფერ სხივებს შეიცავს და ამრიგად მეტად მავნე გავლენას ახდენს საღებავებზე. უამინდობის გავლენის გამოსარკვევად, ტანსაცმელს ათავსებენ წყლის მძლავრი ნაკადის ქვეშ და ოზონით ძლიერ მდიდარ ჰაერში. ნივთებს მთელ რიგ მექანიკური ხასიათის გამოცდას უკეთებენ—ჰუჭნავენ სპეციალური მანქანებით და სხვ. ფეხსაცმელის ძირს უხახუნებენ სპეციალურ დაფაზე და სხვ. ვადას, რომელშიც ასეთ პირობებში გამოცდილი ნივთი ცვდება, ამრავლებენ განსაზღვრულ კოეფიციენტზე, რომელიც გამოცდის სიმძიმეზეა დამოკიდებული და მიღებული ციფრი წარმოადგენს ნივთის ბუნებრივ პირობებში ტარების ზედმიწევნით დაახლოებით ვადას.

ნარევი

არყის სახდელი ქარხანა პარლამენტში

შეერთებულ შტატებში აკრძალულია მაგარი სასმელებით ვაჭრობა. ამ ნიადაგზე ძლიერ გავრცელებულია კონტრაბანდა: გამოქნილი კონტრაბანდისტები ათას ხრიკებს მიმართავენ მაგარი სასმელების ფარულად შესატანად შეერთებულ შტატებში, ამ მიზნით აეროპლანებსაც კი იყენებენ. გარდა კონტრაბანდისა, ძლიერ ბევრია მაგარი სასმელების ფარული ქარხნები. გაზეთები იუწყებიან, რომ ერთი ასეთი ქარხანა აღმოაჩინეს ვაშინგტონში კაპიტოლიუმის (კაპიტოლიუმში იმართება შეერთებული შტატების სენატის სხდომები) ქვეშ.

კონტრაბანდისტების ტრესტი

ფილადელფიაში (ამერიკა) მაგარი სასმელებით ვაჭრობის მოწინააღმდეგეთა შორის აღმოაჩინეს ტრესტი, რომლის კაპიტალი უდრიდა 20 მილიონ დოლარს (40 მილიონ მანეთს). ეს ტრესტი ვაჭრობდა კონტრაბანდული მაგარი სასმელებით.

1000 მუშის წლიური ხელფასი ბანქოში

საფრანგეთის საავტომობილო ქარხნების პატრონმა **სიტროენმა** ერთ საღამოს ბანქოში წააგო 12 მილიონი ფრანკი—1000 მუშის წლიური ხელფასი.

თევზი ბარაკუდა

პანამის (ცენტრ. ამერიკა) ნაპირებთან გამოჩენილა თევზი ბარაკუდა—სიგრძით ერთ მეტრამდე. ეს თევზი ყველაზე საშიშია ტროპიკულ ზღვებში, ადამიანებსაც კი ესხმის თავს.

5000 სულით ავადმყოფი

გერმანიაში ყოველწლიურად საავადმყოფოებში მიჰყავთ 5000 სულით ავადმყოფი, დაავადებულნი ლოთობის ნიადაგზე.

ბაღი—საზღვარი

კანადის მთავრობამ გადასწყვიტა მთელი თავისი საზღვარი შეერთებულ შტატებთან (5.600 კილომეტრი) გადააქციოს ერთ დიდ ბაღად.

რადიო-გადაცემა

— დღეს, **19 სექტემბერს**, თბილისის ოთხკილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება: სახელმწიფო ოპერის თეატრიდან ტრანსლიაცია საღამოსი, რომელიც გაიმართება 26 ბაქოელ კომუნარების ხსოვნის აღსანიშნავად. საღამო დაიწყება 6 საათზე და 30 წუთზე. საღამოს შინაარსი: სამგლოვიარო სხდომა. ამხ. ფილიპე მახარაძის [illegible] მოგონებანი, კონცერტი მიძღვნილი „26“-ის ხსოვნისადმი“.

— **20 სექტემბერი.** რადიო-მუშაკების დასასვენებელი დღეა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ლენრაიონის ყველა კომუჯრედის მდივნებს, ადგილკომის და ცეხ-ბიუროს ფრაქციებს

საქ. კომ. პ. (ბ) ლენინის რაიკომი გაცნობებთ, რომ დღეს, 19 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში მოწვეულია ლენრაიონის სადელეგატო კრებების გამოშვება. გევალებათ გამოგზავნოთ სამ-სამი წარმომადგენელი აღნიშნულ დღისათვის თვითეულ უჯრედიდან, ადგილკომიდან და ცეხ-ბიუროდან.

—

თბილისის სახ. უნივერსიტეტის კომკავშირის ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, შუადღის 12 საათზე მოწვეულია ბიურო-კოლექტივის სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ როგორც წევრები, ისე კანდიდატები.

—

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა ბიურო ამით აცხადებს აქტიურ ამხანაგების საყურადღებოდ, რომ ოთხშაბათს, 19 სექტემბერს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში შესდგება ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა საქალაქო თათბირი, რომელსაც უნივერსიტეტიდან უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: შარაშიძე ალექსანდრე, ორჯონიკიძე იოსებ, მენაბდე შალვა, კიკვიძე შუშანა, გვაზავა გოგუცა, ქლიბაძე გიორგი, ლორთქიფანიძე მარო, ჩოგოვაძე ქსენია, მენაბდე დომენტი, დონაძე ალექსი, მიქაძე ალექსანდრე, ბერეჟიანი შოთა, კორიშინაძე სერგო, ჭარხილაძე პროკოფი, კეკელიძე პროკლე, იმნაძე ვლადიმერ, ქაჯაია ვარლამ, ჯულელი ნიკო, გოცაძე გიორგი, სანაძე ვლადიმერ, ჩილინგარაშვილი ალექსანდრე, წერეთელი ლადო, პაჭკორია მიხეილ, კატარმასოვსკი ბორის, კახიანი ვლადიმერ, კახიანი კონსტანტინე, ხვითარია ივანე, იაშვილი გიორგი, გვაზავა ერასტი, კაშია ილია, დანელია ნიკოლოზ, ლეჟავა გიორგი, ვეფხვაძე ალექსანდრე, ვეკუა ივანე, დანელია თედორე, კაპანაძე შალვა, გოცაძე პეტრე, ქაცარავა სიმონ, ბაბუაძე გიორგი, ლევანაშვილი მარიამ, ჟორდანია დიმიტრი, ვიშნეცკი ივანე, სიმონიშვილი ნესტორ, ავალიანი არჩილ, ყუფარაძე ვლასი, ბუალავა იოსებ, შვიდობაძე გიორგი.

დასაწყისი სრულ 5 საათზე, დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

—

საქ. კომპარტიის თბ. ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი, 19 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, მიმღებ კომისიის სხდომაზე იწვევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს: ვლადიმერ კაპანაძე, მიხეილ კუხიანი, დეავად იუსუფოვი, ბიქტორ კერესელიძე, ერვანდ ჯანიბახჩიევი, ლევან კატკაშვილი, ნოე უგულავა, ივანე ნოვოვრენცულოვი, ელენე ცეცრცვაძე, ალექსანდრე ტურაზიანი, ადამ ჯავახიშვილი, ლეონ ლალაიანი, ალექსანდრე ლობჟანიძე, გერასიმე კერვალიძე, არტაშეს მელქუმიანი, მამიკონ იმიტოვი, ივანე ჯავახიშვილი, ასატურ აზიანი, ქეთო ნუცუბიძე, არჩილ ლომიძე, კონსტანტინე აგანდჟანოვი, ქრისტეფორე მამიევი, კარპ ახპატელოვი, სერგო ასრიბეკოვი, სერგო ბაგრატიონი, ჯიქია, ბერუაშვილი, კიროვი, დავიდოვი, ფომინი, კარაბანიანი, კვიტაიშვილ.

—

დღეს, 19 სექტემბერს, დღის 11 საათზე ცეკას აგიტპროპგანყოფილებაში შესდგება კომისიის სხდომა, რომელზედაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ყურულოვი, ჯულელი, კანდელაკი, მგალობლიშვილი, ტოროშელიძე, ხვედელიძე, მიქაძე და ჯავახიძე.

—

დღეს, 19 სექტემბერს, დღის 10 საათზე ცეკას აგიტპროპგანყოფილებაში შესდგება თათბირი, წერა-კითხვის უცოდინარობასთან და მცირემცოდნეობასთან ბრძოლის შესახებ, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: **ჩხარტიშვილი, მხიტაროვი, ხუციევი, კვაჭაძე და ა. ჭელიძე.**

—

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საარიცხვო-განმანაწილებელი ქვეგანყოფილება წინადადებას აძლევს ქვემო დასახელებულ ამხანაგებს, რომლებმაც დაამთავრეს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირთან არსებული მანქანაზე წერის კურსები, გამოცხადდნენ ოთხშაბათს ა. წ. 19 სექტემბერს დილის სრულ ათ საათზე თბილისის კომიტეტის საარიცხვო-განმანაწილებელ ქვე-განყოფილებაში (ოთახი № 10) ამხ. თარხანოვთან.

1) ალექსანდრა რაჟდენის ასული კვინტრაძე, 2) ვალენტინა გიორგის ასული ნაშატაევა, 3) ვასასი პავლეს ასული კალანდაძე, 4) მარიამ ალექსანდრეს ასული როლოვა, 5) ეკატერინე ალექსანდრეს ასული კანდელაკი, 6) დარეჯან ნოშრევანის ასული ბლუაშვილი, 7) ლიდია ემელიანის ასული ფედოსეევა, 8) ევგენია თედორეს ასული მეხრიშვილი, 9) ნადეჟდა პროკოფის ასული გოგბერიძე, 10) ეკატერინე მიხეილის ასული მელიქიშვილი, 11) ნატალია მიხეილის ასული ხებულაშვილი, 12) პოლია მეფოდის ასული ხეცურიანი.

დამწუხრებული მეუღლე ნინა, შვილები: ნიკა, ალექსანდრე, ზინა, ელენე და თამარი, რძალი მარიამ, შვილიშვილი დოდოთი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 18 სექტემბერს ქ. ოზურგეთში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ომაინ ბეჟანის-ძე ნაკაიძე

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 20 სექტემბერს, დღის 4 საათზე მოიდანახის სასაფლაოზე. (ე)

დომენტი ოტიას-ძე ბენდუქიძე თავის მომუშავეებით, ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ამავე ქარხნის მუშის

დიანოზ ფურცხვანიძის

ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალების გამო, რომლის დასაფლავება მოხდება 20 სექტემბერს, დღის 3 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება—ორჯონიკიძის (ყოფილი ანდრეევის) ქუჩა, № 57. 4209

ქუთაისის 1-ლ ცხრაწლედის და მ-6-ე შვიდწლედის მასწავლებლები, ულრმეს მწუხარებას გამოვსთქვამთ დაუღალავ მუშაკის და უანგარო, დაუვიწყარ ამხანაგის

ნინო ელიზბარის ასული გოხუას

უდროვოდ დაკარგვის გამო 4210

სიცოცხლე გამწარებული მშობლები: პლატონ და მარიხოზ ჭამკვეტაძეები, სამუდამოთ დაჩაგრული ძმები და დები და მამიდა ფედრო თავის მეუღლით, აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ტრაღიკულად დაღუპულ მათი უსაყვარლესი

შალვა ჭამკვეტაძის

ხსოვნის აღსანიშნავად 23 სექტემბერს, დილის 9 საათზე, სოფ. წევაში, მის საფლავზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 4217

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	სეზონის საუკეთესო სურათი	მორევი
აპოლო	სეზონის საუკეთესო სურათი რეჟისორი ნ. შენგელაია ოპერატორი ვ. კერესელიძე საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები	ელისო
სოლეი		
მინიონი		
ეთერი	დადგმის მე-2 კვირა	ნეპტუნი
დარბაზი	გრანდიოზული სურათი	პოეტი და მეფე
პალასი	დადგმის მე-2 კვირა	სპარტაკი
პროლეტარი ავლაბარი	ორი მეგობარი, მოდელი და მეგობარი ქალი	

ს-15

ქალთა ტანისამოსის კოლექტივი

(გაერთიანებული კოლექტივების სმმართველობა თბილისის შრომის ბირჟის კომიტეტთან)

კომინტერნის ქ. № 5, მე-2 სართული ეზოში

ინდივიდუალური და მასიური შეკვეთა

ქალებისა და ბავშვების ტანისამოსზე: პალტოები, კოსტუმები, კაბები და ქალების საცვლები. ბევრი სხვადასხვანაირი ჟურნალი. **არსებობს ქუდების დამამზადებელი განყოფილება;** მიიღება შეკვეთა სეზონის უკანასკნელ მოდებზე. შესრულება სწრაფი და წესიერი. ფასები ზომიერია. ნ. 1594

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 23 სექტემბერს, დილის 10 საათზე

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადაგასულ გირაოებისა, გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 1597

მათემატიკის მასწავლებელი

1929 ს. წ. ამზადებს

ქართულ და რუსულ ენაზე

უმაღლეს სასწავ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., სამხედრ. აკად., 9 წლ. ყველა ჯგუფ. (რუსულსა და მათემატიკაში) მოწმობაზე, მისაღებ და განმეორებითი გამოცდებისათვის აგრეთვე 7 წლედისათვის ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. № 5) 8—1 ს., 2—6 ს ერთ მოწაფეს ვღებულობთ სრულ კმაყოფაზე და ბინით. 3—1 4216

ექიმი

ი. დ. ბეგთაბეგოვი

დაბრუნდა

4220

ექიმი

ს. ანდრეევისა

დაბრუნდა

ძვლის და ჯირყვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა

ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან.

ელსმენი —11—78. 25—1

მიხეილ გედევანიშვილის.

სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომლებიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორდანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი

გ. ო. ზანდუკელი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.

ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.

ტელ. 4—82. 25—1

თბილისის აღმასკომის საფინანსო განყოფილება

თანახმად ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის სავალდებულო დადგენილებისა,

ამით აცხადებს, რომ ყველა როგორც კერძო, ისე სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა სახლების მეპატრონეები, მმართველები და კომენდატები ვალდებულნი არიან წარუდგინონ თბილისის საფინგანის საგადასახადო კანტორებს არა უგვიანეს

პირველი ოქტომბრისა

იმ პირთა სიები, რომლებიც სცხოვრობენ მათ განკარგულებაში მყოფ სახლებში და რომელთაც ჰყავთ ცხენები, მსხვილი რქოსანი საქონელი (ხარები, კამეჩები, ძროხები და სხვ.) და ან აქვთ სატრანსპორტო საშუალებები (მსუბუქი ან ტვირთმზიდავი ავტომობილი, მოტოციკლეტები, ველოსიპედები, ეტლები და სხვ.).

სიებში აღნიშნული უნდა იქნეს სახელი, მამის სახელი და გვარი აღნიშნულ პირების, ცხენების ან გადასაზიდ საშუალებათა რაოდენობა და მათი დანიშნულება (შესაბმელი ან საჯდომი ცხენი, მჩატე ან საბარგო მანქანა და სხვ.) მსხვილ რქოსან საქონლის რაოდენობა, მანქანები ფირმის და ნომერის აღნიშვნით და ძალის რაოდენობის ჩვენებით.

განცხადების ბლანკები გაიცემა უფასოთ სათანადო რაიონების საგადასახადო კანტორებიდან.

ამ დადგენილების აღნიშნულ ვადებში შეუსრულებლობისათვის, ან განცხადებაში ყალბი ცნობების მოთავსებისათვის დამნაშავენი დაჯარიმებული იქნებიან 100 მ.

საგადასახადო კანტორების მისამართი:

I	სამილიციო რაიონისა	ლენინის ქუჩა № 16
II, III	„ „	გრაფის ქუჩა № 9
IV, V	„ „	სიონის ქუჩა № 32
VI, VII	„ „	კახეთის ქუჩა № 2
VIII, IX	„ „	კალინინის ქუჩა № 14
X, XI, XII	„ „	სადგურის ქუჩა № 27

საფინანსო განყოფილება

ნ. 1596.

გაზ. „კომუნისტი“-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის **ქვითარი (ან ქვითარის №-რი),** რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 **მთავარი კანტორა.**

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილსს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღი 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ზოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილის 7—8 საათამდე

საღამოს 7—9 კაცებს, 6—7 ქალებს.

25—1

ექიმი

ნ. ა. ჯანდიერი

ბავშვთა, შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი მიღება დილით 8—9 ს. საღამოზედ 5—7 ს. სომხის ბაზარი № 3. 25—1

ექიმი

თოდაძე

დაბრუნდა. ღებულობს ქირურგიულ და უროლოგიურ ავადმყოფებს. (თირკმელები, საშარდე ბუშტი და სხვა). ცისტოსკოპია, დიატერმია.

თბილისი, ბელგიის ქ., № 1; მიღება—4—6 საათამდე. 13—1

ყოველდღე ნაშუადღევის 1 საათიდან საღამოს 5 სა-დე

სათვალეების შერჩევა

— და —

მათი სწორი დაყენება სპეციალისტ ექიმის მიერ

უფასოდ

სახმედვაჭრობის მაღაზიაში, პლეხანოვის პროსპექტი, № 106 მიღებულია ბევრი საქონელი შემდეგი სახის: სათვალეების ჩარჩოები, კლიპსები, შუშები და **ხელოვნური თვალები.**

ექიმი

ა. დ. პეპელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ.7 ნახ.—8 ნახ. საათ

ტელეფ.—1267. 25—1

ლოგოპედი

ა. ა. კაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა

ასწორებს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, ბუტბუტებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., № 132.

ექიმმა

ს. ი. ვოლოხმა

განაახლა ავადმყოფთა მიღება (ქალთა სნეულებანი და მეანობა) ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 5 ს.-დან 7 ს.-მდე. ბელგიის ქ., № 5, მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლად. ტელ. 10—80. 25—1

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგანი ავადმყოფობა.** სპეციალურად **კუჭის და ნაწლავების** სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02

ექიმი

ა. ს. ვადაჭკორია

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12—ს.—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35 13—1

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, **ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა,** ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ექიმი

პ. ი. ჯალალოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება. სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.

მამაკცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღ.—5—8 ს. ქალები და ბავშვების მიღება: დილის—8—9 ს. 4—საღ.—5 ს. მისამართი: კამოს ქ., № 19. ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

კბილის ექიმი

ა. გ. სოლოღაშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

დილ. 9—3 საათ. და საღ. 6—7 ს. რუსთაველის გამზირი, № 12. 25—1

თვალის ექიმი

მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს

დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელმენი № 5—90. 25—1

დავკარგე: სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი სერგო ლევანის-ძე ქარუმიძეს სახელზე, ჩ. გ. 4211

დავკარგე: პირადობის მოწმობა შალვა ექვთიმეს-ძე მაისაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4218

დავკარგე: საანგარიშო წიგნაკი კარპეზ გიგოს-ძე აზვლედიანის სახელზე, ჩ. გ. 4214

დავკარგე: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 25083 სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი, პირადობის თვითმშრომლის წიგნაკი, ივანე ყენიას სახელზე ჩ. გ. 4213

დავკარგე: პირადობის მოწმობა ტიგრან ვართანას-ძე სარქისოვის სახელზე, ჩ. გ. 4212

დავკარგე: ნაისაკოვის შვიდწლიანი შრომის სკოლის მიერ გაცემული მოწმობა № 60 დავით ისიდორეს-ძე ჩხაიძის სახელზე, ჩ. გ. 4215

დავკარგე: პირადობის მოწმობა საწევრო წიგნაკი, შინამრეწველობის ხელოსანთა საწევრო წიგნაკი № 34 და მიბარების ქვითარი № 86 ილიკო ალექსის-ძე კაჭარავას სახელზე, ჩ. გ. 4215

დავკარგე: მოწმობა № 101 აღებული საჭმიაურის (გურია) 7 წლიან შრომის სკოლიდან ჟენია ალექსანდრეს ასულ ბერაიას სახელზე, ჩ. გ. 4215

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.